

მცენარეთა ლექსიკა აფხაზურში (სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი)

ნაშრომის მიზანია აფხაზური ენის მცენარეთა აღმნიშვნელი ლექსიკის, რაც შეიძლება, სრული ასახვა; თითოეული მცენარის სახელდების მოტივის დადგენა, მცენარეთა სახელწოდებების სისტემატიზაცია სემანტიკურ-სტრუქტურული თვალსაზრისით; ლექსიკის ნასესხები ნაწილის გამოყოფა აფხაზური ენის საფუძველზე შექმნილ სახელწოდებათაგან; აფხაზურ ენაში მცენარეთა სახელწოდებების სტრუქტურული მოდელების გამოყოფა, მათში მეტყველების სხვადასხვა ნაწილთა, თუ მორფემათა გამოვლენა და შეძლებისდაგვარად ახსნა.

ნაშრომში აღწერილი და რეკონსტრუირებულია მცენარეთა სახელწოდებების შექმნისა და ჩამოყალიბების მოდელები, მოცემულია ზოგიერთი მცენარის სახელწოდების ეტიმოლოგიური ანალიზი.

მცენარეთა ლექსიკაში ყველაზე უკეთ აისახება ეთნოსის საცხოვრებელი გარემო. კვლევის შედეგები აფხაზთა ისტორიული საცხოვრისის ზოგად შტრიხებში განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

ნაკვლევი გამოადგებათ იბერიულ-კავკასიური ენების, კერძოდ აფხაზურ-ადიღური ენების ფონეტიკის, მორფოლოგიისა და ლექსიკის მკვლევარ ენათმეცნიერებს, აფხაზთა პირველსაცხოვრისის განსაზღვრით დაინტერესებულ ეთნოგრაფებსა და ისტორიკოსებს.

ხელს შეუწყობს აფხაზური ენის ლექსიკის მკვლევრებს თეორიული თუ პრაქტიკული სახელმძღვანელოების, ეტიმოლოგიური და იდეოგრაფიული ლექსიკონების შედგენაში.

- რედაქტორი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **თ. გვანცელაძე**
- რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **კ. ჭრელაშვილი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ვ. შენგელია**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ც. ბარამიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა რ. პაპიაშვილისა

ფოტო ყდაზე ლევან ახმეტელისა

ISBN 99940-864-1-3

წიგნი ეძღვნება ჩემს მასწავლებელს,
აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძეს

შესავალი

I ნაწილი

მცენარეთა აღმნიშვნელი სახელწოდებები წარმოიშობა საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე, როგორც ენის განუყოფელი ნაწილი.

გარემომცველი ფლორის, თითოეული მცენარის, მათი შემადგენელი ნაწილების სახელდების აუცილებლობა ადამიანს მრავალი ათასეული წლის წინათ უნდა ეგრძნო.

უწინარეს ყოვლისა წიგნთა წიგნი — ბიბლია გვამცნობს, რომ ადამიანმა მცენარეთა სამყაროს სახელდება მიწის დამუშავებასთან ერთად დაიწყო.

„ჯერ კიდევ მინდვრის ბუჩქიც არ იყო დედამიწაზე, ერთი ღერი ბალახიც არ იყო აღმოცენებული, რადგან არ უწვიმებია უფალ ღმერთს დედამიწაზე და კაცი არ იყო, რომ მიწა დაემუშავებინა“. (დაბადება, 2, 5).

„გაუშვა იგი (ადამი) უფალმა ღმერთმა ედემის ბაღიდან, რომ დაემუშავებინა მიწა, საიდანაც იყო აღებული“. (დაბადება, 3, 23).

საგულისხმოა, რომ ადამის მიერ ცხოველთა სახელდება, ჯერ კიდევ ედემის ბაღში ყოფნისას მოხდა, მაშინ როდესაც... „გამოსახა უფალმა ღმერთმა მიწისაგან ველის ყველა ცხოველი და ცის ყველა ფრინველი და მიჰგვარა ადამს, რომ ენახა, რას დაარქმევდა. რომელ სულდგმულს რას დაარქმევდა ადამი, მისი სახელიც ის იქნებოდა“. (დაბადება, 2,

მცენარეების სახელდება კი, მას მერე დაიწყო, რაც ადამი გაუშვა უფალმა ედემის ბაღიდან და ადამიანმა იწყო მიწის დამუშავება.

ბიბლიაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ენის შექმნაში (... ცხოველთა, მცენარეთა და ადამიანის გარემომცველ მოვლენათა სახელდებაში) შემოქმედი არ ჩარეულა და ეს საქმე ადამიანთა მოდგმას მიანდო.*

„თუკი მითოსი თავის საზრისს ურიცხვი წარმოდგენებისა და სიმბოლოების მიღმა მალავს, ფილოსოფიის ამოცანა მისი გამჟღავნებაა“, — აღნიშნავდა ერნსტ კასირერი (ჯორბენაძე, 1997, 46).

ნებისმიერ სოციალურ მოვლენაში, მათ შორის ენაში, ანდა მისი წარმოშობის საიდუმლოში, შესაძლოა მითოსური და ისტორიული თანაარსებობდეს. მითოსური, ხომ სიმბოლოებად გარდაქმნილი გარესამყაროა და, ხშირად რეალურად არსებულ ისტორიულ ფაქტებს ასახავს.

ცნობილია, რომ მთელი სამყაროსა და ადამიანის შექმნის შესახებ ბიბლია საგულისხმო ცნობებს შეიცავს, ასევე ანგარიშგასაწევია ენის ანთროპოლოგიური წარმოშობის თაობაზე ბიბლიაში დაცული ცნობაც.

თუ ადამიანი და მისი გარემომცველი სამყარო ღმერთის შექმნილია, ენა თავად ადამიანის აზროვნების შედეგად მიღებული ფენომენია.

არ არის ძნელი წარმოსადგენი რამდენაირ ცვლილებას განიცდიდა თითოეული ლექსიკური ერთეული, ვიდრე ჩვენამდე იმ სახით მოაღწევდა, რა სახეც დღეს აქვს.

ენის ლექსიკური ფონდის ერთ-ერთი ყველაზე უძველესი

* ცხადია, აქ არ იგულისხმება მეტყველების უნარი, რომელიც ღმერთმა მიანიჭა ადამიანს.

უბანი სწორედ მცენარეთა აღმნიშვნელი სახელწოდებებია.

დედამიწაზე ყველა მცენარეს, უმცირესსაც კი, მცენარის თუნდაც ყველაზე მცირე ნაწილს, რომლითაც ადამიანი ასე თუ ისე დაინტერესებულა, თავისი საკუთარი სახელი აქვს.

სხვადასხვა ენაზე მეტყველი ადამიანი თავისი თვალთახედვის კვალობაზე ნათლავს ამა თუ იმ მცენარეს. ამიტომაცაა, რომ ენის მსოფლხედვა, ერის მენტალობა... მკაფიოდ გამოსჭვივის ენის ლექსიკური ფონდის ამა თუ იმ ნაწილის შემადგენლობაშიც, ისევე როგორც მთლიანად ენაში.

ენობრივ ერთობებს, ხომ ერთიმეორისაგან, სწორედ აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის სხვადასხვაგვარი მიდგომა განასხვავებს.

როგორ აღიქვამდა სხვადასხვა საგანს, მოვლენას, გრძნობას... და რა ნიშნის მიხედვით არქმევდა სახელს ჩვენი მოდემის წინაპარი... აი საკითხები, რომლითაც კაცობრიობა ძალიან დიდი ხნის წინათ დაინტერესდა.

მას შემდეგ, რაც ადამიანმა დაიწყო კულტურული განვითარება, შექმნა, რელიგია, ანბანი, წიგნი... დაიწყო დაკვირვება თავის ენაზეც.

ადამიანი დაინტერესდა ასახავდა თუ არა საგნის სახელწოდება საგნის რაიმე ნიშან-თვისებას... თუ ნებისმიერად ერქმეოდა სახელი ამა თუ იმ საგანს, უბრალოდ იმიტომ, რომ სახელი ყოფილიყო საგნის სხვათაგან განმასხვავებელი ნიშანი.

აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ურთიერთობის პრობლემა დღემდე მნიშვნელოვანი საკითხია ენათმეცნიერებაში.

ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში ჩამოყალიბდა საკმაოდ ცნობილი ფიუსეი და თესეი თეორიები. ფიუსეი გულისხმობს, რომ ნებისმიერ საგანს სახელწოდება თავისი ბუნების მიხედვით აქვს მინიჭებული. თესეი მიიჩნევს, რომ ურთიერთმიმართება საგანსა და მის აღმნიშვნელ სახელს შორის პირობითია.

„ენობრივი ნიშანი ფიზიკურია, ფუნქცია სოციალური.

ნიშანი, რა მასალისაც არ უნდა იყოს, იმდენადაა ნიშანი, რამდენადაც რაღაც სხვაზე მიუთითებს, რაღაც სხვის მაუწყებელია... ენობრივი ნიშანიც ნიშნის ამ ზოგად თვისებას იზიარებს.

ფიზიკური ფაქტი, რომელსაც აქვს ურთიერთობის საშუალების ფუნქცია, კომუნიკაციის სოციალური ფუნქცია, — ასეთია ენობრივი ნიშანი“ (ჩიქობავა, 1983, 183-185).

„აღმნიშვნელი (ნიშანი) მიმართებაშია აღსანიშნთან. ამ მიმართების ცოდნა აქვს მტკმელსაცა და მსმენელსაც...

სიტყვა პირობითი ნიშანია საგნისა და მეტი არაფერი. ნიშანი არა ჰგავს არაფრით აღსანიშნს.

მნიშვნელობა ესაა მიმართება აღსანიშნისადმი, მნიშვნელობის საფუძველი სინამდვილის ფაქტია.

ყოველი სიტყვა წარმოადგენს თავისთავად ფარულ განზოგადებას, ყოველი სიტყვა უკვე აზოგადებს, და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით სიტყვის მნიშვნელობა, პირველ ყოვლისა, განზოგადებაა.

სიტყვაა ის საშუალება, რომელიც კერძოთი იწყებს და ზოგადის აღმნიშვნელი ხდება“ — აღნიშნავს არნ. ჩიქობავა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში (ჩიქობავა, 1983, 187-196).

ენობრივი ნიშანი არნ. ჩიქობავასათვის პირობითია, მაგრამ პირობითობა არ გამორიცხავს ნიშნის მოტივაციას.

„ეტიმოლოგიურ ძიებას შეუძლია მრავალ შემთხვევაში აღადგინოს დროთა ვითარებაში გაუჩინარებული მოტივაცია. ამის მიხედვით უნდა გაკეთდეს ზოგადი დასკვნა: ყველა სიტყვას უნდა ჰქონოდა მოტივაცია — გარდა იმ ლექსიკური მარაგისა, რომელიც მეტყველების თავდაპირველ მარაგს შეადგენდა და საფიქრებელია, ცალკე სიტყვა კი არ იყო, არამედ თავისი ფუნქციით მთელ ფრაზას უდრიდა“.

და შემდეგ: „ამ შემთხვევაშიც პირობითობა ძალაში დარჩე-

ბა, რადგან: პირობითობა გაიზომება ნიშნის მიმართებით აღსანიშნისადმი, მოტივაციას კი საფუძვლად უდევს თვით ამ პირობით ნიშანთა ურთიერთობა.

ნიშნის მოტივაცია მის პირობითობას არ გამოორიცხავს იმიტომ, რომ ეს მოტივაცია გულისხმობს სხვა ნიშნებისადმი აპელაციას, ხოლო არც ერთი ნიშანი არც ამჟამად და არც წარსულში აღსანიშნით განსაზღვრული არ ყოფილა (ჩიქობავა, 1983, 199).

„მიმართებას ნიშანსა და აღსანიშნს შორის კოლექტივის საწყისა აქვს. ეს მიმართება თაობათა ტრადიციას ემყარება“ — განაგრძობს არნ. ჩიქობავა (ჩიქობავა, 1983, 202).

და ბოლოს: „ყოველი ენა ასახავს სინამდვილეს, მაგრამ არა ერთნაირად. სინამდვილის მოვლენები, მათი კავშირი თავისებური სახით დაჩნდება სხვადასხვა ენაში. ერთ შემთხვევაში აღსანიშნის ერთი მხარეა ამოსავალი, მეორეში — სხვა... აღსანიშნთა შორის ურთიერთობა ერთგან ასეა წარმოდგენილი, სხვაგან — სხვაგვარად.

დებულება: ყოველი ენა **მსოფლმხედველობააო**, სწორია იმ გავებით, რომ ყოველ ენაში, როგორც ნიშანთა თავისებურს სისტემაში, **სინამდვილე** (აღსანიშნი) მეტ-ნაკლების ნაირნაირობითაა წარმოდგენილი (ასახული) (ჩიქობავა, 1983, 299).

არნ. ჩიქობავას მოსაზრება იმის შესახებ, რომ ყოველი ენა სინამდვილეს თავისებური სახით ასახავს, ეხმიანება „ლინგვისტური ჰუმანიზმის“ იდეას, რომლის მიხედვითაც ენა თანამონაწილეობს შემეცნების პროცესში — გარდაქმნას **სინამდვილის ფაქტი** ცნობიერების ობიექტად (რამიშვილი, 1995, 9).

ამ მხრივ საინტერესოა „**ენობრივი შუაფენის**“ შესახებ გამოთქმული მოსაზრება, რომელიც ვ. ჰუმბოლდტს ეკუთვნის: „ენა არის ისეთი ნამდვილი რეალობა, რომელიც საგნებსა და ადამიანს შორის არის ჩასმული. ამ რეალობით ხდება სამყაროს აზრებად გარდაქმნა, რის გამოც ენა არის არა უბრალო გამტარი,

არხი, მესამე სივრცითი რეალობა... იგი არ არის ეკვივალენტი საგნისა, არამედ თვალსაზრისის მის შესახებ.

... ინდივიდი, მოაზრებული ენობრივი სოციუმის წევრად, ჩართულია იმ დიდი ამოცანის განხორციელებაში, რასაც საგანთა ენობრივ-შინაარსობრივი საშუალებებით მოტანის ამოცანა გულისხმობს. ეს არ არის ენის პასიური გამოყენება, ან მისი აბგერება და ამეტყველება მხოლოდ ურთიერთობის დამყარების, მხოლოდ კომუნიკაციის მიზნით, რადგან ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს არა მეთყველ ინდივიდთა უბრალო საკრებულოსთან, არამედ — ადამიანთა ისეთ ისტორიულ ერთობასთან, რომელიც ათეულ თუ ასეულ საუკუნეთა მანძილზე ჩართულია სასიცოცხლო გარემოს ენობრივი დაუფლების მრავალნაირ პროცესში.

ამ ვეებერთელა სამუშაოს ასრულებს არსებითად გონითი ერთეულები, მნიშვნელობები ანუ ენობრივი შინაარსები, რომლებიც ენობრივი სოციუმის წევრებს ეძლევა მემკვიდრეობით, მაგრამ არა პასიურად, ვთქვათ, ქონების, კაპიტალის სახით, არამედ როგორც „ცოდნა“, ძალა, შესაძლებლობები, როგორც საგანთხედვის წესი. ეს არის პირველყოვლისა, ლ. ვაისგერბერისებურად რომ ვთქვათ:

1. ლექსიკა, სიტყვანი, სადაც ათიათასობით მოქმედ ერთეულს — სიტყვას — გადააჰყავს სინამდვილის მოვლენები ენობრივში, რათა გადააქციოს ისინი ცნობიერების ობიექტად.

2. სიტყვაწარმოების სისტემა, სადაც ფუძე-სიტყვებში სამყაროს უკვე განხორციელებულ გასიტყვებას მივყავართ ახალი მნიშვნელობებისაკენ, რომელთა მიმართულებაც ნაჩვენებია გამოცდილების თავდაპირველი ლინგვისტური ორგანიზაციით. ისინი მიგვითითებენ ახალ სფეროებზე და სისტემატურად აფართოებენ შესაძლებელ ახალ მნიშვნელობათა წრეს (რამიშვილი, 1995, 13).

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მცენარეთა ლექსიკა

აფხაზურ-ადილურ ენებში. მცენარეთა აღმნიშვნელი სახელწოდებების მნიშვნელოვანი ნაწილი თვალნათლივ აჩვენებს, თუ როგორ ყალიბდებოდა ათასწლეულების მანძილზე უკვე განხორციელებული (შექმნილი) სიტყვებისაგან მრავალი ახალი სიტყვა, რომელიც თანდათან ფეხს იკიდებდა ენის ლექსიკური ფონდის ძირითად ნაწილში და ზოგჯერ საფუძვლად ედებოდა მეზობელ ენაში სიტყვის ახალწარმოებასაც კი.

მაგ.: ადილური ბანზ / ფანზ „ეკალი, ეკლოვანი ბალახეული, ანუ ბუჩქოვანი მცენარე“. აფხაზურში ამ ძირიდან ნაწარმოები ა❖ზნა „ტყე“, აბაზური ბნა, უბიხური ბზნ „ბალახი“, აქედან ოსური ნასესხობა ბგნ / ბუნ „ხეთა სახელწოდებებში შემავალი ელემენტი“...

აფხაზური ა❖ჯ „მუხა“, ადილური ჟნღ / ჩიღღ „ხე“, პირველი ნაწილი სიტყვისა ჟგ < ჟიგ / ჩიგ ისეთი წარმოშობისაა, როგორისაც აფხაზური აჯ „მუხა“, შდრ.: აგრეთვე აბაზური ჯჩიგ „მუხა“, მეგრული ჯა, ძველი ქართული ძელი... აფხაზური ა❖ჯ დაკავშირებულია სვანურ ჯიჰ > ჯი „რკოსთან“, ჯიჰრა „მუხასთან“.

აფხაზური აჰასკღ❖ინ „ბალახი“, წარმოშობით ქართული ასკილი — სიტყვაა.

... და უამრავი მსგავსი მაგალითი...

ჩვენი ნაშრომის ერთ-ერთი მიზანია აფხაზური ენის **შიდააზრის** ჩვენება, რათა შეძლებისდაგვარად ნათელვყოთ აფხაზური ენის **მსოფლხედვა** მცენარეთა ლექსიკის მაგალითზე.

შიდააზრის ცნება უფრო მრავლის მომცველია, ვიდრე უბრალოდ სიტყვის მნიშვნელობა / სემანტიკა, რადგან შიდააზრში აისახება უპირველესად ინდივიდის, სუბიექტის, სოციუმის წევრის პოზიცია გარკვეული ხილული თუ უხილავი სამყაროს მიმართ.

შიდააზრთან ერთად საინტერესოდ გამოიყურება თითოეული ლექსემის აგების **სტრუქტურული მოდელი**, რაც სიტყვათქმნადობის პროცესის განუყოფელი ნაწილია.

სახელდების რა მოტივია გამოყენებული ამა თუ იმ მცენარის სახელწოდების ფორმირებისას: გარეგნული თუ შინაგანი ნიშანი, თუ სახელდება ხდება მეტაფორიზაციის გზით...

მცენარეთა სახელწოდებების შესწავლა საშუალებას იძლევა წარმოვიდგინოთ სახელდების ის მრავალფეროვანი მოტივაცია და ფართო სპექტრი, რომელიც კონკრეტულად აფხაზურისათვის და ზოგადად ენისათვისაა დამახასიათებელი.

ენისა და ადამიანის ურთიერთობის თვალსაზრისით, საინტერესოა დ. უზნაძის გამოკვლევა „ენის შინაფორმა“ (უზნაძე, 1947), რომელსაც საფუძვლიანად განიხილავს გ. რამიშვილი (რამიშვილი, 1995).

... ენა ნაწარმოები სამყაროა, რომლის იქითაც ადამიანი დგას... საკითხი ორ ასპექტშია ერთდროულად დასმული: ენის ადამიანური წარმოშობა, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, ენის ადამიანისაგან დამოუკიდებლობა...

რატომ დასვა დ. უზნაძემ ეს საკითხი?... ეს გამოწვეულია სწორედ იმ შეუსაბამობით, რომ ენობრივი ფაქტების უკან მუდამ ადამიანი დგას და, ამავე დროს, ენა ადამიანისაგან დამოუკიდებელი რეალობაა. დ. უზნაძე ფიქრობს, რომ „ენის შინაფორმის“ ცნება, რომელიც ჰუმბოლდტმა შემოიტანა, ამ სიძნელეს დაძლევს, რადგან ენის შინაფორმა ადამიანური ფენომენიც არის და იმავდროულად სწორედ ენის შინაგანი ფორმაც.

... ენის შინაარსის საფუძველი აუცილებელია. მისი გამოტოვებით შინაფორმის კვლევისათვის არ შემზადდება სათანადო პირობები.

... ბოლოს დ. უზნაძე იტყვის, რომ თუმცა ენის შინაფორმა დიდი მიზნებისათვისაა გაჩენილი, იგი იმ სახით, როგორც ჰუმბოლტმა წარმოადგინა, მაინც ვერ წყვეტს ზემოთ დასმულ ამო-

ცანას; რომ „განწყობა“ არის სწორედ ის ცნება, რომელიც შე-
ძლებს ამ შეუსაბამობის მოხსნასა და დაძლევის (რამიშვილი,
1995, 39-41).

... ენის შინაფორმასთან დაკავშირებით, დ. უზნაძე გადმო-
სცემს ჰუმბოლდტის შეხედულებებს და იშველიებს სამ ცნებას:
ენერგეია, ერგონი, სინთეზი. ენერგეია-ერგონის გაგებაში იგი
მიჰყვება იმ ხაზს, რომელსაც დღესაც ბევრი მისდევს ლინგვის-
ტიკაში: ენერგეია ეს არის მეტყველება, ხოლო ერგონი — ნიშან-
თა სისტემა... ჰუმბოლდტთან ენერგეია — ერგონი, ერთი მხრივ
და მეტყველება-ენა, მეორე მხრივ, ერთმანეთს არ ფარავენ, ჰუმ-
ბოლდტი გარკვევით ამბობს, რომ ენა ენერგეიაა და არა ერგონი.

... ენერგეია არის როგორც ყოველწამიერი მეტყველების აქ-
ტი ინდივიდისა, ისე ათასწლეულთა მანძილზე ჩატარებული
„მოღვაწეობა“ ენობრივი სოციუმებისა, რომელიც ზოგად ადამიან-
ურ ამოცანას ემსახურება: „სამყაროს გარდაქმნას აზრებად“.

... ენერგეია უბირისპირდება ერგონს, როგორც ენის სტატი-
კურ მდგომარეობას. იგი უფრო ენის, როგორც კოლექტიური
ფორმით მოცემული რეალობის, თვისებაა (რამიშვილი, 1995, 41).

„ენათა სხვაობა არის არა მხოლოდ ბგერებსა და ნიშნებში,
არამედ — თვით საგანთხედვაში, მსოფლხედვაში“ (რამიშვილი,
1995, 42).

ერთი მხრით, ენა არის სუბიექტური, რამდენადაც ადამიან-
ის ცნებასთან არის დაკავშირებული და მის გარეშე არ არსებ-
ობს; მეორე მხრით, იგი ობიექტური კანონზომიერების მქონეა.

... ენა ანთროპოლოგიური წარმოშობისაა.

... ჰუმბოლდტის მიერ მოწოდებული შინაფორმის იდეა...
უზნაძის აზრით, „დიალექტიკური“ ბუნების არის და იქ უნდა ვეძი-
ოთ გასაღები სუბიექტურისა და ობიექტურის პრობლემის გადასაჭ-
რელად... „გასაღები“, მისი აზრით, განწყობის თეორიაშია.

უზნაძე ბევრ ანალოგიას ხედავს ამ ორ ფუნდამენტურ ცნე-

ბას შორის; და თუ შინაარსულ ასპექტს გავაძლიერებთ, მათ შორის კიდევ უფრო მეტ საერთოობას დავინახავთ და მათ კავშირს — კიდევ უფრო პროდუქტიულს (რამიშვილი, 1995, 44).

... როგორც შინაფორმის ცნებაა მოწოდებული დიდი მიზნებისათვის, კერძოდ სუბიექტ-ობიექტის დიდი პრობლემის გადასაჭრელად ისე, რომ მისი ადამიანური გენეზისი ერთი წუთითაც არ უნდა იქნეს დავიწყებული, ასევე „დიდი მიზნებისათვის“ არის მოაზრებული ავტორის მიერ განწყობის ცნება: როგორც შინაფორმის გაგება აფართოებს ენათმეცნიერების ფარგლებს (ეს იყო სწორედ ჰუმბოლდტის მიზანიც) იმ ზომამდის, რომ ენის როლს ცხადყოფს ზოგადანთროპოლოგიურ და გნოსეოლოგიურ პრობლემათა კომპლექსში, ასევე განწყობასაც ანალოგიური დანიშნულება აქვს.

ამ მიზნით დ. უზნაძეს დიდად გამოადგებოდა იდეა ენის „შინაარსობრივი შუამავლობის“ შესახებ — დასძენს გ. რამიშვილი. მიზანდასახულობით ხომ განწყობაც შუამავალია! მის გარეშე შინაფორმა გაუგებარია (რამიშვილი, 1995, 45).

„სიტყვა არის არა საგნის ეკვივალენტი, არამედ თვალსაზრისისა მის შესახებ“ — ჰუმბოლდტი (რამიშვილი, 1995, 47-48).

შეერთება ბგერისა აზრთან, სინთეზის ეს აქტი, ვფიქრობთ, იმავდროულად უკვე არის ცდის ვერბალიზაციის პროცესიც (რამიშვილი, 1995, 50).

არტიკულაცია (განსხვავებით ფონეტიკურისაგან) არის დანაწევრება ენისა შინაარსობრივ ერთეულებად. ეს შეამჩნია ვ. ფონ ჰუმბოლდტმა, მაგრამ როგორც პრინციპი შემოიტანა ენათმეცნიერებაში ფ. დე სოსიურმა.

... დანაწევრების გაგება ძნელია დანახულიყო სხვა ენის არსებობის ფაქტის გათვალისწინების გარეშე (აკი ღირებულებასთან დაკავშირებით მიმართავს კიდევ მისი შემომტანი ფ. დე სოსიური სხვა ენებთან შედარებას). ეს ღირებულებათა დადგენის

წესია. არ იყო საკმარისი მხოლოდ ერთი ენის შიგნით ინვარიანტულის ძიების სტატიკური მეთოდი.

მაშასადამე, ენათა პლურალიზმი არის ამოსავალი ენერგეისტული ორიენტაციის მქონე იმანენტური თეორიისათვის. შედარებითი მეთოდი აუცილებელია.

ენობრივი ერთეული არტიკულირებული ბუნების მქონე სინთეზური მთელია: ენა იქ ქრება, სადაც კარგავს როგორც დანაწევრების, ისე სინთეზის თვისებას.

სიტყვა, როგორც შინაარსეული ველის წევრი, არის შინაფორმის კონკრეტული სახე, მისი ემპირიული დადასტურება.

ენერგეისტული ენის თეორია, ... შინაარსეულ საფუძველს ემყარება და ამას ზოგადი ამოცანიდან ამოსვლით ეძლევა გამართლება. ეს კარგად ჩანს სხვადასხვა ენის შედარებიდან. თითოეული ენა არის პასუხი იმ ფუძემდებელ კითხვებზე, რაც ამოცანის სახით დგას ყოველი ენის წინაშე. ენათა ერთიანობა არის პასუხების ერთიანობა და ყოველი პასუხი არის ამოცანის გადაჭრის თავისებური მეთოდი.

... ენათა მიზანი საერთოა, განსხვავებულია გზები ამ მიზნის მიღწევისა.

უნივერსალურია პრინციპი სინთეზისა, მაგრამ თვითონ სინთეზის სპეციფიკა უნივერსალურით არ აიხსნება. ეს არ არის ერთისა და იმავეს სხვადასხვაგვარი „შესრულება“, არამედ **ახალი შინაარსების** შექმნა. ამიტომაც „ვერ თავსდება ენები ერთს კონსექვენტურად აგებულ სტრუქტურაში“. ახალი შინაარსების წარმოქმნას ერთიანი პრინციპი ვერ ექნება — დაასკვნის გ. რამიშვილი (რამიშვილი, 1995, 53-55).

სიტყვა წარმოადგენს ენის ყველაზე კონკრეტულ ერთეულს; ენა უპირველესად „სიტყვათა ენაა“, როგორც ურთიერთობის საშუალება „სიტყვიერი იარაღია“.

სიტყვა არის დამოუკიდებელი, გრამატიკულად გაფორმებუ-

ლი გარკვეული ენის კანონების მიხედვით.

სიტყვას აქვს შინაარსი და რაც მნიშვნელოვანია **ლექსიკური მნიშვნელობა**.

სიტყვა და **ცნება**. ენაში სიტყვის საკუთარ ფუნქციას შეადგენს სახელდება (ნომინაცია) ე. ი. სიტყვას აქვს ნომინაციური ფუნქცია. მეორე მხრით, ცნება არის აზრი საგნის შესახებ.

სიტყვა წარმოადგენს ენის მნიშვნელობიან დამოუკიდებელ ერთეულს, რომლის ძირითად ფუნქციას შეადგენს ნომინაცია; ენის მინიმალური მნიშვნელობის მქონე ელემენტებისაგან განსხვავებით, სიტყვა დამოუკიდებელია, თუმცა, შესაძლოა ერთი მორფემისაგანაც შედგებოდეს, გრამატიკულად გაფორმებულია მოცემული ენის კანონების მიხედვით და მას აქვს ლექსიკური მნიშვნელობა, რაც საერთოა სიტყვასა და ცნებას შორის ის არსებითად ორივე მათგანის განმსაზღვრელიდან — საგნიდან — მომდინარეობს.

ცნებისა და სიტყვის ურთიერთობა საკმაოდ რთული საკითხია. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ენაში სწორედ იმდენი სიტყვაა, რამდენიც ცნება (ენათმ. შეს. საკ., 1972, 117-119).

სიტყვას ახასიათებს მნიშვნელობის **გაფართოება**, **დავიწროება**, აგრეთვე მნიშვნელობის **გადაწევა**.

სიტყვის მნიშვნელობის გადაწევა არის მნიშვნელობის გადატანა, მაგრამ ცვლის საფუძველი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სხვადასხვა ბუნებისაა.

მაგალითად აფხაზური სიტყვა აშუგ❖ლა „ფქვილი“, დღეს აღნიშნავს ყოველგვარი მარცვლეულის ნაფქვს, მაშინ, როდესაც მისი ძირისეული ელემენტი აშუგ❖ „ფეტვის“ აღმნიშვნელია ისტორიულად. თავდაპირველად აშუგ❖ლა მხოლოდ ფეტვის ფქვილს აღნიშნავდა, შემდეგ კი მისი მნიშვნელობა გაფართოვდა, ახლა ყველანაირ ფქვილს აღნიშნავს. ეს არის სიტყვის მნიშვნელობის გაფართოების ერთ-ერთი შემთხვევა.

მეტაფორიზაცია ანუ სახელდება ხდება ნიშან-თვისებათა მსგავსებით. მეტაფორა ნიშნავს „გადატანას“, იგი წარმოადგენს მნიშვნელობის გადატანის ყველაზე ტიპურ შემთხვევას. მეტაფორა ეყრდნობა შედარებას.

მნიშვნელობის მეტაფორული გადატანის დროს იცვლება საგანი, მაგრამ ცნება მთლიანად არ იცვლება.

მაგალითად, აფხაზური ა❖თრა „სორო, ბუნაგი“ სიტყვა ამჟამად აფხაზურში შემოზღუდული სივრცის აღსანიშნავ აფიქსად არის ქცეული: აუ❖თრა „ბოსტანი“, არასა❖თრა „თხილის ბაღი“ და სხვ.

მოხდა მეტაფორიზაცია: „ბუდე, სორო“ სიტვის მნიშვნელობა განზოგადდა და ახლა საერთოდ შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელ აფიქსად იქცა... ცნება, მთლიანად არ შეცვლილა.

მეტაფორიზაციის შედეგადაა მიღებული მრავალი მცენარის სახელი სხვადასხვა ენებში, მათ შორის აფხაზურშიც: აჯმაყꝑ❖ „დენგრა, კუნელი“, სიტყვასიტყვით: „თხის ცურკლი“, აპიაპა❖ჟა „მოცვი“, სიტყვასიტყვით: „ლორის ტკიპა“, ალა-წიგ❖მლ „ასკილი“, დაზუსტებით: „ძაღლის ლურსმანი“... და მრავალი სხვ.

ენის გარეშე კულტურა ვერ შეისწავლება თავისი სრულყოფილი სახით, ისე როგორც ვერ განისაზღვრება ამ კულტურის მატარებელი ხალხის ეთნიკური მიკუთვნება. „ენა არის ყველაზე ცოცხალი, ყველაზე მტკიცე კავშირი, რომელიც აერთიანებს გარდასულ, თანამედროვე და მომავალ თაობებს ერთ დიდ ისტორიულ ცოცხალ ერთობად“. ეს სიტყვები ეკუთვნის კ. უშინსკის (ჩიქობავა, 1878, 19).

სრულმნიშვნელობიანი სიტყვები შეადგენენ ყოველი ენის ლექსიკის მასივს. ამავ დროს ისინი ყველაზე საინტერესონი არიან მნიშვნელობის განვითარებისა და ცვლის თვალსაზრისით, ისინი არიან ლექსიკის ყველაზე უფრო „სრულყოფილებიანი

სიტყვები“ (ენათმეცნ. შეს. საკ., 1972, 123-128).

ნებისმიერი ენის ლექსიკის კვლევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლექსიკური ველის გათვალისწინებას. თითოეული სიტყვა თავის ღირებულებას ამჟღავნებს მხოლოდ ლექსიკური ველის ფარგლებში.

ლექსიკური ველი ეწოდება ლექსიკის იმ სექტორს, რომელიც გაერთიანებულია მიმართებით პარალელიზმისა, კონტრასტისა, თანამიმდევრობისა და, რაც მთავარია, სხვადასხვა ხასიათის დაპირისპირებით.

ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ კონტექსტისა და ლექსიკური ველის ცნებები. კონტექსტი სიტყვის გამოყენების სფეროა, ველი — ენის სისტემაში მისი არსებობის სფერო (ენათმეცნ. შესწ. შეს., 1972, 170).

ველის ცნება მოწოდებულია ლექსიკის სისტემურობის კვლევისათვის.

ამ მხრივ საინტერესოა აგრეთვე, **ელემენტარული ველის** ცნება, რომელსაც პორციგის თეორიის მიხედვით, ბ. ფოჩხუა განიხილავს (ფოჩხუა, 1968, 30-40).

პორციგი ელემენტარულ ველებს წმინდა ენობრივად მოცემულ ერთეულებად მიიჩნევს, ამასთანავე ვარაუდობს, რომ ველში შემავალ სიტყვათა ურთიერთობა „ცალსახა და აუცილებელი“ არის...

პორციგის თეორია წარმოადგენს ცდას, დაასკვნის ბ. ფოჩხუა, შესწავლილი იქნას ლექსიკა მეორეგვარი მიმართების, სიტყვათა შორის არსებული მიმართების, გათვალისწინებით. მაგრამ ამ შემთხვევაში დაიჩრდილა მიმართება სიტყვასა და საგანს შორის. ამიტომ სიტყვის მნიშვნელობის „წმინდა ენობრივი“ განსაზღვრის ცდა სერიოზული სიძნელების წინაშე აღმოჩნდა (ფოჩხუა, 1968, 39-40).

ჩვენთვის სიტყვა საინტერესოა არა მარტო მისი შიდააზრის,

შინაარსის თვალსაზრისით, არამედ მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით.

სიტყვის მნიშვნელობას **სემასიოლოგია** სწავლობს.

სემასიოლოგიას აინტერესებს სიტყვის მნიშვნელობის განვითარების საკითხები (როგორ შეიცვალა ამა და ამ სიტყვის მნიშვნელობა დროთა განმავლობაში): სამასიოლოგიისათვის არსებითია სიტყვის მნიშვნელობის დახასიათებაც — სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის აღწერაც...

სემასიოლოგიური კვლევის ობიექტია პოლისემია (ერთი სიტყვის მრავალმნიშვნელობა), ენობრივი მეტაფორა (ენაში დამკვიდრებული გადატანითი გამოყენება სიტყვისა).

ლექსიკოლოგიური კვლევა შეიძლება საპირისპირო მიმართულებითაც წარიმართოს: შეიძლება ამოვიღეთ საგნიდან და ვიძიოთ მისი სახელწოდება.

კვლევის ამგვარ მიმართულებას ონომასიოლოგიურს უწოდებენ.

სიტყვა უნდა განვიხილოთ, როგორც ლექსიკოლოგიის ერთეული. არსებითი სიტყვისათვის ამ შემთხვევაში არის მისი საგნობრივი მიმართება და ამიტომ პირველ ყოვლისა... სიტყვა უნდა დახასიათდეს საგნობრივი მიმართების თვალსაზრისით (რას აღნიშნავს).

მხოლოდ ამის შემდეგ იქნება ნაყოფიერი მისი განხილვა... ამა თუ იმ ენის ლექსიკურ-სემანტიკური აგებულების გათვალისწინებით, საკუთრივ „ენობრივად“ დახასიათება (ფოჩხუა, 1974, 15-23).

ლექსიკის განხილვა უნდა მოხდეს ენობრივი კოლექტივის ყოფა-მესაქმეობის გათვალისწინებით, რადგან ყოფის თავისებურებები ძირითადად განსაზღვრავენ იმ თავისებურებებს, რაც სხვადასხვა ენის ლექსიკური ფონდის შინაგან დანაწევებაში შეიმჩნევა.

ბგერადობა და საგნობრივი მიმართება ქმნის სიტყვის ფუნქციონირების აუცილებელ პირობებს; აუცილებელს, მაგრამ არა საკმარისს. სიტყვის ფუნქციონირებისათვის საჭიროა კიდევ ორი პირობა: ენობრივი კოლექტივი და სხვა სიტყვებთან ურთიერთობა.

ენობრივი კოლექტივი არა მხოლოდ ერთ დაკავშირებული ჯგუფია ადამიანებისა, არამედ მათ, ამ ადამიანებს, უწინარეს ყოვლისა, აერთიანებთ საერთო საქმიანობა, საერთო საზოგადოებრივი ცხოვრება (და სწორედ ამიტომ ენაც).

სხვადასხვა კოლექტივი ერთმანეთისაგან საქმიანობით, საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურებებით განსხვავდება და ეს განსხვავება უკუფენილია ლექსიკურ ფონდშიც. ბუნებრივია, თუ ერთ ენობრივ კოლექტივს არ აღმოაჩნდეს მეორე კოლექტივის საქმიანობისათვის, ყოფისათვის დამახასიათებელი ბევრი სიტყვა.

... ყოველი სიტყვა რომელიმე ენის სიტყვაა და არა „საერთოდ“ სიტყვა... შემოსული სიტყვა ენის აღსანიშნა და აღმნიშვნელთა სისტემაში ექცევა და ამ ენობრივი სისტემის წევრი ხდება: ყოველი სიტყვა გარკვეული ენობრივი კოლექტივის კუთვნილებაა და მისი ფუნქციონირება ამ ენობრივი კოლექტივის ენობრივი ჩვეულებით არის შეპირობებული (ფოჩხუა, 1974, 46-50).

ბ. ფოჩხუა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ქართული ენის ლექსიკოლოგია“ აღნიშნავს, რომ:

... პრინციპულად შეუძლებელია არსებობდეს ისეთი ენა, სადაც ყველა სიტყვა მოტივირებულია, ე. ი. მოტივირებულია ყველა მარტივი ფუძე...

მოტივაციის მქონებლობა და უქონლობა ის ორი პოლუსია, რომელთა შორის არის განლაგებული ლექსიკური ფონდი.

და შემდეგ: ... ჩვენ არ ვიცით რა ბგერებით ამეტყველდა ადამიანი პირველად, მაგრამ რა სიტყვების ისტორიაც ვიცით,

ყველაში დასტურდება მოტივაციის როლი მათ შექმნაში (ფოჩხუა, 1974, 108, 118).

სათანადო ადგილას არნ. ჩიქობავაც აღნიშნავს, რომ ნიშნის მოტივაცია მის პირობითობას არ გამოორიციხავს, იმიტომ, რომ ეს მოტივაცია გულისხმობს სხვა ნიშნებისადმი **აბელაციას**, ხოლო არც ერთი ნიშანი არც ძველად, არც ამჟამად აღსანიშნით განსაზღვრული არ ყოფილა (ჩიქობავა, 1983, 199).

მოტივაცია, ზოგადად აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ურთიერთმიმართება, გარდა ლინგვისტურისა, ფსიქოლოგიურ-გნოსეოლოგიური პრობლემაცაა. მხოლოდ ლინგვისტური, ან მხოლოდ ფილოსოფიური მიდგომით ამ პრობლემის გადაჭრა ვერ მოხერხდება.

ფსიქოლოგები ენობრივი ნიშნის შეპირობებულობას უჭერენ მხარს, ლინგვისტები — ენობრივი ნიშნის ნებისმიერობას (შარაძენიძე, 1972, 5-60, ჩიქობავა, 1983, 183-201). თუმცა მოტივაციის არსებობას მთლად ვერ უარყოფენ.

თავ-თავის ადგილას ორივე მხარე მართალია: ენაში ყველა სიტყვა ვერ იქნება მოტივირებული, ისევე, როგორც ყოველი სიტყვა მხოლოდ რაღაცის ნიშნად არ შეიძლება წარმოვიდგინოთ.

ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო მართებული და ამავე დროს აღნიშნულ პოზიციასთან შორის მომრიგებლური თვალსაზრისი ბ. ფოჩხუამ გამოთქვა: ... „მოტივაციის მქონებლობა და უქონლობა ის ორი პოლუსია, რომელთა შორის არის განლაგებული ლექსიკური ფონდი“ (ფოჩხუა, 1974, 108).

... და მაინც დიდია ცდუნება სიტყვათა მოტივირებულად მიჩნევისა... სიტყვის გულუბრყვილო, ხალხური ეტიმოლოგიებიდან მოყოლებული, ღრმა, მეცნიერულად დასაბუთებული ეტიმოლოგიების ჩათვლით...

მოტივაციას განიხილავენ, როგორც ენათა ნათესაობის ერთ-

ერთ ასპექტს და გვთავაზობენ ენათა ურთიერთმიმართების კვლევისას ბგერათშესატყვისობებისა და ენობრივი სტრუქტურების შედარების გარდა, გავითვალისწინოთ სახელდების პრინციპებიც, ვინაიდან მონათესავე ენების ხედვა-აღქმის სისტემები ძირითადად მსგავსია (ფუტკარაძე, 1996, 246-251).

ამ ფრიად საგულისხმო მოსაზრებისათვის ძირითად დაბრკოლებად ენებს შორის კალკირების გზით შესული ლექსიკა გვესახება.

მაგ.: აფხაზურში გვხვდება ყურძნის ჯიშის სახელწოდება აჩკე❖კა „ცხენის ძუძუ“, რომელიც ქართულიდან არის ნათარგმნი (კალკირებული), ქართულშიც არსებობს ყურძნის ჯიშისათვის ცხენის ძუძუ — სახელწოდება.

აფხაზურში ყურძნის ჯიშის ერთ-ერთ სახელწოდებას აჟა❖ფშე ჰქვია, რაც პირდაპირი თარგმანი ჩანს ქართულში არსებული წითლანა სიტყვისა, რომელიც ასევე ყურძნის აღნიშნული ჯიშის სახელწოდებად გამოიყენება.

ასევეა აფხაზური აშამაშიგ❖გ (ბზიფ.), აჯამფა❖ზ (აბჟ.) < მეგრ. ჯამფეზია, რომლის ქართული შესატყვისია ჭიაფერა, მცენარის ეს სახელწოდება, ასევე ქართულიდან ნათარგმნი უნდა იყოს... ზედმიწევნით: „სანთელ-საღებავი“... საინტერესოა, რომ აბჟუურმა მცენარის სახელწოდება მეგრულიდან ისესხა, ბზიფურმა კი თარგმნის საშუალებით გადმოსცა აღნიშნული მცენარის სახელი.

როგორ გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან კალკირებული და ორგანულად მოტივირებული ლექსიკა. სად გადის ზღვარი მოტივაციის სესხებასა და თავად ლექსიკური ერთეულის თანგმნით (კალკირებით) მიღებას შორის?

მკვლევარი გვთავაზობს მის მიერ შემოთავაზებული კვლევისათვის გარკვეულ მეთოდოლოგიას: დადგენილ რამდენიმენიარ მოტივაციათაგან გაიმიჯნოს: ძირითადი, ნასესხები, გვიან გაჩენი-

ლი, კონვერგენციული მოტივები, ძირითადად მიჩნეული მოტივაცია შეუპირისპირდეს იმავე საგნის მიმართ შესაძარბელი ენის „ენობრივ ჭვრეტას“ (ფუტკარაძე, 1996, 251).

ძნელად წარმოსადგენია მოტივაციის, როგორც ასეთის, ძირითადობის, ნასესხებობის, ძველად და გვიან გაჩენილობის, ან თუნდაც, ენის „ენობრივი ჭვრეტის“ დადგენა...

თავად მოსაზრება, საკითხის დასმა, საინტერესოა, მისი გად-აწყვეტა კი, ჩვენი აზრით, სამწუხაროდ, შეუძლებელი.

II ნაწილი

ენის ლექსიკის შესწავლის სემასიოლოგიური ასპექტისათვის არსებითია სიტყვის მნიშვნელობის დახასიათება, სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის აღწერა სინქრონულ დონეზე.

აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ურთიერთმიმართებაში საინტერესოა აღმნიშვნელის სემანტიკური აგებულება, შინაარსი, ლექსიკური სინტაგმატიკა, ენობრივი მეტაფორა.

ენობრივ ერთობებს ერთიმეორისაგან განასხვავებს აღსანიშნისა და აღმნიშვნელს შორის სხვადასხვაგვარი მიდგომა.

სხვადასხვა ენაში განსხვავებულად აისახება ობიექტური სინამდვილე: სივრცე, ბუნების მოვლენები, მცენარეთა თუ ცხოველთა სამყარო... სახელდების მომენტშიც, შესაბამისად სხვადასხვა ენაში, წინა პლანზე წამოიწევს აღსანიშნის სრულიად განსხვავებული თვისებები. მაგ.: ქართული **ხართუთა** — თუთა დახასიათებულია გარეგნული ნიშნის, სიდიდის მიხედვით; „ხარი“ ამ სიტყვაში სიდიდეზე უნდა მიაწინებდეს. შდრ.: ხარაბუზა „დიდი ბუზი“... აფხაზურად იგივე ხილს ჰქვია ამჟღად ❖ქიაწია „თუთა შავი“, აღსანიშნი დახასიათებულია გარეგნული ნიშნის მიხედვით, წინა პლანზე ამ შემთხვევაში მისი ფერია წამოწეული.

ლექსიკა განხილული უნდა იყოს ენობრივი ერთობის ყოფი-

სა და საქმიანობის გათვალისწინებით, რადგან ყოფის სხვადასხვაობა განსაზღვრავს იმ თავისებურებებს, რომელიც სხვადასხვა ენის ლექსიკური ფონდის შინაგან დანაწევრებაში შეიმჩნევა.

აფხაზური ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის სოლიდური ნაწილი მცენარეთა აღმნიშვნელ სახელებს მოიცავს.

მცენარეთა აღმნიშვნელ სახელწოდებებს სათანადო ნაშრომებში მეტ-ნაკლებად ეხება აფხაზურ-ადილური ენების თითქმის ყველა მკვლევარი. ეს ბუნებრივია, რადგან მცენარეთა სახელწოდებები ენის ლექსიკის განუყოფელი ნაწილია.

მცენარეთა ლექსიკის შესწავლის კუთხით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ნ. მარის, ა. დირის, არნ. ჩიქობავას, გ. მელიქიშვილის, ივ. ჯავახიშვილის, გ. წერეთლის, ს. ჯანაშიას, ქ. ლომთათიძის, გ. როგავას, ზ. კერაშევას, ა. გენკოს და სხვათა დამსახურება.

მოყოლებული პ. ჭარაიას მოღვაწეობის დროიდან დღევანდელი დღის ჩათვლით, ძნელად მოიძებნება აღნიშნულ ენათა სპეციალისტი, რომელიც თავის გამოკვლევებში გაკვირით მაინც არ შეხებოდეს მცენარეთა ლექსიკას.

ამ მრავალრიცხოვან ენათმეცნიერთა შორის უნდა გამოიყოს პ. ჭარაიას, ბ. ჯანაშიას, ხ. ბლაჟბას, ს. ამიჭბას, ვ. კონჯარიას, მ. ციკოლიას, მ. კუმახოვის, ვ. შენგელიას, ა. აბრეგოვის, ა. შაგროვის ნაშრომები.

აფხაზური ენის მკვლევარმა თ. გვანცელაძემ საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა ქართველიზმების გამოვლენას აფხაზურ ბოტანიკურ ტერმინოლოგიაში და თავის სადოქტორო ნაშრომში გამოიყენა, როგორც ერთ-ერთი დამხმარე საშუალება, აფხაზთა ისტორიული მიგრაციის მიმართულებათა განსაზღვრისათვის.

ჩამოთვლილ ავტორთა ამა თუ იმ გამოკვლევას ვიმოწმებთ ჩვენი ნაშრომის სათანადო ადგილებში.

საგანგებოდ განსახილველია მ. კუმახოვისა და ა. აბრეგოვის

მოსაზრებანი აფხაზურ-ადიღურ ენათა ე. წ. **რთული სიტყვების** წარმოების შესახებ. განვიხილავთ თითოეულ მათგანს:

მ. კუმახოვი თავის ნაშრომში „Морфология Адыгских языков“, Москва-Нальчик, 1964, დაწვრილებით განიხილავს ე. წ. რთულ სიტყვებს ადიღურ ენებში.

ავტორი სვამს კითხვას, არსებობს თუ არა უნივერსალური ენათმეცნიერული კრიტერიუმი, რომელიც გამოგვაყოფინებდა ზოგადად სიტყვას და რთულ სიტყვას კერძოდ? საკითხი სიტყვის საზღვრებზე, სიტყვის სტრუქტურის საერთო პრობლემაში შედის. ყველაზე მეტი პრობლემები აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაში, წამოიჭრება ნაწარმოები (მათ შორის რთული) სიტყვის საზღვრების დადგენისას. ადიღურ ენებში სიტყვათქმნადობა არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალება სიტყვაწარმოებისა. არსებულ აღწერით გრამატიკებში <რთული სიტყვის> შესახებ ჩამოყალიბებული მოსაზრება არ არსებობს. სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა სინტაქსური ერთეულები განიხილება რთულ სიტყვებად, ან რთული სიტყვები განკუთვნილია შესიტყვებებისადმი. ლექსიკური და სინტაქსური ერთეულების შეერთებით, ხან ფართოვდება და ხან ვიწროვდება რთული სიტყვის საზღვრები ადიღურ ენებში. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვაცალკევოთ რთული სიტყვა სინტაქსური შეერთების საფუძველზე მიღებულ <სინტაქსურ ერთეულთაგან>.

მრავალრიცხოვან ცდათა მიუხედავად, რთულ სიტყვასა და შესიტყვებას შორის ზღვარი ჯერ კიდევ სადავოა ზოგადლინგვისტური თვალსაზრისით. ა. ი. სმირნიცკის შრომებში ეს საკითხი შედარებით სრულად აისახა, მაგრამ არც მისი კრიტერიუმები შეიძლება ჩაითვალოს დასაბუთებულად. მართალი იყო აკად. ლ. ვ. შჩერბა, როდესაც ხაზი გაუსვა ცალკეული ენის ან მონათესავე ენათა ჯგუფის თავისებურებათა გათვალისწინების აუცილებ-

ლობას <რთულ სიტყვათა> განსაზღვრისათვის. ლ. ვ. შჩერბა წერდა: „მართლაც რა არის „სიტყვა?“ მე ვფიქრობ, რომ სხვადასხვა ენებში ეს სხვადასხვაგვარად იქნება“. ა. ი. სმირნიცკი სიტყვის ასეთ გაგებაში სკეპტიციზმს ხედავდა. მაგრამ სიტყვის ზოგადლინგვისტურ განსაზღვრებაზე მსჯელობა უსაფუძვლოა, იმდენად, რამდენადაც სიტყვის საზღვრები ენის გრამატიკული აგებულების სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა დადგინდეს.

უდავოა, რომ სიტყვაწარმოებითი კატეგორიები ლექსიკასა და გრამატიკასთან კავშირში, სხვადასხვა ენებში სხვადასხვაგვარია, რაც ამტკიცებს, რომ ზოგადლინგვისტური უნივერსალური განსაზღვრა, სიტყვისა ზოგადად და რთული სიტყვისა — კონკრეტულად შეუძლებელია. ეს განსაკუთრებით ნაწარმოებ სიტყვებს ეხება. ადილურ ენებში ფუძის მაწარმოებელი აფიქსები, რომელთა დახმარებითაც არსებითი სახელის მარტივი ფუძეებიდან იწარმოება ნაწარმოები სახელები, მხოლოდ ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელია. მაგრამ სხვაგვარადაა საქმე ზმნურ სიტყვაწარმოებაში, რომელიც ორგანულად არის დაკავშირებული გრამატიკულ კატეგორიებთან. ზმნური და სახელური სიტყვაწარმოებანი ერთ სიბრტყეზე ვერ განიხლება, რადგან სახელური სიტყვაწარმოებისას, სახეზე გვაქვს სიტყვა, რომელიც შემადგენელ ლექსემათაგან მხოლოდ ლექსიკურად განსხვავდება, მაშინ, როცა ზმნური სიტყვაწარმოება გრამატიკულ განსხვავებებსაც იძლევა.

შემდეგ კუმახოვი კრიტიკულად განიხილავს რთული სიტყვის გამოყოფისათვის ო. იესპერსენის, ნ. ფ. იაკოვლევის, ა. ი. სმირნიცკის, გ. პაულის მიერ შემოთავაზებულ კრიტერიუმებს.

ბოლო დროის მრავალ ნაშრომში რთული სიტყვისა და შესიტყვების განსასხვავებლად გრამატიკული მთლიანგაფორმებულობა „цельнооформленность“ ითვლება, როგორც უნივერსალური კრიტერიუმი თითქმის ყველა ენისათვის. მაგრამ ეს მეთოდი

ახალი არ არის. კუმახოვის აზრით, მხოლოდ ტერმინია ახალი — „გრამატიკული მთლიანგაფორმებულობა“, შემოტანილი ა. ი. სმირნიცკის მიერ.

იმავე კრიტერიუმით ხელმძღვანელობდა იესპერსენი: რთული სიტყვის მთავარ მახასიათებლად მასაც სიტყვის შემადგენელ ნაწილთა გრამატიკული მთლიანგაფორმებულობა მიაჩნდა, მაგრამ, როგორც კუმახოვი აღნიშნავს, გრამატიკული მთლიანგაფორმებულობა ცხადია, ვერ იქნება რთული სიტყვებისა და შესიტყვებების განსაზღვრისათვის უნივერსალური. ისეთი ენებისათვის, რომელშიც ლექსიკურ და სინტაქსურ ერთეულებს შორის მკაფიო ფონეტიკურ-გრამატიკული განსხვავება არ არის, მთლიანგაფორმებულობის კრიტერიუმი არასაკმარისი ან საერთოდ გამოუსადეგარი იქნება რთული სიტყვების შესიტყვებათაგან გასამიჯნავად. მაგალითად ამ ენებში (იგულისხმევა აფხაზურადილური ენები) სხვადასხვა სინტაქსური ერთეულები, მათ შორის ატრიბუტულ წარმონაქმნთა ყველა ტიპი, გრამატიკულად მთლიანგაფორმებული იქნება. მაგალითად, რთული სიტყვა მწმუჭჟუ „მატარებელი“, სიტყვასიტყვით: „ცეცხლოვანი ურემი“...

მაგ.: რთული წარმოებები შგშნ „კვიცი“ და ტნგშნ „ახალი სახლი“ ყაბარდოულში (ისევე, როგორც ადიღეურში) წარმოებულია ერთტიპიური სახელური ჯგუფების ბაზაზე (საზღვრული + მსაზღვრელი) შგშნ შედგება შგ „ცხენი“ + შნ „ახალგაზრდა, ახალი“... ტნწშნ შედგება ტნწ „სახლი“ + შნ „ახალი“. ამ ორ სიტყვას ფორმათწარმოების თვალსაზრისით, ერთნაირი სისტემა აქვს, წარმოადგენს ატრიბუტული შინაარსის სახელურ კომპლექსს. აქედან უნდა დავასკვნათ: თუკი რთული სიტყვების განსაზღვრაში თანმიმდევრულნი გვინდა ვიყოთ, დასძენს კუმახოვი, მაშინ სახელური კომპლექსები ტნწშნ ტიპისა, ადიღურ ენებში რთულ სიტყვებად უნდა მივიჩნიოთ. ასე იქცევა მაგალითად ნ. ფ. იაკოვლევი, ა. ნ. ბოგოლუბოვი, რომელიც უფრო

შორს მიდის და ისეთ სინტაქსურ ერთეულს, როგორცაა ციტ „ორი ხელი“ ასევე რთულ სიტყვად მიიჩნევს.

თუკი შერწყმულ სახელურ კომპლექსებს რთულ სიტყვებად ჩავთვლით, იმავე კრიტერიუმით, ლექსიკურ ერთეულადვე უნდა ჩაითვალოს განცალკევებული სახელური სინტაქსური ჯგუფებიც: კვრბგშ უნა „აგურის სახლი“ და ა. შ. მათ შორის აღნიშნული თვალსაზრისით არ არის სხვაობა.

ლინგვისტთა ნაწილი რთული სიტყვებისა და შესიტყვებების ურთიერთგასამიჯნავად იყენებს ფორმალურ და შინაგან იზოლაციურობას სიტყვათა სინტაქსური ჯგუფებისათვის. გ. პაული ითვალისწინებდა სიტყვათა ჯგუფის რთულ სიტყვაში გადასვლის მიზეზს, რომ სიტყვათშეერთება მთლიანად განკერძოებულია შემადგენელ ნაწილებთან მიმართებით. იზოლაციის გადამწყვეტი როლის შესახებ, რომელიც შემოთავაზებულია პაულის მიერ, მიუთითებს ვ. მ. ჟირმუნსკი თავის სტატიაში, რომელიც სიტყვათა საზღვრების საკითხებს ეძღვნება. რთულ სიტყვათა სტრუქტურული ტიპების ჩამოყალიბებისათვის ის კრიტერიუმი, რასაც პაული იზოლაციას ან განკერძოებას უწოდებს, საკმაოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ უკანასკნელის მოშველიებითაც კი, რთულ სიტყვათა და სინტაქსურ ერთეულთა მხოლოდ ნაწილის გამოყოფა თუ შეიძლება. იზოლაციის ნიშანი, შემადგენელი კომპონენტებისაგან და მათი დამოუკიდებელი ხმარებისაგან, ნაწილობრივ გამოაცალკევებს მყარ რთულ სიტყვებს, სტრუქტურულად შესაბამის სინტაქსურ ერთეულთაგან. ადილუური რთული წარმონაქმნი ფხაშ „სახნისი“, სიტყვა-სიტყვით: „ხის იარაღი“ და ფხაშენ „ხის სახლი“ კი, არის ერთმანეთის მსგავსი ფონეტიკურ-გრამატიკულ-სინტაქსური სტრუქტურით და ამავე დროს განსხვავდება ერთიმეორისაგან სემანტიკური თვალსაზრისით: მიმართებით, მთელისა შემადგენელ კომპონენტთა ჯამთან. მნიშვნელობა ფხაშ „სახნისი“ მხო-

ლოდ ეტიმოლოგიურად გამოიყვანება შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამიდან, მაშინ, როდესაც ფხაჟენ „ხის სახლი“ მნიშვნელობა საგნებით მოტივირებულია, შეესატყვისება შემადგენელ ნაწილთა მნიშვნელობების ჯამს. ამდენად რთული სიტყვა ფხაჟე „სახნისი“ განსხვავდება სახელური კომპლექსისაგან ფხაჟენ „ხის სახლი“ არა მარტო სტრუქტურული ნიშნებით, არამედ მნიშვნელობის გამოყვანლობითაც შემადგენელ ნაწილთა მნიშვნელობების ჯამისაგან. ასეთი სემანტიკური სხვაობა შეინიშნება მყარ რთულ სიტყვებსა და სახელურ კომპლექსთა შორის. რაც შეეხება თავისუფალ რთულ სიტყვებს, ისინი ამ მიმართებით არ შემოისაზღვრება სახელურ კომპლექსთაგან. შდრ.: ყაბარდოულის რთული სიტყვა ლ'გზ' „ბებერი“ და სახელური კომპლექსი ყგგაიგჟ „ბებერი მუხა“.

მიუხედავად იმისა, განაგრძობს კუმახოვი, რომ მრავალი ლინგვისტისათვის სემანტიკური კრიტერიუმი შეუვალთა, იგი (სემანტიკური კრიტერიუმით მიდგომა აღნიშნული საკითხისადმი) მაინც არ შეიძლება, რადგან იგი (სემანტიკური კრიტერიუმით) ამ საქმისათვის ძალიან სუსტი არგუმენტია.

ამრიგად, დაასკვნის ავტორი, ვერც გარეგნული აღნაგობა (კომპონენტთა შერწყმა), ვერც მახვილის გამაერთიანებელი ფუნქცია, ვერც სიტყვათცვლადობის ფორმა (მორფოლოგიური მთლიანგაფორმებულობა), ვერც სემანტიკური ნიშნები... ვერ გამოდგება რთულ სიტყვათა და სახელურ კომპლექსთა ერთიმეორისაგან გასამიჯნავად. პირიქით, ყველა ეს ლინგვისტური ნიშნები შესაძლოა საერთო ჰქონდეს რთულ სიტყვასა და სახელურ კომპლექსს.

რთულ სიტყვათა და სახელურ კომპლექსთა განხილვისას, არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან ერთი ფრიად საყურადღებო გარემოება: ფხაჟე „სახნისი“ ფუნქციონირებს ენაში, როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული, რთული

სიტყვა. თავდაპირველად იგი აღნიშნავდა „ხის იარაღს, მიწის სახნისს“, როდესაც ადიღეელებმა მოიპოვეს რკინის სახნისები, სიტყვამ მექანიკურად მათი აღნიშვნაც იტვირთა. მოტივირებული სიტყვა არამოტივირებულად იქცა, მაგრამ ამის მიუხედავად, მისი ნომინაციური ფუნქცია, აღნიშნა სამუშაო იარაღი, არ შეცვლილა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შესიტყვების რთულ სიტყვად ქცევის მიზეზი თავდაპირველ ნომინაციაში უნდა ვეძიოთ. ამჟამად, აღნიშნული ლექსემა არსებითი სახელია და ატრიბუტულ სახელურ კომპლექსად კი აღარ ფუნქციონირებს ენაში, არამედ, როგორც რთული სახელი. იგი არსებითი სახელის ეკვივალენტურია.

ამ რთული სიტყვისაგან განსხვავებით, სახელურ კომპლექსს ფხაჟუნ „ხის სახლს“ საგნობრივი მნიშვნელობა არ გააჩნია, არამედ შეიცავს წინადადების ორი წევრის ატრიბუტულ მიმართებას.

ადიღურ ენებში სახელურ სიტყვათმწარმოებელ აფიქსთა სიმცირე კომპენსირებულია სხვა ენობრივი საშუალებების გამოყენებით ლექსიკური მარაგის ახალი სიტყვებით შესავსებად.

რთული სიტყვების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სინტაქსური ერთეულების ლექსიკალიზაცია. როდესაც მსგავსი ტიპის რთული წარმოება რომელიმე ერთი ძირითადი ნიშნის მიხედვით, განსაზღვრული კონკრეტული საგნის აღმნიშვნელი ხდება, მაშინ იგი შემადგენელ ნაწილთა ფონეტიკურ-გრამატიკული ერთობის წყალობით, სინტაქსის სფეროდან ლექსიკის სფეროში გადმოინაცვლებს. ამის შემდეგ აღნიშნული რთული სიტყვათმწარმოებანი ფუნქციონირებენ ენაში არა როგორც სინტაქსური ერთეულები, რომლებიც მხოლოდ ატრიბუტულ მიმართებას გამოხატავს, არამედ უკვე, როგორც ლექსიკური ერთეულები, როგორც რთული სიტყვები. შდრ.: თხაჯიგმაჭაგხ „კურდღელი“ და შაგდ თხაჯიგმაჭაგხ „ყურგრძელი ვირი“...

როგორც ნათელია ზემოთ თქმულიდან, განაგრძობს კუმბა-
ხოვი, სიტყვათა შერწყმის შედეგად წარმოიშობა სხვადასხვა
ენობრივი მონაცემები: რთული სიტყვა (ლექსიკური ერთეული)
და სახელური კომპლექსი (სინტაქსური ერთეული). უფრო მე-
ტიც: ერთი და იგივე რთული წარმონაქმნი შესაძლოა ერთ შე-
მთხვევაში გამოყენებული იყოს, როგორც მეტყველების ნაწილი,
მეორე შემთხვევაში კი, როგორც სინტაქსური ერთეული.

მოყვანილი მაგალითები ადასტურებს აგრეთვე მოძრავი
საზღვრების არსებობას სხვადასხვა ენობრივ დონეებზე: სინტაქ-
სურსა და ლექსიკურ დონეზე ადილურ ენებში. ეს ყველაფერი
კი იმის შედეგია, რომ ბგერათკომპლექსი (ამ ტერმინის ფართო
გაგებით, ვლინდება და ვითარდება მეტყველებაში ენის სისტე-
მის სხვა კონსტიტუციურ ელემენტებთან ერთად (კუმბახოვი,
1964, 34-42).

სახელურ კომპლექსთა და მათი მოდელების მიხედვით
ჩამოყალიბებულ რთულ სიტყვათა გაიგივებას, სინტაქსური და
ლექსიკური ერთეულების აღრევამდე მივყავართ. ენათა სხვადას-
ხვა ენობრივი ოდენობების აღრევა რთული სიტყვის საზღვრების
გაფართოებასაც იწვევს. მაგრამ განსახილველი პრობლემის გად-
აწყვეტისას, შეინიშნება საწინააღმდეგო მიმართულება: რთუ-
ლი სიტყვის გაგების შევიწროება.

ადილურ ენათა სიტყვათქმნადობა, ამ ენებისათვის დამახასი-
ათებელი თავისებურებებით ხდება. მაგ.: ყაბარდოულის ლის'ლიჰ
გუჷ „რკინიგზა“, რთულ სიტყვას წარმოადგენს, მაშინ, როდესაც,
რუსულის „железная дорога“, შესიტყვებაა.

ყაბარდოული „რკინიგზა“ სიტყვის მსგავსი ორკომპონენტიან-
ნი მყარი, სახელური წარმონაქმნები, რთულ სიტყვათა კატეგო-
რიაში ერთიანდება. სახელურ კომპლექსთაგან განსხვავებით, ამ
ტიპის მყარი, რთული სიტყვები არსებითად განსხვავდება თავი-
სი ფუნქციური და სტრუქტურული ნიშნებით.

მყარი, რთული სიტყვები გამოხატავს არა მხოლოდ სემანტიკურ ერთობას, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ხასიათდება სტრუქტურული მთლიანობით (მიეკუთვნება ერთ პარადიგმატულ კლასს), სინტაქსურად დაუშლელია და ა. შ.

აქედან ნათელი ხდება, თუ რატომ არის, რომ ადილურ ენებში ამდენგვარი მყარი, რთული სიტყვებისა და მყარი, ზმნური შესიტყვებების პირობებში, შედარებით ღარიბადაა წარმოდგენილი სახელური მყარი, (ფრაზეოლოგიური) შესიტყვებანი. ეს არის ადილურ ენათა სპეციფიკური ნიშანი, რომელიც, ერთი შეხედვით, პარადოქსულადაც კი შეიძლება მოგვეჩვენოს, და განპირობებულია ამ ენათა გრამატიკული წყობის თავისებურებით.

მრავალრიცხოვანი მყარი სიტყვათშეერთებები „რკინიგზის“ ტიპისა, რომელიც მნიშვნელოვან პროცენტს წარმოადგენს ადილური ენების ლექსიკაში, უპასუხებს რთული სიტყვის ყველა ლინგვისტურ თვისებას. ეს მყარი წარმონაქმნები გვევლინება ლექსიკურ ერთეულებად და ლექსიკონებში უნდა შევიდეს, როგორც დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვები.

ნ. ფ. იაკოვლევი სახელურ, ინკორპორაციულ კომპლექსებს რთულ სიტყვებთან აიგივებს. გამოყოფენ რა, შერწყმულ ატრიბუტულ წარმოებას ატრიბუტული წარმოებისაგან, მკვლევრები მიდიან შემდეგ დასკვნამდე: ადილურ ენებში ერთი და იგივე სინტაქსური კავშირი (ატრიბუტული), გამოიხატება ორი სხვადასხვა საშუალებით: ინკორპორაციული კომპლექსით და სიტყვათშეწყობით (შეერთებით)...

ინკორპორაციული ამორფული შერწყმა უნაჩა „ახალი სახლი“ ტიპისა, განიხილება მთლიანად, როგორც წინადადების ნაწილი, „ამორფული სიტყვათშეერთება“, ხოლო ატრიბუტული წარმოება უნა ინ „დიდი სახლი“, როგორც სინტაქსური შესიტყვება, რომელიც წინადადების წევრებისაგან შედგება.

ამასთან ერთად, დასძენს კუმანოვი, რაც ინკორპორაციუ-

ლობის თეორიის მომხრეთათვის ძალიან მნიშვნელოვანია, შერწყმული ატრიბუტული წარმოება, როგორც ინკორპორაციული მოვლენა, შესიტყვებასთან შედარებით, არისო, უფრო არქაული, ძველი საშუალება სინტაქსური ურთიერთობის გამოხატვისა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შერწყმა უნაჩა „ახალი სახლი“, რომელიც ჩათვლილია ინკორპორაციულ კომპლექსად, ჯერ კიდევ წინადადების წევრებად დაუყოფელი, წინ უსწრებს წინადადების წევრთა ჩამოყალიბებას (მსაზღვრელისა და საზღვრულისა).

თუ ვაღიარებთო, განაგრძობს კუმახოვი, სახელური სინტაქსური ჯგუფის წევრებს ინკორპორაციულ კომპლექსად, განსაკუთრებულ სინტაქსურ ერთეულად, მაშინ ერთი და იგივე ატრიბუტული წარმონაქმნი ორ ადილურ ენაში, სხვადასხვა სინტაქსურ ერთეულად უნდა ჩავთვალოთო:

მაგალითად, ასეთი პრინციპიდან ამოსვლით, ფხანურ „ხის სახლი“ ადილურში, უნდა ჩავთვალოთ არქაულ, ინკორპორაციულ მოვლენად, იგივე წარმონაქმნი ფხანურ „ხის სახლი“ ყაბარდოულში, უნდა მივაკუთვნოთ სხვა სინტაქსურ ერთეულებს, მაშინ, როცა, ორსავე შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთსა და იმავე სინტაქსურ ერთეულთანო.

თქმულიდან ცხადიაო, დასძენს კუმახოვი, რომ სიტყვათშერწყმა მიმდინარეობდა სიტყვათშეწყობის ბაზაზე. ეს უდავო და თავისთავად ცხადი ფაქტი უარყოფს თეორიას, რომ სახელური ატრიბუტულ წარმონაქმნებს, რომელიც შედგება წინადადების წევრთაგან, წინ უსწრებდა სახელური ინკორპორაციული კომპლექსები. არ არსებობს იმის საფუძველი, რომ შერწყმული ატრიბუტული წარმონაქმნები ინკორპორაციულ მოვლენად ჩაითვალოს. სახელური სინტაქსური ჯგუფის გარეგნული შერწყმა — მეორეული მოვლენაა და მის ლექსიკურ-გრამატიკულ მნიშვნელობაზე არ მოქმედებს.

გარდა ამისა, ადილურ ენებში განსაზღვრება, რომელიც

გადმოცემულია ვითარებითი ზედსართავი სახელით, ატრიბუტულ ერთეულში, ინარჩუნებს ვითარებითი ზედსართავი სახელის სრულ პარადიგმას.

კუმახოვი „სახელურ ინკორპორაციულ კომპლექსებს“ ატრიბუტულ ერთეულებად განიხილავს. ინკორპორაციულ წარმონაქმნებად კი მკვლევარი თვლის დპ-ფლ'გ-ჩგ-ნ „საიდანმე გამოხედვა“ ზმნის ტიპს, რომელიც წარმოქმნილია ზმნური ფუძეების ჩართვით, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფუძეების ერთობაში.

დასასრულ, კუმახოვი აღნიშნავს, რომ რთული სიტყვის საზღვრების დადგენისათვის, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სინქრონიისა და დიაქრონიის ურთიერთმიმართების საკითხს. ისტორიზმი მნიშვნელოვანია ენის თანამედროვე სისტემის სწორად ახსნისათვის. მაგრამ უდავოა, ისიც, რომ სიტყვის სტრუქტურის პრობლემა, მათ შორის რთული სიტყვის, შეუძლებელია გადაწყდეს ისტორიის გაუთვალისწინებლად. ისეთი გავრცელებული მოვლენები, როგორცაა რთული ფუძის ერთ-ერთი კომპონენტის გრამატიკულ წარმონაქმნად ქცევა, შესიტყვების ლექსიკალიზაცია და სხვ., მოითხოვს ჩვენთვის საინტერესო პრობლემასთან კონკრეტულ მიდგომას.

რთული სიტყვის საზღვრების დადგენისას, ყოველთვის გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ ენა მუდმივგანვითარებადი მოვლენაა.

რთული სიტყვის საზღვრების დადგენისათვის, აუცილებელია, აგრეთვე ენის გრამატიკული წყობის თავისებურებათა გათვალისწინება, დიაქრონიისა და სინქრონიის ურთიერთმიმართება. სხვადასხვა გრამატიკული წყობის ენებში და ერთი ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, დახასიათებული რთული სიტყვები, შესაძლოა სრულიად განსხვავებული იყოს. უფრო მეტიც: სინქრონიულ კრილში, ერთსა და იმავე ენაში, რთულ სიტყვათა სხვადასხვა ტიპებს სხვადასხვა კრიტერიუმები აქვთ,

რომელიც გამოაცალკევებს ამ უკანასკნელთ შერწყმული ენობრივი ერთეულებისაგან. აქედან, ბუნებრივია, გამოდის დასკვნა, რომ უნივერსალური კრიტერიუმის მოძებნის ცდა, რთული სიტყვების საზღვრების გამოყოფა/დადგენისა, მიემართება ენათა სინამდვილის მრავალფეროვნების უარყოფისაკენ (კუმახოვი, 1964, 48-58) — ანუ, არ არსებობს უნივერსალური კრიტერიუმი. ყველა ენას ინდივიდუალურად უნდა მიუდგეს მკვლევარი.

ამ დამაჯერებელი, ლოგიკური მსკლობის შემდეგ, კუმახოვი გთავაზობს რთულ სიტყვათა კლასიფიკაციის ცდებს აფხაზურ-ადიღურ ენათათვის.

იმდენად, რამდენადაც ჩვენი ნაშრომის განსახილველ სიტყვათა სოლიდური ნაწილი წარმოადგენს ე. წ. „რთულ სიტყვებს“ მცენარეთა ლექსიკაში, საჭიროდ მიგვაჩნია, ვრცლად გადმოვცეთ კუმახოვის ნააზრევი აღნიშნულ სიტყვათა კლასიფიკაციის შესახებ.

ენათმეცნიერულ ლიტერატურაში ტრადიციად იქცა რთული სიტყვების სემანტიკური მახასიათებლების მიხედვით დაყოფა. ეს კლასიფიკაცია, შემოთავაზებული გერმანელ ლინგვისტთა მიერ, აგებულია რთულ სიტყვათა კომპონენტების ურთიერთმიმართებაზე. ამ კლასიფიკაციის თანახმად, აღწერიტ გრამატიკებსა და სპეციალურ გამოკვლევებში, რომლებიც სხვადასხვა ენათა სიტყვაწარმოებას ეძღვნება, რთული სიტყვები, ჩვეულებრივ იყოფა: დაქვემდებარებით (**Determinativkomposita**) და თანწყობილ (**Kopulativkomposita**) კონსტრუქციებად.

დაქვემდებარებითი, ან როგორც მას უწოდებენ სხვა შემთხვევაში, განსაზღვრებითი რთული სიტყვები, წარმოქმნილია დაქვემდებარების საფუძველზე, რთული სიტყვის ერთი კომპონენტი მეორის მნიშვნელობას აზუსტებს. შდრ.: ადიღური ნაფსგ, ყაბარდოული ნაფს „ცრემლი“ (ადიდ., ყაბ. ნა „თვალი“, „თვა-

ლის“ + ადილ., ყაბ. ფსგ „წყალი“).

თანწყობილი რთული სიტყვები წარმოქმნილია კომპონენტთა ურთიერთგანლაგების შედეგად: შდრ.: მაგ.: ადილ. ლჰუ-ჩჰუ „გარეული ფრინველი“, ლჰუ „გოჭი“ + ჩჰუგ „ბეკეკა“, ყაბ. ჯჰდ-ყაზ „სახლის ფრინველი“ (ჯჰდ „ქათამი“ + ყაზ „ბატი“).

რთულ სიტყვათა შემოთავაზებული სინტაქსური კლასიფიკაცია გაზიარებულია, თუმცა არათანმიმდევრულად, დ. ა. აშხა-მაფის:, ნ. ფ. იაკოვლევის, გ. ფ. ტურჩანინოვისა და მ. ცაგოვის მიერ.

რთულ სიტყვათა დაქვემდებარებით და თანწყობილ ჯგუფებად დაყოფა ვერ გამოხატავს ვერც სიტყვაწარმოებით და ვერც ლექსიკურ-გრამატიკულ სტრუქტურას რთული სიტყვებისა. ამის გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ სინტაქსურ ტერმინთა ლექსიკაში გადატანა, განსაკუთრებით ტერმინისა, „დაქვემდებარება“, მთლად გამართლებული არ არის. როგორც უკვე იყო აღნიშნული, რთული სიტყვის კომპონენტებს შორის ირდევია ხოლმე სინტაქსური კავშირი, რომელიც შესიტყვებას, ჩვეულებრივ, ახასიათებს.

რთული სიტყვები, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავეოთ (მოვახდინოთ მათი კლასიფიკაცია) სიტყვათმაწარმოებლური ნიშნებით.

ადილურ ენებში უნდა გამოიყოს რთულ სიტყვათა წარმოების შემდეგი საშუალებანი:

1. თხზვა „сложение“
2. თხზვა შემაერთებელი მორფემით
3. თხზვა რედუბლიკაციით
4. მორფოლოგიურ-სინტაქსური საშუალება, კონვერსია
5. სემანტიკური საშუალება.

რა თქმა უნდა, სხვა ენებში არსებობს რთულ სიტყვათა წარმოების სხვა საშუალებებიც, შესაძლოა, ჩამოთვლილ საშუა-

ლებათაგან, ესა თუ ის საშუალება, ამა თუ იმ ენას არ გააჩნდეს. არსებობს საერთოდ სიტყვათქმნადობის და კონკრეტულად რთულ სიტყვათა ქმნადობის მრავალი საშუალება. ფუძეთქმნადობა „основосложение“ მხოლოდ ერთ-ერთია მათ შორის. რაც შეეხება სტრუქტურულ ტიპებს (მორფოლოგიურ წყობას) რთული სიტყვებისა, ისინი გამომდინარე სხვადასხვა ენის განსხვავებული სტრუქტურიდან, შესაძლოა უკიდურესად სხვადასხვაგვარნი იყონ (კუმახოვი, 1964, 105-108).

კუმახოვი, აღნიშნავს, რომ დესკრიპციულ ენათმეცნიერებაში მორფოლოგიური ერთეულების ანალიზისას, გამოიყენება **უშუალო შემადგენელი ნაწილების** გამოყოფის მეთოდი (immediate constituent). როგორც ცნობილია, აღნიშნული მეთოდი გამოიყენებოდა ენათა სხვადასხვა დონეზე. მორფოლოგიური დაყოფა სიტყვისა, უშუალო **შემადგენელ ელემენტებად, (სიტყვის) ტრადიციული მორფოლოგიური სტრუქტურის ანალიზთან** შედარებით, უკეთესია. როგორც სამართლიანად აღნიშნავენ დესკრიპტივისტები, უშუალო შემადგენელ ნაწილთა ანალიზისას, გამოიკვეთება არა მხოლოდ ყველაზე მცირე, მნიშვნელობის მქონე ერთეულები, არამედ მოდელები და კონსტრუქციები.

წარმოებული სიტყვის დაყოფისას უშუალო შემადგენლებად, ფუძის შიგნით მორფემათა კავშირი დგინდება, რაც უშუალო შემადგენელთა რამდენიმე ფენის გამოყოფის საშუალებას იძლევა. ეს კი, თავის მხრივ, გამოაშკარავებს მოქმედ მოდელებს, ანუ ნაკლებად რთული ერთეულებით, შედარებით უფრო რთული ერთეულების ჩამოყალიბების პროცესს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მორფემული სტრუქტურის ჩვეულებრივი ანალიზისაგან განსხვავებით, უშუალო შემადგენელ ნაწილთა გამოყოფისას, გამოჩნდება სიტყვის მორფოლოგიური შემადგენლობის ღერძი. სიტყვაწარმოებისას, გამოაშკარავდება, თუ რა არის

მთლიანი, რა მოდელირებული, რა სინთეზირებული. უშუალო შემადგენელთა ანალიზის მეთოდმა შესაძლოა დადებითი შედეგები მოგვცეს ისეთ ენათა სიტყვაწარმოების გარკვევისას, რომლებიც ხასიათდება სიტყვის მრავალმორფემული აგებულებით. მაგალითად, ადილურ ენებში, მორფემათა უძრავი განლაგების პირობებში, სიტყვის შიგნით, თავისუფლად შესაძლებელია, სიტყვის დაყოფის პროცესში, მორფემათა გადაჯგუფება. დაყოფა შეიძლება მოხდეს სხვადასხვა წერტილიდან: დასაწყისი, ან ბოლო მორფემიდან, იმდენად, რამდენადაც სიტყვის შიგნით, ერთი მორფემა, მიმართებით წინამავალ და ასევე მომდევნო მონაკვეთთან, ქმნის დამოუკიდებელ, ფუნქციურად მნიშვნელობიან და თავისი სტრუქტურით ბინარულ ერთეულს.

ამ მეთოდის გამოყენებით, სინქრონიულ და დიაქრონიულ ჭრილში, შესაძლოა, ერთისა და იმავე სიტყვის შემადგენელ ნაწილთა სხვადასხვა რაოდენობა მივიღოთ.

აფხაზურ-ადილურ ენათა მიმართებაში, სადაც ფუძეთქმნადობა არაიშვიათად, აფიქსაციით და სხვა, სინქრონიულ მიმართებათა დამჩრდილავი მოვლენებით მიმდინარეობს, სიტყვის ყოველმხრივი გამოკვლევისათვის სინქრონიულ დონეზე, აუცილებელია უშუალო შემადგენელ ნაწილთა ანალიზის მეთოდის გარდა, გამოყენებულ იქნეს ტრანსფორმაციული ანალიზის მეთოდი.

ამრიგად, დასძენს კუმახოვი, უშუალო შემადგენელთა გამოყოფის მეთოდისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება, რომელიც ლინგვისტთა ნაწილს გააჩნია, სრულიად **უსაფუძვლოა**.

უშუალო შემადგენელთა მეთოდი, ისევე, როგორც ენათმეცნიერული ანალიზის სხვა სტრუქტურული მეთოდები, საშუალებას იძლევა დიდი სისრულით გამოვლინდეს ურთიერთკავშირი ელემენტებს შორის, რომლებიც შეადგენს სიტყვის მორფემულ სტრუქტურას. მართალია ბლუმფილდი, როდესაც ამბობსო, რომ უშუალო შემადგენელთა პრინციპი საშუალებას გვაძლევს

სიტყვათქმნადობის სხვადასხვა პრინციპები განვსაზღვროთ (მაგალითად, რთული სიტყვები, რთული-აფიქსური სიტყვები და სხვ.) უნდა ვაღიაროთ, რომ სინქრონიული ანალიზისას ხშირია სხვადასხვა სიტყვაწარმოებითი მოდელების აღრევა.

მაგრამ არ უნდა გავაზვიადოთ უშუალო შემადგენელთა მეთოდი სინქრონიულ მიმართებათა და სიტყვის მორფოლოგიური აგების საკითხის გადაწყვეტაში. უშუალო შემადგენელთა მეთოდი, როგორც ენობრივ ერთეულთა დაყოფის ერთ-ერთი მეთოდი, მორფემულ დონეზე, გამოყენებადია მხოლოდ ნაწარმოებ სიტყვათა გარკვეული ტიპისათვის.

სიტყვის მორფემული და სიტყვაწარმოებითი აგებულება, ხშირად ერთიმეორეს ემთხვევა.

აღიღურ ენებში სიტყვა თხზნა შედგება ორი მორფემისაგან, ძირისაგან თხზ „წერა“ და სუფიქსისაგან -ჩხ. ამ სიტყვის მორფემული შემადგენლობის სინქრონიული ანალიზი ავლენს მის სიტყვაწარმოებით აგებულებას, მორფოლოგიურ აგებულებასთან ერთად.

როდესაც სიტყვის ყველა მნიშვნელობიანი ელემენტი (ძირი, აფიქსი) უშუალოდ მონაწილეობს სიტყვის ჩამოყალიბებაში, სიტყვის მორფემული და სიტყვაწარმოებითი ანალიზი იგივეობრივია.

უშუალო შემადგენელთა მეთოდი არსებითად არ განსხვავდება სიტყვის მორფემული სტრუქტურის სინქრონიული ანალიზისაგან. მაგრამ აღნიშნული მეთოდის ნაკლი ამაში არ მდგომარეობს. მთავარი ნაკლი ამ მეთოდისა ის არის, რომ იგი გამოუსადეგარია მრავალი სიტყვის სიტყვაწარმოებითი მოდელებისათვის, რომლებიც ხასიათდება რთული და აფიქსური ძირების მონაწილეობით. დესკრიპტივისტების აზრით კი, აღნიშნული მოდელი პირველად სწორედ სიტყვაწარმოებითი მოდელებისათვისაა განკუთვნილი.

ამრიგად, თუ სიტყვის დესკრიპციული ანალიზი მიზნად ისახავს უმცირესი, მნიშვნელობის მქონე, ელემენტების გამოვლენას, მათი სიტყვაწარმოებითი მოდელი ჩრდილში რჩება. და პირიქით, როდესაც მოცემული სიტყვების ანალიზი მიმართულია სიტყვაწარმოებით მოდელთა გამოყოფისაკენ, ვერ ვლინდება ყველა უმარტივესი მნიშვნელობიანი ელემენტი, რომელსაც ეს სიტყვები შეიცავს.

ბოლოს, აუცილებელია აღინიშნოს, დაასკვნის კუმახოვი, რომ უშუალო შემადგენელთა მეთოდი სრულიად გამოუსადეგარია ისეთ სიტყვათა სტრუქტურული ანალიზისათვის, რომელთა ფუძეც არ ექვემდებარება დიქტომიურ დაყოფას, მიუხედავად, მათი მორფოლოგიური დაყოფადობისა და გამჭვირვალეობისა. განხილული მეთოდი ხომ იქიდან ამოდის, რომ წარმოქმნილი სიტყვა, როგორც სინტაქსური მონაკვეთი, თავისი სტრუქტურით ბინარულია და აქვს გარკვეული დანაშრეგების მოწესრიგებულობა. ამასთან, ენებში, სადაც ძირისეულ მორფემას შეუძლია შეერწყას ფუძის მაწარმოებელ აფიქსთა მთელს კომპლექსს, რომლებიც გამოხატავს სივრცით, საურთიერთო, უკუქცევით და სხვ. მიმართებებს, სიტყვის მორფემული სტრუქტურის დიქტომიური ანალიზი შეუძლებელი აღმოჩნდება.

ასე, რომ დიქტომიური დაყოფის პრინციპზე დამყარებთ, ენის მოქმედ მოდელთა გათვალისწინებით, უშუალო შემადგენელთა მეთოდი იძლევა საშუალებას გამოვაცალკევოთ სინქრონიული ტიპის სიტყვაწარმოება მათი მორფემული აგებულებისაგან. მორფემულ დონეზე კი აღნიშნული მეთოდის გამოყენება შეზღუდულია ნაწარმოებ სიტყვათა გარკვეული ტიპით (კუმახოვი, 1964, 25-33).

საინტერესოდაა წარმოდგენილი რთული სიტყვების საზღვართა დადგენის საკითხი ა. ნ. აბრეგოვის გამოკვლევაში: „Исследования по лексике и словообразованию адигейского

языка, Майкоп, 2000“: რთული სიტყვები ადიღურ და ყაბარდო-ულ-ჩერქეზულ ენებში ხასიათდება მრავალი სპეციფიკური თავისებურებით და სიტყვაწარმოებითი მოდელების მრავალფეროვნებით, რომლებიც სხვადასხვა პროდუქტიულობისაა. სიტყვათშეერთება ერთ-ერთი უძველესი და გავრცელებული საშუალებაა ამ ენების ლექსიკის გამდიდრებისა მათი ისტორიული განვითარების გზაზე. კომპოზიტებს განეკუთვნება სიტყვათა უმეტესობა, რომლებიც გვხვდება ადიღური ენების ბოტანიკურ ნომენკლატურაში. ფსგდიცანა „დუმფარა“, ფსგდიგ „მდინარის შუაგული“, ყანა „მაგიდა“ (აბრეგოვი, 2000, 79).

თუ კომპოზიტი — ეს არის (ლექსემა), სიტყვათშეერთება — ეს არის ორი ან მეტი დამოუკიდებელი სიტყვის შეერთება, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია აზრობრივად და გრამატიკულად, გამოხატავს ერთიან, მაგრამ დანაწევრებულ მნიშვნელობას და წარმოადგენს ობიექტური სინამდვილის ან მოვლენის რთულ სახელწოდებას.

როგორც ქვემოთ მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს, მცენარეთა სახელდებისათვის გამოიყენება, როგორც რთული სიტყვები, ასევე სიტყვათშეერთებანი. ასეთი სიტყვათშეერთებები, როგორც წესი, ბინარულია, რომელშიც პირველი კომპონენტი გამოხატავს გვარს (მცენარისა), მეორე კი სახეობას (თუკი ატრიბუტულ კომპლექსში მეორე კომპონენტი გამოხატულია ვითარებითი ზედსართავით): ადიღ. ჯიგმბღლ ჭგზ „ალვის ხე პირამიდისებური“. სიტყვასიტყვით: „ალვის ხე გრძელი“...

მეორე კომპონენტის როლში შეიძლება მოგვევლინოს ზმნური ფორმა: ადიღ. ჯანჩი დჰჭუაი „ჭრელი ლობიო“, სიტყვასიტყვით: „ლობიო მალლა ამსვლელი, შემომხვევი“. სხვა შემთხვევაში, ბინარულ შეერთებაში, პირიქით, პირველი კომპონენტი გამოხატავს სახეობითს, მეორე (მცენარის) გვარის გავებას (თუ სიტყვათშეერთებაში, ატრიბუტულ მიმართებას გამოხატავს მი-

მართებითი ზედსართავი ან სიტყვა, რომელიც მისი ფუნქციით იხმარება): ჩერქ. ყვრგმ ყაბ „ჩვეულებრივი გოგრა“, სიტყვა-სიტყვით: „ყირიმული გოგრა“... შედარებით იშვიათად გვხვდება სამკომპონენტიანი შეერთებანი, რომელიც მცენარის სახელწოდებას წარმოადგენს: ფსგ ზგჰთ ყიგზ' „მსხლის წყლიანი ჯიში“, სიტყვასიტყვით: „წყლის (წვენის) შემცველი მსხალი“ (აბრეგოვი, 2000, 80). ... აღიღუტრში შედარებით იშვიათია კუთვნილებით-გაფორმებული სიტყვათშეერთებები. ასეთი სინტაქსური წყვილის შემადგენლობაში ერთ-ერთ კომპონენტად გვევლინება ანთროპონიმი: ნაჯგყი ია-ტუც „მცენარის სახელწოდება, რომელიც კარიესის სამკურნალოდ იხმარება“, სიტყვასიტყვით: „ნაჯყეების 'მათი' ბალახი (წამალი)“.

... გვხვდება ასევე სინტაქსური ოდენობები... რომლებიც უახლოვდება რთულ სიტყვებს, რომელთა კომპონენტები მსაზღვრელ-საზვრულ ან საზღვრულ-მსაზღვრელობით ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფებიან. მეორე მხრივ, შინაარსობრივად ეს რეალიები ემთხვევა ჩვეულებრივ (ტიპურ) სიტყვათშეერთებებს, რომლებიც გამოხატავს ერთიან, მაგრამ განცალკევებულ შინაარსებს, თუმცა გრაფიკულად ისინი სიტყვებივით გამოისახება. ამრიგად, სიტყვათშეერთების ეს ტიპი განსხვავდება, როგორც რთული სიტყვების, ასევე სიტყვათშეერთებებისაგან... ასეთი სახეობების აღსანიშნავად გამოიყენება სხვადასხვა ტერმინი: „სინტაქსური კომპლექსი“, „სახელური კომპლექსი“, „შეხორცებული სახელური კომპლექსი“... და სხვ... (აბრეგოვი, 2000, 81).

აბრეგოვი ასეთი სიტყვათშეერთებების აღსანიშნავად გთავაზობს შედარებით უნივერსალურ სახელწოდებას: **სინტაქსური ბლოკი**, ითვალისწინებს რა, რომ აღნიშნული ტიპის წარმოება, რთული სიტყვებისა და ჩვეულებრივი სიტყვათშეერთების საზღვარზე იმყოფება. ამ ტერმინით ხაზი გაესმება, აღნიშნული სიტყვათშეერთების მთავარ დამახასიათებელ თვისებას:

მთლიანობას. სინტაქსური ბლოკის / სინტაქსემის შემადგენელი კომპონენტების სტრუქტურა სემანტიკურად გამჭვირვალეა (აბრეგოვი, 2000, 82).

თავისთავად, ნებისმიერი კომპონენტი დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვებადაც გამოიყენება. ისინი, შესაძლოა, პოლისემიურნი ან ომონიმურნი იყვნენ, მაგრამ, როდესაც სინტაქსური ბლოკის შემადგენლობაში შედიან, მთლიანად ან ნაწილობრივ ესხნებათ პოლისემია და ომონიმია. მაგ., სიტყვა ცნადიდეურში პოლისემიურია, იგი აღნიშნავს: „ბილს“, „კბილანას“, „მცირე საჭრელს“, „მარცვალს“ და სხვ. როდესაც იგი შევაერთი ტიპის სიტყვათშეერთებაში: ქიხცვც „ხორბლის მარცვალი“, ნათრჯცა „სიმინდის მარცვალი“, იგი მხოლოდ ერთმნიშვნელობიანი ხდება, ცნ-ს აქვს მხოლოდ ერთი მნიშვნელობა „მარცვალი“... (აბრეგოვი, 2000, 82, 83).

აჯამებს რა ზემოთ თქმულს, აბრეგოვი აღნიშნავს რომ: **სინტაქსური ბლოკი**, ეს არის გრაფიკულად სიტყვა, რომელიც აქცენტოლოგიური, ფორმათწარმოებითი, ორთოგრაფიული ურთიერთობით უახლოვდება რთულ სიტყვებს, ხოლო სემანტიკურად და შეერთების საშუალებებით, ემთხვევა გარდამავალ სიტყვათშეერთებებს (აბრეგოვი, 2000, 83).

ამ პრობლემას ეხება კუმახოვიც: აღნიშნავს, რომ რთული სიტყვები გვევლინება მთლიან სტრუქტურულ ერთეულებად, რომლებიც ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: 1. სემანტიკური მთლიანობა, 2. ერთი პარადიგმატული კლასისადმი განკუთვნება. 3. კომპონენტთა კომპაქტურობა. 4. კომპონენტის უნარმოკლებულობა განისაზღვროს სხვა სიტყვებისაგან განცალკევებულად. კომპონენტთა მყარი მოწესრიგებულობა (რიგი) (აბრეგოვი, 2000, 83-84).

გ. პაული მივიდა იმ მოსაზრებამდე, რომ რთული სიტყვები უნდა გაიყოს ორ ფენად: „უფრო აღრინდელი, რომელიც შედგე-

ბა სიტყვებისაგან, რომლებიც მომდინარეობს უშუალოდ ფუძე ენიდან, ან წარმოქმნილია მათი ანალოგიით, და გვიანდელი, რომელიც ჩამოყალიბდა ამ მაგალითთაგან დამოუკიდებლად სხვადასხვა ენათა გავლენის ნიადაგზე. მეორე ტიპის სიტყვათა წარმოება არაიშვიათია ჩვენს თვალწინ, მის საფუძველში ყოველთვის ძვეს თავდაპირველი დამოუკიდებელი ელემენტების სინტაქსური შეერთება (აბრეგოვი, 2000, 84).

ო. იესპერსენსაც შესაძლებლად მიაჩნდა ორი დამოუკიდებელი სიტყვის ერთ მთლიან სიტყვად ჩამოყალიბება (აბრეგოვი, 2000, 84).

ე. ბენვენისტის აზრით, სახელური შეერთება — ეს არის მიკროსინტაქსისი, რთული სახელების თითოეული ტიპი უნდა შესწავლილ იქნეს, როგორც თავისუფალი სინტაქსური სიტყვების ტრანსფორმაციის შედეგი (აბრეგოვი, 2000, 84).

ლ. ბლუმფილდი თვლიდა, რომ აუცილებელია რთული სიტყვების დაყოფა: სიტყვათშეხამებიდან წარმოშობილად და რთულ სიტყვათაგან წარმოშობილად (აბრეგოვი, 2000, 85).

პაულის აზრით, სინტაქსური შესიტყვებიდან რთულ სიტყვაზე გადასვლა თანდათანობითია. ეს პროცესი კარგად ჩანს დამწერლობიან ენებში. ახალდამწერლობიან ენებშიც იგივე პროცესია საგულგებელი. ამაზე მიუთითებს კუმახოვი. ჩვენი დაკვირვებებით, განაგრძობს აბრეგოვი, სიტყვათშეხამებების ბაზაზე, ყალიბდება მნიშვნელობათა სპეციალიზაციისაკენ მიმართული მცენარეთა სახელწოდებები.

ბლუმფილდმა მიაქცია ყურადღება, რომ რთული სიტყვები უფრო მეტად სპეციალიზებულია, ვიდრე სიტყვათშეხამებანი. და აქვთ უფრო ვიწრო მნიშვნელობა, ვიდრე სიტყვათშეხამებებს (აბრეგოვი, 2000, 85).

რთული სიტყვების გენეტიკური კავშირი სიტყვათშეხამებებთან, რომლებიდანაც ისინი ჩამოყალიბებულია, უფრო ადვილი

თვალის გასადევნებელია, როცა სიტყვათშეხამება ფრაზეოლოგიური. შდრ.: გიჟდღაღახ/ნ „პიტნა“, გიჟ „გული“, ჟგ „ჰაერი“, დაღახ/ნ „შემშვები“ და ფრაზეოლოგიური შესიტყვება სგგგ ჟგ დღაღახ „დამაწყნარე“, სიტყვასიტყვით: „ჩემს გულში ჰაერი შემშვებინე“.

... შესიტყვებათაგან და სინტაქსურ ბლოკთაგან რთული სიტყვების ჩამოყალიბების ანალიზი ცხადყოფს, რომ განსაზღვრულ ეტაპზე ეს ორი ოდენობა ენაში თანაარსებობდა. შემდეგ, რთული სიტყვის მდგომარეობა მყარდება, ხოლო შესიტყვება, როგორც არასაჭირო იკარგება. ამას ცხადყოფს ორჭოფი მათი დაწერილობისას (ერთად დაიწეროს, თუ ცალ-ცალკე).

ბალყაროვი აღნიშნავს, რომ ზოგჯერ წარმოებული ფორმები იკავენს პირველადი ფორმების ადგილსო. ამის შედეგად პირველადი ფორმები იკარგება და ნაწარმოები რჩება. (აბრეგოვი, 2000, 87).

რთული სიტყვები, თავის მხრივ, ფონეტიკურ და სემანტიკურ ცვლილებათა ზეგავლენით ტრანსფორმირდება მარტივფუძიან სიტყვებად.

აღიღურ ენათმეცნიერებაში ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი საკითხი იმის შესახებ, თუ რა გზა გაიარა ერთკომპონენტთანმა მცენარეთა სახელწოდებებმა, რომლებიც ბინარული სიტყვათშეხამებებიდან მომდინარეობს. საქმე ეხება სემანტიკურ კონდენსაციას (უნივერბაციას), როცა ლექსიკურად, სემანტიკურად განსხვავებულ ორშემადგენლიან სახელწოდებათაგან ყალიბდება ერთშემადგენლიანი სახელწოდება. ამასთან, მიღებული ლექსემა მთლიანად ინარჩუნებს პირველად მოტივაციას, რომელიც გააჩნდა მაშინ, როდესაც იგი იყო ორწევრიანი.

ავტორი დაასკვნის, ჩატარებული დაკვირვება ამტკიცებს, რომ არსებობს საკმაოდ რთული ურთიერთდამოკიდებულება რთულ სიტყვებს, სინტაქსურ ბლოკებსა და სიტყვათშეერთებებს

შორის (აბრეგოვი, 2000, 88).

ა. აბრეგოვის აღნიშნულ ნაშრომში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი მცენარეთა აღმნიშვნელი სახელწოდებების უნივერსალისა და ელიფსური დერივაციის პრობლემის განხილვას:

აფხაზურ-ადიღურ ენათა სიტყვაწარმოების თეორიაში სუსტად არის გაშუქებული შეკუმშული სიტყვაწარმოება, რომლის წყალობითაც წარმოიშობა ნომინატიური ერთეულები, რომლებიც საწყისი სიტყვის მნიშვნელობის მატარებელია, მაგრამ მისგან (ამოსავალი სიტყვისაგან, შედარებით მოკლე ფორმით განსხვავდება. აქვე უნდა შევიდეს უნივერსალისა, შეკვეცა, სუბსტიტუცია და აბრევიაცია...

როზვადოვსკის მიხედვით, განაგრძობს აბრეგოვი, ენობრივი ერთეული, თითქოს, ორი ნაწილისაგან (კომპონენტისაგან) შედგება, რომელთაგანაც ერთი იდენტიფიკაციას, ხოლო მეორე კი დიფერენციაციას ახდენს. ამის საილუსტრაციოდ აბრეგოვს მოჰყავს უმე დახან „ყვავილი“, რომელიც გვხვდება ყაბარდოულ-ჩერქეზულ ენაში. ეს ნიშანი (სიტყვა) იმით არის საინტერესო, რომ მასში მაიდენტიფიცირებელ კომპონენტად გამოდის სიტყვა უმე „ბალახი“, იმდენად, რამდენადაც ყვავილი ბალახეული მცენარეა, ხოლო დახან „ლამაზი“. ლექსემა აღნიშნავს, რომ ყვავილი ჩვეულებრივი ბალახისაგან თავისი სილამაზით გამოირჩევა. აბაზურშიც იდენტური ვითარებაა: ხანურაფშა, სიტყვასიტყვით: „ბალახი ლამაზი“. სავსებით შესაძლებელია, რომ ეს სახელწოდება-ინოვაცია აბაზურში ყაბარდოულ-ჩერქეზული ენის გავლენით მოხდა და თავისებურ აზრობრივ კალკს წარმოადგენს უმე დახან „ყვავილი“ ადიღური სიტყვისას; მაშინ, როცა მონათესავე აფხაზურ ენაში და აბაზური ენის აშხარულ დიალექტში ფუნქციონირებს სხვა წარმოშობისა და წარმოების ამოსავალი ლექსემა აშიგთ „ყვავილი“ (აბრეგოვი, 2000, 89).

საგულისხმოა, რომ აფხაზურის აშიგთ „ყვავილი“ ლექსემა

მომდინარეობს აშოთრა „აყვაგება“ მასდარისაგან, ისევე, როგორც ეს ქართულშია. შდრ.: ყვაგ-ილ-ი, აყვაგ-ებ-ა...

უნდა ვივარაუდოთო, აღნიშნავს აბრეგოვი, რომ ადილური ენების ისტორიული განვითარების მანძილზე, ორკომპონენტური სახელწოდება ყვაგილისა, ენობრივი ეკონომიური საშუალებების გამოყენებით, განიცდის უნივერსაციას და გადადის ერთკომპონენტური სახელწოდებაში, შესიტყვების შეკუმშვის გზით, ანუ ერთ-ერთი კომპონენტის მოკვეციტ:

ორკომპონენტური სახელწოდება	→	უნივერსაცია
ადილური: ჟეც ვაღალ/ნ		ვაღალ
შავსულური: ჟეც ნჯელ/ნ		ნაჯელ/ნ
ყაბ.-ჩერქეზული: ჟეძ ღალ		ღალ

აბრეგოვს მოჰყავს კიდევ ერთი მაგალითი უნივერსაციისა: ჯად'ინა-აშოთრომ, ჯონა-აშოთრომ, „სიტყვასიტყვით: „სულების (ეშმაკთა) წყლის კაკალი“, შდრ.: რუსული чертовы орехи. ეს ორკომპონენტური სახელწოდება არ შემორჩა ადილური ენის არც ერთ დიალექტს. სავარაუდოა, ინოვაცია — აშოთრა-მა, როგორც ინფორმაციის გადმოცემის ეკონომიურმა საშუალებამ, გამოდევნა ხმარებიდან ძველი სახელური ჯგუფი ხენა აშოთრა „სულთა წყლის კაკალი“.

აბრეგოვი ვარაუდობს, რომ მცენარეთა სახელწოდებების გარკვეული ნაწილი ადილურ ენებში იწარმოება ელიფსური დერივაციის შედეგად, რომლის დროსაც, შესიტყვების კომპონენტი ან მსაზღვრელი, ან საზღვრული იკვეცება.

ბუნებრივია, რომ ყველა ოდენფუძიანი სახელწოდებას, უნივერსაციის პროცესის შედეგად მიღებულად ვერ მივიჩნევთ. დემოტივაციასთან ერთად, რომელსაც სემანტიკური კონდენსაციის დროს აქვს ადგილი, არსებობს საპირისპირო პროცესიც — სიტყვათა მოტივაცია და გადაქცევა შესიტყვებებად, რაშიც სიტყვაწარმოებით მოდელებს გარკვეული როლი აქვთ.

აფხაზურ-ადიღურ ენებში უნივერბაციასთან ერთად, მოქმედებს სიტყვაწარმოების ისეთი მეთოდი, როგორცაა მოკვეცა (ელიფსი, ელიფსისი) რთული სიტყვისა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მსაზღვრელის ან საზღვრულის ელიფსისის შედეგად, წარმოიშობა ინოვაცია — ახალი ლექსიკური ერთეული. ელიფსისი სიტყვათქმნადობის ერთ-ერთი საშუალებაა ლექსიკის გამდიდრებისათვის.

ადიღურ ენაში სუხ სიტყვას აქვს ამოსავალი მნიშვნელობა „თავი“. იგი გამოიყენება ისეთი მნიშვნელობების გადმოსაცემად, როგორცაა „სიმინდის ტარო“, „პურის თავთავი“, „თავი ხახვი“... ეს სიტყვები მნიშვნელობის განვითარებით არ არის მიღებული. მათი ამოსავალი წყარო სხვადასხვაა. ისინი წარმოიშვნენ სინტაქსური ბლოკის ან რთული სიტყვის ერთ-ერთი კომპონენტის ელიფსის შედეგად.

ორკომპონენტიანი სახელწოდება →	შეკვეცილი ფორმა
ნათრგაგს'ხნ „სიმინდის ტარო“	ს'ხნ
ქიძცეს'ხნ „პურის თავთავი“	ს'ხნ
ბზ'ენგს'ხნ „თავი ხახვი“	ს'ხნ

ექიმოლოგიისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პერიფრაზსა და უნივერბაციით მიღებულ ლექსემას შორის გარდამავალი ფორმის (შუა რგოლის) აღდგენას.

შემდეგ აბრევოვი, აღნიშნული თვალსაზრისით, საინტერესო მაგალითს გვათავაზობს: ქართული **საზამთრო** მიღებული უნდა იყოს ანალოგიური პროცესის მოქმედების შედეგად. კერძოდ, საზამთრო < საზამთრო ხილი. ავტორისათვის ამ მოსაზრების საფუძველია სხვა ენათა მონაცემები. ლეზგიურში საზამთროს ორი სახელი აქვს. **xali** და **qüṭün**, სიტყვასიტყვით: „ხილი“ და „საზამთრო“ ნესვს კი ერთი: **gatun xali**, სიტყვასიტყვით: „ზაფხულის საზამთრო“. ახალ ბერძნულშიც ანალოგიურად იწარმოება აღნიშნული ბაღჩეული კულტურის სახელწოდებაო.

ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში, ვვარაუდობთ, აღნიშნული ხასიათის ენობრივ მოვლენას უნდა ჰქონდეს ადგილი აწლა❖შა „ჭადარი, ალვა“ სიტყვის ჩამოყალიბების შემთხვევაში, სადაც ლექსემის წინა საზღვრული ნაწილი გაუჩინარებული გვეგონია. სახელწოდება, უნდა ყოფილიყო საზღვრულ-მსაზღვრელ-მსაზღვრელი კონსტრუქციისა: *გაუჩინარებული ლექსემა + ა❖წლა „ხე“ + შა < ა❖შაკიაკია „თეთრი“ ვითარებითი ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი.

აფხაზურ-ადიღური ენების ფაქტობრივი მასალის ანალიზი საშუალებას იძლევა შემდეგი დასკვნისათვის: მორფოლოგიურ სიტყვაწარმოებასთან ერთად, სიტყვის ერთი ნაწილიდან მეორეში გადასვლის გარდა, შესიტყვების სიტყვაში გადასვლის გარდა, რთულ სიტყვათა ბაზაზე დაყრდნობით, განსაზღვრული ადგილი უკავია ენაში ელიფსურ დერივაციას. იგივე ვრცელდება სინტაქსურ ბლოკებსა და შესიტყვებებზეც.

აბრეგოვის აზრით, ადიღური ენის რთული სიტყვები ასრულებენ ენაში კუმულაციის ფუნქციას, რამდენადაც მათს აგებულებაში შედის კომპონენტები, რომლებიც ადრე დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეულები იყო, მაგრამ ისტორიული განვითარების პროცესში გამოვიდა ხმარებიდან. ეს სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ, რთულ სიტყვათა შორის არის ძველი წარმონაქმნები, მათთან ერთად კი, მეორეული წარმოების სიტყვები, რომლებიც თავდაპირველ ნომინაციას ცვლის: ადრე ისინი უნდა ყოფილიყო მარტივი და არა რთული სიტყვები. ადიღური სახელწოდება შახნციემფა „ლელი“, მეორეული წარმონაქმნია და შედგება შახნ და ციემფა-საგან; ციემფა კომპონენტი თანამედროვე ადიღურში დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულია და ნიშნავს „მარწყვს, კენკრას“, ხოლო პირველი კომპონენტი, აბრეგოვის აზრით, ბერძნული წარმოშობისაა და აქვს მნიშვნელობა „ლელი“. ამის კვალობაზე სიტყვა შახნციემფა

ნიშნავდა „ლეღვი-კენკრას“. ანალოგიური სიტუაცია განმეორდა ჩვენაჲს „უღუმბო“, „უცხო სუნელი“ სიტყვაში, სადაც მეორე კომპონენტის როლში ჰჲს გვევლინება, რაც ნიშნავს „თესლს“. ადიღეურ ლიტერატურულ ენაში ეს ლექსემა არ არის, მაგრამ შაფსულურმა შემოინახა. კულინარიაში გამოიყენება ამ მცენარის თესლი. ჩვენაჲს „უღუმბო, უცხო სუნელის თესლი“. ამრიგად ნაწილის მნიშვნელობა გადავიდა მთელზე. მნიშვნელობის ასეთ გადასვლას ენათმეცნიერებაში სინეკდოქა ჰჲქვია.

ადიღეური ენის ფიტონიმიაში გამოიყოფა მეორეული სახელწოდებანი, რთული სიტყვები, რომლებშიც კომპონენტების სახით შემონახულია დაკარგული ლექსიკური ერთეულები (აბრეგოვი, 2000, 90-93).

წინამდებარე ნაშრომის მიზანია აფხაზური ენის მცენარეთა აღმნიშვნელი ლექსიკის, რაც შეიძლება, სრული ასახვა.

თითოეული მცენარის სახელწოდების მოტივაციის დადგენა, მცენარეთა სახელწოდებების სისტემატიზაცია სემანტიკურ-სტრუქტურული თვალსაზრისით; ამის კვალობაზე აფხაზური ენის შიდაზრის გამოვლენა; ლექსიკის ნასესხები ნაწილის გამოყოფა აფხაზური ენის საფუძველზე შექმნილ სახელწოდებათაგან.

მცენარეთა სახელწოდებების შექმნის სტრუქტურული მოდელების სათითაოდ გაანალიზება, მათში გამოვლენილ მეტყველების სხვადასხვა ნაწილთა, თუ მორფემათა გამოყოფა; დაჩრდილული სემანტიკის მქონე მცენარეთა სახელწოდებების დაფიქსირება; აგრეთვე, ზოგიერთი მცენარის სახელწოდების ეტიმოლოგიური ანალიზი.

მცენარეთა აღმნიშვნელი ლექსიკა აფხაზურში, ზოგადად, იყოფა ორ ჯგუფად: ეს არის ნასესხები სიტყვები და სახელწოდებები, რომელთაც აფხაზურის საშუალებით უხერხდება ახსნა.

თავად, მცენარეთა აფხაზური სახელწოდებები, შეიძლება,

ასევე ორ ჯგუფად გაიყოს: სახელწოდებათა ერთი ნაწილის ფუძე მარტივია, ზოგჯერ ერთ მარცვალსაც არ აღემატება: ა❖ში „წიფელი“, ა❖ლ „მურყანი“, ა❖ჯ „მუხა“; სახელწოდებათა მეორე, უფრო დიდი ნაწილი, კომპოზიტებს წარმოადგენს: აბნარა❖სა „ტყის თხილი“, აჰია❖სსა „გარეული, წვრილი ალუჩა“, აწგსლა❖ჰი „ჩიტის ლეღვი“.

თავის მხრივ, კომპოზიტები, ცხადია, აფხაზური ენის გრამატიკული ნორმების დაცვითაა ძირითადად შედგენილი, თუმცა გვხვდება გამონაკლისებიც.

ნაშრომში გაანალიზებულია კომპოზიტთა სტრუქტურა, განხილულია კომპოზიციის ყველა შესაძლო შემთხვევა, რომელსაც ადგილი აქვს მცენარეთა სახელწოდებში:

ორკომპონენტიანი კომპოზიტები

საზღვრულ-მსაზღვრელი:

1. სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი** (უმეტესად მცენარის აღმნიშვნელი ლექსემა) + **ზედსართავი სახელი**, ან მისი ფუძის ნაშთი:

აჰაშა❖ „თეთრი მსხალი“, **აჰა❖** „მსხალი“, შა < ა❖შეკაკა „თეთრი“ ვითარებითი ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი.

აჰია❖სსა „გარეული, წვრილი ალუჩა“ -სსა „სიწვრილის, სინორჩის“ შემცველი ცნების გამომხატველი ფუძის ნაშთი.

მსაზღვრელ-საზღვრელი:

2. სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი** + **არსებითი სახელი**:

აშამაშიგ❖გა „ჭიაფერა“, **აშამა❖ყა** „ცვილის დიდი სანთელი“, **აშიგ❖გა** „საღებავი“.

აჩა❖ჟილა „დასათესი ხორბალი“, **ა❖ჩა** „პური, ხორბალი“, **ა❖ჟილა** „თესლი“.

ა) კომპოზიციის საზღვრულია **აჯ/ჯა**

ადგლა ❖ ჯა „ბაძგი, ჭყორი“

აშხარა ❖ ჯ „უოლო“

ბ) კომპოზიციის საზღვრულია **ა ❖ წლა** „ხე“ ლექსემა:

აწა ❖ წლა „არყის ხე“, აწა ❖ „ყინვა“, ა ❖ წლა „ხე“.

გ) კომპოზიციის მსაზღვრელია **ა ❖ ბნა** „ტყე“

აბნარა ❖ სა „გარეული, ტყის თხილი“

აბნაწია ❖ „მაჟალო, ტყის ვაშლი“

დ) კომპოზიციის მსაზღვრელის როლში გვევლინება **ეთნონი-მები, ტოპონიმები და ანთროპონიმები**

ეთნონიმი: **აშინგ ❖ ჟუ** „ყურძნის ჯიში“, აშინგ ❖ ჟ „სვანი“, (ა ❖) ჟ „ყურძენი“

ტოპონიმი: **აშასარხია ❖ ჟ** „ყურძნის ჯიში“, აშასა ❖ რხია „ცხვრის ბორცვი“, ა ❖ ჟ „ყურძენი“.

ანთროპონიმი: **პაპენი ❖ ჟ** „ყურძნის ჯიში“, პაპე ❖ ნ „მამაკაცის სახელი“, ი- III პირის (კუთვნილების) პრეფიქსი მამაკაცთა კლასისა, ჟ „ყურძენი“.

ე) კომპოზიციის მსაზღვრელია **ზოონიმები**

აჯმაყ ❖ „დენგრა, კუნელი“, ა ❖ ჯმა „თხა“, (ა)ყ ❖ გ ❖ „ცურ-ცლი“.

3. სტრუქტურული მოდელი: ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი (უმეტესად **მცენარის** აღმნიშვნელი ლექსემა)

ათიაჟ „სავსე ყურძენი“, ათიგ ❖ „სავსე“, ა ❖ ჟ „ყურძენი“

აციადაყაბა ❖ ჟ „უკანო გოგრა“, აცია ❖ „კანი“, -და უარყოფითობის აფიქსი, ყაბა ❖ ყ „გოგრა“, „კანის არ მქონე“.

4. სტრუქტურული მოდელი: რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი:

ჯგნტიგრაშე ❖ რა აშა ❖ ტკა „ორნახალი არაყი“, ჯ < ჯბა „ორი“ რიცხვითი სახელის ძირი, -ტიგ დანიშნულების სუფიქსი,

ა❖შორა „ღუღილი“.

5. სტრუქტურული მოდელი: არსებითი სახელი + მასდარი

აბაკა❖ფსარა „მტვრის ცვენა“, ა❖ბა „მტვერი“, აკა❖ფსარა „ცვენა“.

აბლ̄გ❖ ა❖ხტრა „გვირგვინის გახსნა“, აბლ̄გ❖ „ფოთოლი“, ა❖ხტრა „თავის ახდა“.

ორზე მეტკომპონენტიანი კომპოზიტები

აბა❖აჟშე „ყურძნის ჯიში“, აბა❖ „ციხე-სიმაგრე“, (ა❖)ჟ „ყურძენი“, შე < ა❖შეაკია „თეთრი“ ვითარებითი ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი.

აჟარგიე❖ც „ყურძნის მარცვალი“, ა❖ჟ „ყურძენი“, აგიე❖ „გული“ ც < აც „მარცვალი“, რ III პირის მრავლობითობის (კუთვნილების) სუფიქსი.

მცენარის სახელწოდებაში (შესაბამისად მცენარის სემანტიკურ ველში შემავალ ტერმინოლოგიაში) გამოიყენება **მასდარი**, ან მისი ფუძის ნაშთი.

ასახჰიე❖რა „საკვები ბალახის სახეობა“, ა❖ჰირა „ძოვა“.

არა❖კია „მხვიარა, მცოცავი მცენარეების ღერო და განშტოებანი“, აკიაშა❖რა „ცეკვა, გარშემო შემოვლა“.

მცენარის სახელწოდებაში (შესაბამისად მცენარის სახელწოდების სემანტიკურ ველში შემავალ ტერმინოლოგიაში) გამოვლენილია **ლოკალური პრევერბები**:

აწაყიე❖დ „ჰრელი ლობიოს ერთ-ერთი სახეობა“ აწა „ქვეშ, ქვევით“

აა❖წი „ფიორი“, აწიგლ̄არა „ამოსვლა“, აა- სააქეთო მიმართულების ლოკალური პრევერბი.

მცენარეთა აღმნიშვნელ სახელწოდებებში თავს იჩენს სხვადასხვა **მორფემები, ზმნური და სახელური** სიტყვათმაწარმოებელი ელემენტები:

გამოიყენება კუთვნილებით ნაცვალსახელთაგან მომდინარე

კუთვნილებითი ელემენტები, ე. წ. „ლ“-ს რიგისა: **ი-, ლ-, რ-**:

თავიღვი თავი „მამაკაცის სახელი“, ი- III პირის (კუთვნილების) აფიქსი მამაკაცის კლასისა. „თავუს «მისი» ყურძენი“

ხინღლვე ხინა „ქალის სახელი“, ლ- III პირის (კუთვნილების) აფიქსი ქალთა კლასისა. „ხუნას «მისი» ყურძენი“

აჭიარბაჭა „მოცვი“, აპიაღვი „ლორი“, (ა)პაღვიჭა „ტკიპა“, რ III პირის მრავლობითობის (კუთვნილების) აღმნიშვნელი პრეფიქსი. „ლორი (მათი) ტკიპა“.

აფხაზური ენის გრამატიკული ნორმების გათვალისწინებით უნდა ყოფილიყო: აპიაღვიქა რპაღვიჭა „ლორებ-ის «მათი» ტკიპა“. კომპოზიციის დროს კი, მსაზღვრელი სიტყვის ნივთის კლასის მრავლობითობის აღმნიშვნელი

-ქია სუფიქსი გაუჩინარებულთა და მსაზღვრელის მრავლობითობა მხოლოდ კუთვნილების გამომხატველი -რ პრეფიქსითაა გადმოცემული.

კაუზატივის ნიშანი -რ:

არშტიღვი „სათესლე ხახვი“

სათავისო (უკუქცევეითობის) ჩხ- პრეფიქსი

აშიღვით აჩეღვიღვარა „ყვავილის მიერ თავის გამოტანა“

საურთიერთო მიმართების ა□ პრეფიქსი

ა□იღვიში „წაღდი“

საურთიერთო-საორმწრივო კატეგორიის **ა□ხა-** პრეფიქსი

აჯაღვიღვი ა□ხაღვიქარა „ჭაჭის დადუღება, ურთიერთდაჭმა“

აბსტრაქტულობის ნიშანი -რა

აჭარღვი „სიახლის ვენახი“

ინსტრუმენტალისის ნიშანი -ლა:

აფშციაღვილა „ტარო“

აშიღვილა „ფქვილი“

დანიშნულების -გა სუფიქსი

აშაშაშვიღვიღა „ჭიაფერა“
დანიშნულების -ტიღ სუფიქსი
აჭჭატღვიღ „ბალახი“
აქანახაღვიღტი „ნერგი“
გარდაქცევეთობის -ხარა სუფიქსი
აუღმუთიაღვიღხარა „მტევნად ქცევა“
დანიშნულების ს>ზ სუფიქსი
აფყვღვიღზ „ლაქაში“
აჩაღვიღზ „ბზე“
აჩღვიღს „საჭმელი“
უარყოფითობის მ- აფიქსი
ატღგმცღიაღვიღ „უცხო კანი“
უარყოფითობის -და სუფიქსი
აცღიადაყაბაღვიღყ „უკანო გოგრა“
ნივთთა კლასის მრავლობითობის -ქღია სუფიქსი მხოლო-
ბითის ფორმაში
აშღიაქღიაღვიღ „ყლარტი, ლამური, სატაცური“
ალაჭღიაქღიაღვიღჯა „ველური ხახვისებური მცენარე“.
კრებითობის -რა სუფიქსი:
ახღიაჩაღვიღრა „შამბი“
აჭღიიღვიღრა „შამბი“
განუსაზღვრელობის კ- აფიქსი:
ზნღკგრშღვიღჯღრა აშღიაღვიღტკა „ერთნახალი არაყი“
შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი -რთა / -თრა სუ-
ფიქსი:
აუთრა „ბოსტანი“
აჩართა „ხორბლის ყანა“
აყღიღღღღღრა „ლობიოთი ნათესი ადგილი“.

I Tavi

დენდრონიმები

1. ხეები

ა❖წლა

≈ აფხაზურში ზოგადად ხეს აღნიშნავს.

ბ. ჯანაშიას თვალსაზრისით, აფხაზურ აძახია❖ „ვაზი“, აძაცია❖ „ხის ქერქი“ სიტყვათა ძა კომპონენტი იგივეა, რაც ქართული ძელ-ი, მეგრული ჯა და აღნიშნავს „ხეს“, ე. ი. ა-ძა-ხია❖ უნდა ნიშნავდეს „მრუდე ხეს“, ა-ძა-ცო-ა❖ „ხის ქერქს“ (ჯანაშია, 1955, 5).

ქ. ლომთათიძის აზრით, „აფხაზური ა-წლა დადგენილი ფონეტიკური კანონზომიერების საფუძველზე მომდინარეობს ქართული ძელ- ფუძიდან. აფხაზურში მახვილის გავლენით, ხმოვნის რედუქციისა და მუღერი ძ-ს სონანტ ლ-სთან შეხვედრისას, დისიმილაციური გამკვეთრებით... (ლომთათიძე, 1996, 12). მკვლევარი ასე წარმოადგენს ქართული ძელ სიტყვის ცვლას აფხაზურში, სესხებისას: ძელ > *აძლა > ა❖-წლა (იქვე). ხის აღსანიშნავად ადიღურსა და ყაბარდოულში ამჟამად ფუნქციონირებს ლექსემა **ჩგლ'/ყგლ'**, მაგრამ ფიტონომიური ლექსიკის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ მნიშვნელობით უფრო ძველი ფხზ სიტყვა იხმარებოდა, რომელსაც გააჩნია პარალელები სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში. თანამედროვე ადიღურ ენებში ფხზ აღნიშნავს „ხე-ს“, როგორც მასალას „შემას“. ეჭვგარეშეა, მისი ამოსავალი მნიშვნელობა იყო ხე, როგორც „მცენარე“, რომელიც შემორჩა რთულ სიტყვებში.

ადიღურსა და ყაბარდოულ-ჩერქეზულში შემორჩენილია საერთო რთული სიტყვები, რომლებიც ფხზ „ხე“ კომპონენტს შეიცავს: ფხზხ „ხერხი“, ფხზჩგ / ფხზჩგზ „არყის ხე“, სიტყვა-სიტყვით: „ხე თეთრი“, ფხზს'აბზ „ალვის ხე“, სიტყვა-სიტყვით: „ხე რბილი“...

ადილეთურში უფრო მეტი სიტყვაა ფხნ კომპონენტით. ფხნცჳ „ხავსი“ (ფხნ „ხე“ და ცვ „შალი“), ფხნუყუ „კოდალა“ (ფხნ „ხე და უყუ „მტეხავი“), ფხნს'ო „ხის კანი“ (ფხნ „ხე“ და ს'ო „გარეკანი“), ფხნთჳჳჳ „კუნძი“ (ფხნ „ხე“ და თჳფჳჳ „კუნძი“) და სხვ.

ყაბარდოულ-ჩერქეზულ ენაში რთულ სიტყვათა ერთ ნაწილში ძველი მნიშვნელობისა და საერთო სტრუქტურის შენარჩუნებასთან ერთად, მოხდა რთული სიტყვის შემადგენელი ერთ-ერთი კომპონენტის ცვლა, როგორც მოდელთა რეალიზაციის ნაწილობრივი გარდაქმნის შედეგი (უმეტეს შემთხვევაში ძველ სიტყვათა არქაულობის და ახალ სიტყვათა გაჩენის გამო).

ასე, რომ ფხნ-ს ნაცვლად კომპოზიტებში ფიგურირებს შედარებით ახალი ლექსემა ჟაღლ' (ადილ. ჩაღლ'): ჟაღლ'უყუ (ჟაღლ' „ხე“ და უყუ „მტეხავი“), ჟღლ'ლღც „ხავსი“ (ჟღ' „ხე“ და ცვ „შალი“), ჟღლ'გ'ჩ „ხის კანი“ (ჟღლ' „ხე“ და ჩ' „გარეკანი“) და სხვ. მრ.

ამავე კომპონენტით ადილეთურშიც არის რთული სიტყვები: ჩაღლდეღლ „ჩინური კოპიტი, იფანი“ (ჩაღლ „ხე“ და დეღლ „ცუდი“), ჩაღლდჳკიაი „სურო“ (ჩაღლ „ხე“ და დჳკიაი „ამმალღებელი“, სიტყვასიტყვით: „ხეზე ამმალღებელი, ამსვლელი“) და სხვ.

ადილეთურსა და ყაბარდო-ჩერქეზულ ენებში ხილის ხეების აღსანიშნავად გამოიყენება ორკომპონენტიანი შესიტყვებანი, სადაც მეორე კომპონენტის როლში გვევლინება მხოლოდ ჩაღლ / ჟაღლ: მგჳრგსჳ ჩაღლ / ჟაღლ „ვაშლის ხე“. ჩაჳრჳჳ ჩაღლ / ბალი □ ჟაჳლ „ალუბლის ხე“ და სხვ.

ყველაფერი ეს იმის დამამტკიცებელია, რომ ადილეთურ ენებში ხის მნიშვნელობით გამოიყენებოდა უფრო ძველი ფხნ, რომელიც გამოდევნილი იქნა ინოვაციით ჩაღლ / ჟაღლ... (აბრეგოვი, 2000, 102-103).

§ 1. ნახესხები ლექსიკა

ხეთა აღმნიშვნელ სახელწოდებებში უპირველესად უნდა

გამოიყოს აშკარა ნასესხობანი:

აჭარა❖მ „ჭერამი“

≈ ნასესხებია ქართულიდან. ფონეტიკური კანონზომიერების საფუძველზე ქართული ე აფხაზურში ა ხმოვნით გადმოიცემა.

აჭადა❖რ || აჭანდა❖რ „ჭადარი“

≈ ნასესხებია ქართულიდან, ყოველგვარი ფონეტიკური ცვლილების გარეშე. პარალელურ ვარიანტში ნ განვითარებულია; ნ თანხმოვნიანი ვარიანტი ქართულის დიალექტებშიც გვხვდება.

აბა❖ლმა „ბალმა“

≈ ნასესხებია ქართულიდან, თავად ქართულში შემოსულია ლათინურიდან.

აკიბარი❖ს „კვიპაროსი“

≈ ნასესხებია ქართულიდან, ქართულში მოხვედრილია ლათინურიდან.

ალა❖კაცია „აკაცია“

≈ ნასესხებია მეგრულიდან. ფონეტიკური კანონზომიერება დაცულია. მეგრული ლეკაცია > აფხაზური ალაკაცია. ქართული ე აფხაზურში ა-ს იძლევა. აბაზურში ამ მცენარის აღსანიშნავად გამოიყენება აქაცა სახელწოდება „... ადილურ ენათა მსგავსად, რუსული ენის -ия დაბოლოება თანხმოვნის, განსაკუთრებით с...ц...-ს მომდევნოდ სისტემატურად ისმის როგორც ა (ლომთათიძე, 1976, 60).

აკალა❖მ „ლერწამი, ბამბუკი“

≈ ნასესხებია ქართველური ენებიდან და არა ბერძნული კა❖ლამოს ფორმიდან, რაზეც მახვილის ადგილმდებარეობა მიანიშნებს (გვანცელაძე, 1997, 59).

აეგკალი❖ბტ „ეგკალიპტი“

≈ ნასესხებია ქართულიდან. ქართულში შემოსულია ბერძნული ენიდან.

ადა❖ფ „დაფნა“

≈ ნასესხებია ქართულიდან, ფონეტიკურ ცვლილებათა გარეშე, ნ ბგერა გაუჩინარებულა.

აბი❖ა „ბია, კომში“

≈ ნასესხებია ქართულიდან, ყოველგვარი ფონეტიკური ცვლილებების გარეშე.

აოლი❖ვა „ზეთის ხილის ხე“

≈ ნასესხებია რუსულიდან, რუსულში შესულია ბერძნულიდან.

აბანა❖ნ „ბანანი“

≈ ნასესხებია ქართულიდან.

ალუმა❖ნ „ლიმონი“

≈ ნასესხებია ქართულიდან.

ალუჩა❖ „ალუჩა“

≈ ნასესხებია ქართულიდან.

ამანდარი❖ნა „მანდარინი“

≈ ნასესხებია ქართულიდან.

§ 2. სავარაუდო ნასესხობანი

... ასევე, შესაძლოა, ქართულიდან (ბგერათა სხვადასხვა ფონეტიკური ცვლილების, ბგერათა თანამიმდევრობის გარკვეული ტრანსფორმაციის გათვალისწინებით) იყოს აფხაზურში შესული:

აწ❖ა❖ცა „რცხილა“

≈ შდრ.: აფხაზურის ხ^წც და ქართულის ცხ. სავარაუდოა, აფხაზურში მოხდა ცხ > ხც მეტათეზისი, ხოლო ხ-ს პალატალიზაცია გამოწვეული უნდა იყოს ქართულის ი ბგერით. -ლა დეტერმინანტი სუფიქსია ქართულში. რცხილა > ცხი > ხიაც > ხ^წაც. პალატალიზებულ თანხმოვანთა მეზობლობაში, როგორც პრეპოზიციურად, ისე პოსტპოზიციურად (ოღონდ უშუალო კონტაქტში

და ამავ დროს არა კიდურ პოზიციაში) არც თუ იშვიათია ... ა ხმოვნის ე-დ ცვლა. მაგ., ახ^აგ^ა (<ახ^აცა) „რცხილა“ (ლომთათიძე, 1976, 46).

აფსაღძ „ნაძვი“

≈ შდრ.: აფხაზურისა და ქართულის ძ აღნიშნულ ლექსემებში. ქართულშიც, ისევე როგორც აფხაზურში, ძ ფონემა ძირისეული ჩანს: ნა-ძ-ჟ-ს უ დეტერმინანტი სუფიქსია (ჩიქობავა, 1942, 87).

ამგწმგჯ „ბროწეული“

≈ შდრ.: აფხაზურის მგწმ ქართულის ბროწ ბგერათა თანმიმდევრობა. ქართულის წყვილბაგისმიერ ბ-ს, შესაძლოა, აფხაზურში მ წყვილბაგისმიერი ბგერა მოეცა, ხოლო წ წ-დვე დარჩენილიყო. ბროწ > მეწ(მ)-ეჯ. აქ ასახსნელია -ეჯ ელემენტის წარმომავლობა. ო ბგერას უნდა მოეცა ჯერ ა და შემდეგ ე-დ ქცეულიყო. შდრ.: აგრეთვე, ქართული ბრწამლი, მეგრული ბურწუმელი, პურწუმოლი, პურწუმოლი / პურწუმბოლი „ეკალიჯი“ (ფენრიხი, საჩველაძე, 2000, 121).

ალაჰაღ „ლეღვი“

≈ სადაც ქართულ ე ბგერას აფხაზური ა უნდა მოეცა, ხოლო ღ უკანასასისმიერი მყდერი, შესაძლოა ყრუ ფშვინვიერ, ხორხისმიერ ჰ-ში გადასულიყო.

გ. როგავას აზრით, ქართველურ ენათა ლეღვ ფუძესთან უნდა ჰქონდეს კავშირი აფხაზურ-ადიღურ ენათა ლეღვის აღმნიშვნელ სიტყვას. ... ადიღური ენის შაფსულურ კილოში დადასტურებულია ახიგ „ლეღვი“. ადიღური ახიგ სიტყვის მიხედვით, აფხაზური ლაჰაღ უნდა მომდინარეობდეს *ლაჰაა-საგან. აფხ. *ლაჰაა > ლაჰჰ, ჰი ლაბიალიზებული ლარინგალის დელაბიალიზაციის შედეგად, ხოლო აფხაზური ლაჰა-ს გათვალისწინებით, შაფსულური ახიგ-ს უკანაენისმიერი ლაბიალიზებული ხი სპირანტი უნდა იყოს მიღებული ლარინგალური, ლაბიალიზებული ჰი სპირანტისაგან: შაფს. ახიგ < აჰიგ.

რაც შეეხება ლედვის აღმნიშვნელ უბიხურ ლაზ^აგს, გ. როგავას აზრით, ისიც აფხაზური ლაპას მიხედვით უნდა აღვადგინოთ *ლაპგ-ს სახით.

ამგვარად, დაასკვნის მკვლევარი, ლედვის აღმნიშვნელი აფხაზურ-ადიღური სახელის აღდგენილი ფონეტიკური სახეობები — აფხ. *ლაპია, ადიღ. (შაფს.) *ლაპიგ, უბიხ. ლაპია ბგერობრივადც დაახლოვებულია ქართველურ ენათა ლედგ || ლავგ სახელურ ფუძესთან.

... არ უნდა იყოს სადავო, რომ ქართველურ და აფხაზურ-ადიღურ ენათა ლედვის აღმნიშვნელ სიტყვებში ერთსა და იმავე ფუძესთან გვქონდეს საქმე (როგავა, 1985, 37-38).

§ 3. ოდენ ფუძით წარმოდგენილი დენდრონიმები

აფხაზურში ხის ზოგიერთი სახელწოდება წარმოდგენილია გაუფორმებელი ფუძის სახით, სიტყვათმწარმოებელ აფიქსთა გარეშე:

აჭგ ❖ რკია „მიწავაშლა“

≈ ადიღურადან, აფხაზურის გზით, მეგრულში ნასესხებად მი-აჩნია ვ. შენგელიას (შენგელია, 1978, 155).

აშგ ❖ ცარ „ლერწამი“

ა ❖ ცილაა „მერხლი“

აშგმჰა ❖ „წყავი“

ა ❖ რა „კაკალი“

≈ ადიღურ დჷ „კაკალი“ ლექსემას შაგიროვი უკავშირებს აფხაზურ-აბაზურ არა/რა „კაკალს, კაკლის ხეს“, უბიხურ ლჷ-ს „კაკალი“ (შაგიროვი, 1977, 145 (367))

ამზა ❖ ❖ „ფიჭვი“

≈ შდრ.: ა ❖ მზა „მთვარე“, რომელიც მხოლოდ მახვილის ადგილმდებარეობით განსხვავდება დასახელებული სიტყვისაგან. აღ-

ნიშნული სიტყვების ა❖მზა „მთვარე“, ამზა❖ „ფიჭვი“, მსგავსება, შესაძლოა, გარკვეული წარმართული წარმოდგენით იყოს განპირობებული, ხოლო სიტყვათგანმასხვავებლად მახვილის გამოყენება, ენაში განვითარებულ მოგვიანო მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. შდრ. აგრეთვე: ამზარჭა❖ „კვარი“, რომელიც ფიჭვისაგან მზადდება. სახელწოდების მეორე ნაწილი, შესაძლოა, კავშირში იყოს არჭარა❖ „დახდა“ მასდართან; ამზა❖ „ფიჭვი“, (ა❖)რჭა „დახდილი“, სიტყვასიტყვით: ფიჭვი + დახდილი“...

ა❖ბჰია „ქლიავი“

≈ ადიღეურ ფზგოღლ' „ალუჩა, ნაყოფი“, შადესულურ ფზგოღლ' „ალუჩა, ქლიავი“ სიტყვებთან აქვს დაკავშირებული შაგიროვს. მისი აზრით, სიტყვის პირველი ნაწილი ფზხ (ფზგ) არ უნდა გამოვაცალკევოთ ყვ-საგან ყზფწყყზფწყ „დიდი ქლიავის სახეობა“ და უბიხური ფქზგ-საგან. აქ უნდა შენახულიყო ანლაუტის ფ ხ-სათვის ჳ-ს ნაცვლად. შდრ.: ადიღეურ-ბჰედულური ხზგრც „ატამი“, აბაძახური ყვცჰ, ასევე ყაბარდოულ-ადიღეური: ფზხსჰჰ მგსჰჰ „ხილი“, სადაც მგ „ველური ვაშლი“ სიტყვის მსსჰჰ. მგსჰჰ „პირველ ნაწილში ფზგსჰჰ, შესაძლოა, დავინახოთ არა ფზხ „ხის ნაწარმი“, არამედ ხის ნაყოფის სახელწოდება. იქნებ აქ არის იგივე ფუძე ფზგ, რაც ფზგოღლ'-ში. არ არის გამორიცხული, რომ ჩვენს წინაშეა ხილის სახელწოდება, მონათესავე ავარიული ფუზხ „ნაყოფი, ხილი“, საიდანაც მიღებულია ასევე, ჰუნზიბური ფუზხ. შდრ.: ქართ. მოსხმა / მსხმიოარობა (ხაზი ჩვენია ნ. მ.). ეტიმოლოგიზებული ლექსემის მეორე ნაწილია გოღლ, ყაბარდოული სგგოღლ' „ნაყოფიერი მიწა, ნიადაგი (სგ „მიწა“), ალუჩის სახელწოდებაში გოღლ', შესაძლოა, გამოყენებული იყოს მაღალი მოსავლიანობის აღსანიშნავად (შაგიროვი, 1977, II, 22, (1041).

ა❖ცა „ალუბალი“

≈ შდრ. აფხ. აც „მარცვალი“.

ა❖ში „წიფელი“

≈ ადიღურ თხილქი / თწამე „წიფელასთან“ აქეს შეპირისპირებული შაგიროვს, ბზიფ. ას'ი, აბაზ. შიჭიფ, ადიღურ-შაფსულური ფფჭიჭიფამე „წიფელა“, ლიტერატურული ფჭწამე (შაგიროვი, 1977, II, 75, (1233)).

ა❖ღშ „აღვის ხე“

ა❖ლ „მურყანი“

ა❖მჭა „ნეკერჩხალი“

აჭიასა❖ / აბჭიასა❖ „ტყემალი, ალუჩა“

≈ მომდინარეობს ა❖ბჭია „ქლიავი“ ფუძიდან, (ა)სა, შესაძლოა, სიწვრილის აღსანიშნავი ფუძე იყოს.

აჩაღე❖ „ლერწამი“

≈ შდრ. ქართ. „ჩალა“

ა❖ჟა „იფანი, კობიტი, ვერხვი“

აფსღე❖ში „ტირიფი“

≈ ში, შესაძლოა, ა❖შაკიაკია „თეთრი“ ვითარებითი ზედსართავი სახელისაგან მომდინარეობდეს. ადიღური ბზეზ'ი / ბზეჭე „ცაცხვი“, ყაბარდოული ბზიხი... ბოლო ელემენტი ხი (გ) / ჭე ნიშნავს „ნათელს“, „თეთრს“ ისეთივე წარმოშობისაა, როგორისაც ში, აფხაზურში აფსღეში „ტირიფი“ სახელწოდებაში, აბაზურში ფსღეში „ცაცხვი“. (ბგერათშესატყვისობა ხი / ჭ: ში იხ. მახიფ / მაჭა „ღღე“, ნახი / ნაჭ „სინათლე“ და სხვ.) შდრ. ასევე, უბიხური ბზეს „ტირიფი“, ბზეღეღე, სადაც ბზე „წყალია“, ლიგნე „ხე“. იქნებ ადიღურ, აფხაზურ-აბაზურ ენებშიც, სიტყვის პირველ ნაწილში, როგორც უბიხურში, სახეზეა სიტყვა „წყალი“? ხიფ / ჭე ელემენტი უნდა გავიგოთ, ამ შემთხვევაში, როგორც სუბსტანტივი (შდრ.: ნეხი/ ნეჭ „შუქი“). ყაბარდოულში ბზიხი, შესაძლოა, მიგველო ორ თანხმოვანს შორის (შაგიროვი, 1977, 97 (177)).

აშგც „ბზა“

ა❖ჯ „მუხა“

≈ აღიღეური ჟღ / ჩღღ „ხე“. პირველი ნაწილი სიტყვისა ჟღ < ჟღ/ჩღ, ისეთივე წარმოშობისაა, როგორისაც აფხაზური აჯ „მუხა“, შღრ.: აგრეთვე, აბაზური ჳჩიღ „მუხა“, რომელსაც ერთვის ხეთა სახელებისათვის დამახასიათებელი მიმართებითი აფიქსი - ჳიღ (აფხაზურში -ტიღ) აფხაზურ ფორმასთან ყაბარდოულ-აღიღეური ფორმის შეპირისპირებას ვხვდებით ჳარაიასთან. ავტორი აქვე ასახელებს ჟღღ / ჩღღ-ს, აგრეთვე, მეგრულ ჳა-ს, ძველ ქართულ ძელს. მარი უკავშირებს აფხაზურ აჯ-ს სვანურ ჳიპ > ჳი „რკოს“, შღრ.: სვანური ჳირა „მუხა“. ალბათ, სვანური ჳიპ შესულია აღიღეური ენებიდან და ასახავს პირველად მნიშვნელობას ჟღღ / ჩღღ „რკო“. ამ მნიშვნელობაზე მიუთითებს მიღებული სიტყვა ჟღღწ / ჩღღად, რომელიც მიღებულია ქწიღჟწ / ყიღჟღღ ტიპის მსგავსად — „მსხლის ხე“. შღრ.: უბიხური ველიღნგ „მუხა“ — ვე „რკო“ და ღიღნგ „ხე“... თუკი ამოვალთ მნიშვნელობიდან „რკო“, მაშინ ჟღღ / ჩღღღ შეიძლება აიხსნას, როგორც თესლი (ნაყოფი მუხისა). სიტყვის მეორე ნაწილისათვის შღრ.: ყაბარდოულ-აღიღეური-უბიხური ღღ 'testiculus, აფხაზური აღ „მამრი“ (შაგიროვი, 1977, I, 196 (580)).

§4 ლოკალურ პრევერბდართული სახელწოდება

აქიღფსჳა❖ „მსხალი“

≈ ზოგ სახელწოდებაში გამოიყოფა ლოკალური პრევერბი, სიტყვასიტყვით: „ზედ დაყრილი მსხალი“, მსხმოიარე მსხალს უნდა ნიშნავდეს: აქიღფსარა „ზედ დაყრა“. აღნიშნულ შემთხვევაში, მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს. ქიღ — „ზედ მყოფობის მაჩვენებელი ფუძე-წინდებული, ანუ ლოკალური პრევერბია (ლომთათიძე, 1981, 5).

§5 აწლა „ხე“ ლექსემადართული კომპოზიტები

აბაღიწლა „ზღმარტლის ხე“

ათიაღიწლა „ცაცხვის ხე“

≈ შესაძლოა, სიტყვის პირველი ათიაღი კომპონენტი ათიაღი „თი-ვა“ სიტყვასთან იყოს კავშირში.

ალიმოღიწლა „ლიმონის ხე“

≈ სიტყვის თავკიდური კომპონენტი ნასესხებია ქართულიდან.

ამყიაღიწლა „თუთის, ბჟოლის ხე“

≈ ამყია < ქართული ბჟოლადან.

აწაღიწლა „არყის ხე“

≈ აწაღი „ყინული“, აღიწლა „ხე“, სიტყვასიტყვით: „ყინვის ხე“.

აწიაღიწლა „ვაშლის ხე“

≈ აწია „ვაშლი“, აღიწლა „ხე“, ზედმიწევნით: „ვაშლის ხე“

აფსაწლა „სოჭი“

≈ აფსგ „სული“, აღიწლა „ხე“, დაზუსტებით: „სულის ხე“, არ არის გამორიცხული ისტორიულად ამ ხეს გარკვეული რელიგიურ-რიტუალური დატვირთვა ჰქონოდა.

აჰაღიწლა „მსხლის ხე“

≈ აჰაღი „მსხალი“, აღიწლა „ხე“, ზედმიწევნით: „მსხლის ხე“.

აფხაზური ძირი აჰა, ტ. გუდავას დაკავშირებული აქვს საერთო იბერიულ-კავკასიურ ენებში ამ სიტყვის აღმნიშვნელ ხ, ჯ, ჰ ძირებთან (გუდავა, 1954, 707).

ატამაღიწლა „ატმის ხე“

≈ ატამა < ქართ. ატამი, სახელწოდების პირველი კომპონენტი ნასესხებია ქართულიდან. ატამაღი < „ატამი“, აღიწლა „ხე“, სიტყვასიტყვით: „ატმის ხე“.

აბიაღიწლა „ბიის, კომშის ხე“

≈ აბია < ქართ. ბია. სახელწოდების პირველი ნაწილი აფხაზურში შესულია ქართულიდან. მეორე ნაწილი აღიწლა „ხე“, ზედმი-

წევნით: „ბიის ხე“.

ჩამოთვლილი სახელწოდებანი კომპოზიტებია, შედგება მსაზღვრელ-საზღვრულისაგან: „დენდრონიმი + „ხე“ ლექსემა, რამდენადაც აფხაზურს ბრუნვები არ გააჩნია, ერთმანეთს ერწყმის მსაზღვრელისა და საზღვრულის მორფოლოგიურად გაუფორმებელი ფუძეები. რაკილა მსაზღვრელი ნივთის კატეგორიის სახელია, ამიტომ საზღვრულს მსაზღვრელის პირის (კუთვნილების) ნიშანიც ვერ აფორმებს.

„მესამე პირის მხოლოდითი რიცხვის კუთვნილებითი ა- პრეფიქსი არაგონიერთა კლასისა... იკარგვის, თუ საზღვრული სიტყვის წინ უშუალოდ დგას ამ ნიშნით გადმოსაცემი მსაზღვრელი სიტყვა“ (გვანცელაძე, 2003, 60).

აფხაზური ენის ლექსიკონებში (ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, აფხაზური ენის განმარტებითი ლექსიკონი (აფხაზურ ენაზე) ხეთა სახელწოდებების ნაწილი მოწოდებულია აწლა „ხე“ სიტყვის გარეშე. ნაწილს კი აწლა „ხე“ სიტყვა ერთვის. ხეთა სახელწოდებების იმ ნაწილს, რომელსაც ეს სიტყვა ლექსიკონში არა აქვს დართული, სამეტყველო ენაში შეიძლება დაერთოს აწლა „ხე“, შეიძლება — არა, როგორც ეს ქართულშია, მაგ., მუხა, მუხის ხე...

ის სახელწოდებანი, რომელთაც ლექსიკონების მიხედვით აწლა „ხე“ დაერთვის, ამ სიტყვის გარეშე აფხაზურში იშვიათად გვხვდება. მაგ.: აფსაწლა „სოჭი“ იხმარება აწლა „ხე“ სიტყვის გარეშეც.

შეინიშნება, რომ აწლა „ხე“ სიტყვას დაირთავს უპირატესად ნაყოფის მომცემი მცენარეები: აბა❖ციწლა „ზღმარტლის ხე“, ამჟია❖წლა „თუთის ხე“, ალიმო❖წლა „ლიმონის ხე“, აწია❖წლა „ვაშლის ხე“, აჰა❖წლა „მსხლის ხე“, ატამა❖წლა „ატმის ხე“, აბია❖წლა „ბიის, კომშის ხე“...

შესაძლოა, აწლა „ხე“ სიტყვის დართვა-დაუერთველობა ენამ

გამოიყენა იმისათვის, რომ ერთიმეორისაგან გაერჩია ხე და ნაყოფი, ანუ აღნიშნულ მოვლენას მიანიჭა განმასხვავებელი ფუნქცია.

ერთადერთი სახელწოდება დადასტურდა ისეთი, რომელშიც ა❖წლა „ხის“ აღმნიშვნელ ზოგად სიტყვას ემატება შხ ელემენტი: ა❖წლაშე „ჭადარი“, „ალვა“. აღნიშნული -შხ ელემენტი ა❖შეკიაკია „თეთრი“ ვითარებითი ზედსართავი სახელის ნაშთი შეიძლება იყოს. ამ შემთხვევაში ლექსემა წარმოადგენს საზღვრულ-მსაზღვრელს. შესაძლოა ა❖წლაშე კონსტრუქციას წინ უძღოდა რაღაც გარკვეული ლექსემა, რომელიც დროთა ვითარებაში დაიკარგა: „*საზღვრული + ლექსემა „აწლა“ + ზედსართავი სახელის ნაშთი შხ“. მსგავსი კონსტრუქციები ხშირია აფხაზურ მცენარეთა სახელწოდებებში.

§6. აბნა „ტყე“ ლექსემადართული კომპოზიტები

ხეთა ველური ჭიმების აღსანიშნავად სიტყვის ფუძეს წინ ერთვის ა❖ბნა „ტყე“.

აბნარა❖სა „გარეული ტყის თხილი“

≈ ა❖ბნა „ტყე“, არა❖სა „თხილი“, სიტყვასიტყვით: „ტყის თხილი“.

ა❖ბნაწია || ა❖ბგნწია „მაჟალო, ტყის ვაშლი“

≈ ა❖ბნა „ტყე“, აწია❖ „ვაშლი“, ზედმიწევნით: „ტყის ვაშლი“.

§7. ზოონიმთა შემცველი დენდრონიმები

ხეთა ველური ჭიმების აღსანიშნავად გამოიყენება ზოონიმთა შემცველი სახელწოდებები

აწგსლა❖ჰ „გარეული ლეღვი, ჩიტის ლეღვი“

≈ აწგ❖ს „ჩიტი“, ალაჰა „ლეღვი“, ზედმიწევნით: „ჩიტის

ლელვი“.

❖მილაპა „გარეული ლელვი, დათვის ლელვი“

≈ ❖ში „დათვი“, ალაპა❖ „ლელვი“, სიტყვასიტყვით: „დათვის ლელვი“.

აღნიშნულ სახელწოდებებში ცხოველთა სახელების გამოვლენა შეპირობებულია მცენარის ველურობის ხაზგასასმელად. თუმცა, შესაძლოა ამ მცენარეებში სიტყვების „ჩიტი“ და „დათვი“ მონაწილეობა განპირობებული იყოს იმ მოტივით, რომ აღნიშნული მცენარით (ამ შემთხვევაში ლელვით, იკვებებიან ჩიტი და დათვი). შესაძლოა ცხოველის სახელწოდების გამოვლენა მცენარის სახელწოდებაში აიხსნას ამა თუ იმ მცენარის გარეგნული მსგავსებით რომელიმე ცხოველთან.

აღნიშნული მაგალითები მსაზღვრელ-საზღვრულს წარმოადგენს. საერთოდ, მსაზღვრელ-საზღვრულის ასეთი განლაგება აფხაზურისათვის ორგანული არ არის. აფხაზურს ახასიათებს საზღვრულ-მსაზღვრელიანი სინტაქსური კონსტრუქცია.

თუმცა, მიმართებითი ზედსართავი სახელები აფხაზურში ... ვითარებითი ზედსართავი სახელებისაგან განსხვავებით, წინ უძღვის საზღვრულს. მაგალითად: წგ❖ფხტი აჩა❖ზრა „შარშანდელი მოსავალი“ (გვანცელაძე, 2003, 50).

❖ბნა... აწგ❖ს... არსებითი სახელები გამოდის მსაზღვრელის როლში და აღიქმება მიმართებით ზედსართავ სახელებად. იმდენად, რამდენადაც აფხაზურს ბრუნვები არ გააჩნია, მსაზღვრელის ფუძე, ცხადია, გაუფორმებელია; ქართულ თარგმანში კი, ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა: აწგს ლაპა❖ „ჩიტის ლელვი“, ❖ბნაწია „ტყის ვაშლი“.

მსაზღვრელ-საზღვრული აფხაზურში შედარებით ახალი წარმონაქმნი უნდა იყოს, ან კალკირების გზით მიღებული გა-

მსესხებელი ენიდან.

§8. ზედსართავ სახელთა შემცველი დენდრონიმები

ზოგჯერ ფუძეს ერთვის სიწვრილის, სინორჩის შემცველ ცნე-
ბათა ფუძის ნაშთები -**სსა**, -**ჭჭა** / **ჭუგს**

აჭაღსსა „გარეული, წვრილი მსხალი“

აჭიაღსსა „გარეული, წვრილი ალუჩა“

აჭაღჭჭა „გარეული მსხალი, წვრილი მსხალი“

არჭუგღს „ნორჩი კაკლის ხე“

ალჭუგღს „ნოლა, ნორჩი მურყნის ხე“

შესაძლოა, ფუძეს ერთოდეს ფერის ან გემოს აღმნიშვნელი
ზედსართავი სახელი, ან მისი ფუძის ნაშთი:

აჭაღშაა „თეთრი მსხალი“

≈ სიტყვასიტყვით: „მსხალი თეთრი“

აცაღშაა „ბალამწარა“

≈ ზედმიწევნით: „ბალი მწარე“

ამჟიეღქიაწია „ხართუთა“

≈ უფრო ზუსტად: „თუთა შავი“

ზემოთ აღნიშნული ყველა ლექსემა თავისი კონსტრუქციით
საზღვრულ-მსაზღვრელია. ამ შემთხვევაში აფხაზურისათვის და-
მანასიათებელი განლაგება — „საზღვრული + მსაზღვრელისა“
დაცულია.

§9. მრავლობითობის გამოხატვა ხეთა სახელწოდებებში

ხეთა სიმრავლის გამოსახატავად გამოიყენება კრებითობის -

რა სუფიქსი: ამჟღავნებს „თუთის კორომი“, ალაჰაღვრის „ლეღვის კორომი“, ანაღვრის „წაბლნარი“, აფსლღვრის „ტირიფნარი“.

აღნიშნული სუფიქსი, ფუნქციით, ქართული -ნარი ბოლო-სართის ეკვივალენტურია. ქართული -ნარი სუფიქსი ნ. მარს ორმაგი მრავლობითის აღმნიშვნელად მიაჩნდა (მარი, 1915, 937, 938).

ხეთა მრავლობითობის აღსანიშნავად -რა სუფიქსთან ერთად, შესაძლოა შეგვხვდეს ნივთთა კატეგორიის მრავლობითობის აღმნიშვნელი -ქია სუფიქსიც: აღჭავს || აღჭაარა || აღჭაარაქია „ნოღა, ახალი მურყნის, თხმელის კორომი“.

ასეთ შემთხვევებში, ვფიქრობთ, დაჩრდილულია წინამავალი -რა სუფიქსის ფუნქცია და ფუძე ხელმეორედ არის გაფორმებული ნივთთა კატეგორიის მრავლობითობის სხვა სუფიქსით.

ზოგჯერ მცენარის აღმნიშვნელ ფუძეს ერთვის -რთა/თრა < ათრა „ბუღე, სორო, ბუნაგი“ ლექსემიდან მომდინარე სუფიქსები, რომელიც გამოიყენება შემოზღუდული სივრცის აღსანიშნავად: ამანდარინაღვრთა „სამანდარინე, მანდარინის ბაღი“, არასაღვრთა „თხილის ბაღი“.

სულ განვიხილეთ — 60 ლექსიკური ერთეული;

სიხშირის მიხედვით ხეთა აღმნიშვნელ სახელწოდებებში პირველ ადგილზეა ოდენფუძიანი წარმოება — 19, მეორე ადგილზეა „ფუძე + აღვლა „ხე“ წარმოება — 10, მესამეზე ზედასართავ სახელდართული ფუძეები — 8, ბოლო ადგილი ზოონიმთა შემცველი ველური ჯიშების აღმნიშვნელ სახელწოდებებს უკავია — 2. 2 — ფუძეში მცენარის ველურობის ხაზგასასმელად გამოყენებულია აღვბნა „ტყე“ ლექსემა. აშკარა ნასესხობაა — 15, სავარაუდო ნასესხობა — 4.

2. ბუნქები

აჩქ

≈ აფხაზურში ბუჩქის ზოგადი სახელოდებაა.

აღნიშნული ლექსემა ქართველურიდან ნასესხებად მიაჩნია თ. გვანცელაძეს. აჩქ „ბუჩქი“ < მეგრ. ჩიქი „მარმუჭი“ (გვანცელაძე, 1997, 57-59).

ადილეური ქიანდ „ბუჩქნარი, ბუჩქების“ დაახლოება ოსურ კოთგრ / კოთარ, ინგუშურ კოთარ „ბუჩქი, ბუჩქნართან“ ან პირველი ნაწილით უბიხურ კიგ-სთან რთულია. პირველი კომპონენტი ქიანდ არის ადილეურ სიტყვაში ქიაშ(ა), ბჟედულურში ქიაშ(ა), შაფსულურში ქიას'ა „ერთი ფესვის განშტოებანი“, რომელსაც აქვს პარალელი უბიხურში ქიან'ა. აქ „ყურძნის მტევანს“ ნიშნავს. მეორე ნაწილისათვის ეტიმოლოგიზებული სიტყვისა დ(ა) დასაშვებად გვეჩვენება აფხაზური და „ფესვი“ (მცენარისა), შდრ.: ადაც, აგრეთვე, სადაც ც გადმოგვცემს ცალის მნიშვნელობას, როგორც ახიგც „ერთი ღერი თმა“, ახიგ „თმა“ (შაგიროვი, 1977, 212 (644)).

შდრ.: აგრეთვე ქართული კუნძი, ყუნჭი, ყუნწი...

სავარაუდოდ *ქგჩ / ჩგქ უნდა ყოფილიყო ძირი ამ სიტყვისა, სხვადასხვა ფონეტიკურ ტრანსფორმაციათა გათვალისწინებით.

§1. ნასესხობანი

ბუჩქების სახელოებათაგან უპირველესად ნასესხები ფუძეები უნდა გამოიყოს:

აზარდ „ბარდი“

≈ ნასესხებია ქართულიდან (ჭარაია, 1912, 10-15).

აკაწახიგვარ „კოწახური“

≈ ნასესხებია ქართულიდან (ლომთათიძე, 1976, 63).

ალაკიგვმჰა „ხეჭრელი“

≈ ნასესხებია მეგრულიდან < მეგრული ლუკუმხა, შდრ. გურ.

ლუკუმხა, ლუკუმხო (გვანცელაძე, 1997, 57-59).

აგიგერკატე ზღ „კუნელი“

≈ ხალხური ეტიმოლოგიის ნიადაგზეა მიღებული იმერ.-გურ. „კურკანტელადან“, მეგრ. *გურკანტელა ფორმისაგან. შდრ.: აფხ. აგიგ ზღ „გული“, ამერკატე ზღ „მაკრატელი“ (გვანცელაძე, 1997, 57-59).

აჭარხა ზღ „მთის ყოლო“

≈ შდრ.: ქართული ჭარხალი (მნიშვნელობის გაფართოებით, მცენარის სიწითლის ხაზგასასმელად).

აღდა ზღრა „ბუჩქნარი, ეკალნარი“

≈ შდრ.: ქართ. ღადარი... (მსუსხავის, ცხელის მნიშვნელობით).

თავად ქართულ ღად- ძირს შეესატყვისება ღაზური ღოდ- (ღაზურში ღოდ ძირს უკავშირდება, როგორც „ქმნის“, ისე „თქმის“ მნიშვნელობები. შდრ.: ღათ. აგი „თქმა; კეთება“, სვანური ღდ- (<*ღად-) (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 501). შდრ.: აგრ. სვან. ღედ-ერ „ქონდარი“ (ჩუხუა, 2000, 13).

აჩა ზღი „ჩაის ბუჩქი“

≈ ნასესხებია ქართულიდან.

§2. ბუჩქების მოტივაცია და ჩრდილული სახელწოდებები

აჭასა ზღი „ეკლიანი ბუჩქნარი“

≈ შესაძლოა კავშირში იყოს ყაბარდოულ ფაბზჷ „ბუჩქნარი, ბუჩქები“ სიტყვასთან (ხაზი ჩვენია ნ. მ.). ადიღურში ქიანდ / სჷანდ, როგორც არქაიზში იხმარება — ფაბზჷ „ხშირი, მაღალი ბალახი“.

პირველი ნაწილი ფა/ფჷ, შესაძლოა, ნიშნავდეს „მცენარეს“ შდრ.: აფხაზური ფა აფა ზღი „ფესვი მცენარისა“, უბიხური ფჷ სიტყვაში ფჷცოგ „გადანაჭერი ხისა“, იგივეა რაც ფჷსგ „წიფლის

შეშა“. მეორე ნაწილში დასაშვებია დავინახოთ ბზნ მის (დასაშვებ) ეტიმოლოგიურ მნიშვნელობაში „ის, რაც ამოდის, მაღლდება“, ოსური ფავზე შესული ყაბარდოულიდან (შაგიროვი, 1977, II, 7, (987)).

ამახვ ❖ რ „მაყვალი“

აბუგ ❖ ნწ „იელი“

ახია ❖ ეი „დეკა, შქერი“

აღნიშნულ სახელწოდებათა მოტივაცია უკვე დაჩრდილული ჩანს, მაგრამ, სავარაუდოა, რომ ეს სახელწოდებები ისტორიულად მოტივირებული იყო.

ბუჩქების ის სახელწოდებები, რომლებსაც ახსნა აფხაზურის ნიადაგზე მოეპოვება, ძირითადად გამჭვირვალე სემანტიკისაა.

§3. ამღ „ეკალი“ ზოგადი სიტყვის შემცველი სახელწოდებანი

ამღ ❖ ში „ეკალიჯა“

≈ სახელწოდების პირველი ნაწილი ა❖ამღ „ეკალი“ ფუძეა, მეორე ში ელემენტი კი ა❖შიკიაკია „თეთრი“, ვითარებითი ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი შეიძლება იყოს. სიტყვასიტყვით: „ეკალი თეთრი“. ლექსემა საზღვრულ-მსაზღვრელია.

ამღ ❖ შ „მაყვალი“

≈ სიტყვის პირველი ნაწილი ასევე, ამღ „ეკალია“, უცნობია ბოლოკიდური -ში ელემენტის მნიშვნელობა. სახელწოდება საზღვრულ-მსაზღვრელს უნდა წარმოადგენდეს. შესაძლოა, აყაფშ „წითელი“ ვითარებითი ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი იყოს: აყაფშ > აფშ > შ...

აჟუგსმგ ❖ ღ „მაყვალი“

≈ სიტყვის თავკიდური აჟუგს მნიშვნელობა ჩვენთვის უცნობია. შესაძლოა, მომდინარეობდეს ყაბარდოული ზნ, ადიღური ზნ □ზა□ „მინდი“ ფუძიდან, შაგიროვის მიხედვით, შესაძლოა, ყო-

ფილიყო შესაბამისი ბუჩქის (ხის) სახელი. ტრუბეცკოიმ შეაპირისპირა სიტყვა (ავტორს შეცდომით ასკილად მიაჩნია) ავარიულ ზაზ, თაბასარანულ ძაძ, ლეზგიურ ცცაძ, ლაკურ ცცაც „ასკილი, ბუჩქთან“, აგრეთვე ჩეჩნურ ზაზა, ინგუშურ ზიზასთან. შდრ.: ქართული ზაზუნა „ცხოველი“. დაღესტნურ-ნახურადილურ მასალასთან კლიმოვი აკავშირებს ქართულ ძეძვს ჭანურ დანძუს „კვრინჩხის ბუჩქი“. კლიმოვი აქვე ასახელებს ჭანურ ოძარძუს „ეკლით, წვეტით ჩხვლეთა“. აქვე ლაპარაკია აფხაზურ-ადილური სახელწოდების დგდ / დგდგ „სადგისი“ ქართველურ მასალასთან მსგავსებაზე. აბაზურ ზარგ „შინდს, ნაყოფს“ ერთნი მიიჩნევენ ყაბარდოულ ნასესხობად, სხვები ადილური სიტყვის მონათესავედ. აფხაზურიდან აბდოკოვს მოჰყავს ძგრ / ძარ აბგძარ-ში || აბგზარ „შინდი“, პირველი ნაწილი, შესაძლოა იყოს „ფერდობი“ (შაგიროვი, 1977, I, 205 (617)).

აბგძარ „შინდი“ ლექსემის პირველი ნაწილი, ჩვენი აზრით, შესაძლოა აბგა „მგელ“ სიტყვასთან იყოს კავშირში. აფხაზური ენის მცენარეთა სახელწოდებების სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელების გათვალისწინებით, ჩვენს დაშვებაში მოულოდნელი არაფერია. აღნიშნული სახელწოდების ზედმიწევნით მნიშვნელობად „მგლის ეკალი“ უნდა ვივარაუდოთ.

სიტყვის მეორე ნაწილი მგლ, სავარაუდოდ, ამლ „ეკალი“ სიტყვას უნდა წარმოადგენდეს. ამ შემთხვევაში ამლ ფუძე მსაზღვრელის როლში გვევლინება. სახელწოდება მსაზღვრელ-საზღვრულია.

აქვე უნდა დავასახელოთ აგრეთვე ზარგჯა / ზარგჯ / ზარგჯ „ძახველი“, შავსულური ზარგჯ, შდრ.: ყაბარდოულში პარალელური ძველი ფორმა ზარგჯა, სიტყვამ, შესაძლოა, აღნიშნოს არა მარტო ძახველის კენკრა, არამედ ბუჩქიც, თუმცა, ამ უკანასკნელისათვის გვაქვს ზარგჯა / ზანჯა / ზარჯა ადილური ზანჯა (ზარჯა), განსხვავებით ყაბარდოული ფორმისაგან, განე-

კუთვნება მხოლოდ ძახველის კენკრას (შდრ.: ზან□ / ზან□), როგორც ჩანს, შინდის სახელწოდებიდან არის მიღებული ჯან (გან) სუფიქსის მეშვეობით. „ცუდის“ მნიშვნელობით. ჯანს გამოყენება ადვილი დასაშვებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ძახველის კენკრა წითელია ისევე, როგორც შინდისა და აქვს მძაფრი, მწარე გემო. ელემენტი რგ (ადილეურ ზანჯან□ში რ სხვა სონორით ნთია შეცვლილი, შდრ.: ზარგ „შინდი“, ყაბარლოული ზან იგივეა (შაგიროვი, 1977, I, 207 (628)).

ჩვენი აზრით, განხილულ მაგალითებში ამდ „ეკალი“ ფუძის გამოყენება განპირობებულია მცენარის ეკლიანობის ხაზგასასმელად. შდრ.: ქართული: ეკალა, ეკალბარდი, ეკალიჯა... ქართულში ეკალი — ზოგადად, ეკლიან მცენარესაც ჰქვია.

§4. ზოონიმთა შემცველი სახელწოდებანი

აფხაზურ ფიტონიმებში ზოონიმების გამოყენება ძალზე ხშირია, ამ მხრივ გამონაკლისს არც ბუჩქების სახელწოდებები წარმოადგენს:

აჯმაყღ ❖ „დენგრა, კუნელი“

≈ სიტყვის პირველი ნაწილი ა❖ჯმა „თხა“ სიტყვაა, მეორე (ა)ყღ ❖ „ცურცლი“, სიტყვასიტყვით: „თხის ცურცლი“, სახელწოდება მსაზღვრელ-საზღვრულია.

აჰიაპა ❖ **ჰა** || **აჰიარბა** ❖ **ჰა** „მოცვი“

≈ სახელწოდების პირველი ნაწილი აჰია ❖ „ლორია“, მეორე (ა)პა ❖ **ჰა** „ტკიპა, ჯღიბა“, ზედმიწევნით: „ლორის ტკიპა“, სახელწოდება მსაზღვრელ-საზღვრულია.

ალაწიგ ❖ **მლ** „ასკილი“

≈ ლექსემის პირველი ნაწილი ალა ❖ „ძალია“, მეორე კი აწიგ ❖ **მლ** „ლურსმანი“, დაზუსტებით: „ძალის ლურსმანი“, კომპოზიტი მსაზღვრელ-საზღვრულია. აღნიშნული სახელწოდებ-

ბები მოტივირებულია მცენარის ცხოველთან, ან მის განავალთან გარეგნული მსგავსებით.

ალაწიგ ❖ მლ „ძაღლის ლურსმანის“ მოტივაცია მეტად საგულისხმოა! აქ ძაღლ ფუძის გამოყენება მოტივირებული უნდა იყოს „ცუდის, უვარგისის“ მნიშვნელობით. შღრ. ქართ. ძაღლ-ყურძენა. საგულისხმოა, რომ ლათინური სახელწოდება აღნიშნული მცენარისა არის *Rosa canina* „ძაღლის ვარდი“.

აჟიგრძე ❖ „ღვია“

≈ სახელწოდების პირველი ნაწილი ა ❖ ჟი „ძროხა“, მეორე კი (ა)ძე ❖ „წყალი“, სახელწოდების მოტივაცია, შესაძლოა, იმით იყოს გამოწვეული, რომ ამ მცენარით ძროხა იკვებება. სიტყვა-სიტყვით: „ძროხის წყალი“.

აჰიარპა ❖ ჭა და აჟიგრძე ❖ სახელწოდებანი აღნიშნულის გარდა, შეიცავენ -რ ელემენტს, რომელიც მესამე პირის მრავლობითობის „კუთვნილების“ პრეფიქსს წარმოადგენს. სიტყვა-სიტყვითი თარგმანი ასეთი იქნება: „ღორი [მათი] ტკიპა“, „ძროხა [მათი] წყალი“. საგულისხმოა, რომ ღორი და ძროხა არსებითი სახელები მხოლოებითი რიცხვითაა წარმოდგენილი, კუთვნილებითი პრეფიქსი კი მრავლობითი რიცხვისაა.

ასეთ შემთხვევებში, ჩვეულებრივ მეტყველებაში, როდესაც არაგონიერთა კლასის მსაზღვრელი წინ უძღვის საზღვრულს, მსაზღვრელის მრავლობითობა გადმოიცემა -ქია სუფიქსით, ხოლო საზღვრულის თავში წარმოდგენილია რ- პრეფიქსი: აჰია ❖ ქია რპა ❖ ჭა „ღორები (მათი) ტკიპა“.

აღნიშნული სინტაქსური კონსტრუქცია, ანუ ბლოკი, როდესაც მცენარის სახელწოდებად გვევლინება, ენაში მოქმედი ეს წესი დარღვეულია.

უნდა ვიფიქროთ, ეს გარემოება რ- პრეფიქსის სიტყვაწარმოებითი ფუნქციით დატვირთვაზე მიუთითებს, რაც მისთვის მეორეულია.

§5. აჭ / ჯა ელემენტის შემცველი სახელწოდებანი

ადგლა ❖ ჯა „ბაბგი, ჭყორი“

აშხარა ❖ ჯ „ყოლო“

ან~არა ❖ ჯ „რცხილისებრთა ოჯახის ბუჩქი“

პ. ჭარაია მიიჩნევდა, რომ აფხაზური აჭ „მუხა“ საერთოა მეგრულ ჯა(ლ) „ხე“ სიტყვასთან (ჭარაია, 1912, 23, 45). აღნიშნული ელემენტის გამოვლენა ბუჩქების სახელწოდებებში, შესაძლოა აფხაზურში ჯ ძირის უძველეს ფუნქციაზე, მის ზოგადად ხის აღმნიშვნელ ძირად გამოყენებაზე მიუთითებდეს; თუკი ჯ აღნიშნულ შემთხვევებში მეორეული არაა და რომელიმე სხვა თანხმონისაგან, მაგალითად ყ-საგან არ მომდინარეობს.

§6. ბუჩქების სახელწოდებებში გამოვლენილი სხვადასხვა ელემენტები

აჟღს || აჟღ „მაყვალი“

≈ ბუჩქის აღმნიშვნელ ლექსემაში დასტურდება აჟ ელემენტი... ს/ც ელემენტი აც „მარცვალი“ სიტყვის ძირი უნდა იყოს.

აჟღწირღ ❖ „სელშავი, მოცვი“

≈ დასტურდება აჟ ელემენტი. სიტყვასიტყვით: „ყურძენ გრძელი“, აწირღ „გრძელი“, სადაც აჟ ყურძნის აღმნიშვნელი ძირი უნდა იყოს.

აჭადქიღ ❖ ც „ეკლიანი ბუჩქნარი წითელი შხამიანი კენკროვანი“.

≈ სახელწოდებაში გამოიყენება აქიღ ❖ ც „ჭავი“ სიტყვა. მოტივაციის ფრიად საგულისხმო შემთხვევაა! აჭა ❖ დ „ყურძნის ჯიშა

ერთგვარი“, აქივ❖ც / აქივ❖ცრა „ჯაგი, ჯაგნარი“, ზედმიწევნით:
„ყურძენი ჯაგი“.

სულ განვიხილეთ ბუჩქების — 25 სახელწოდება. აქედან ნა-
სესხებია — 8, მოტივაცია დაჩრდილულია — 4-ში, ამლ „ეკალი“
ფუძეს შეიცავს — 3, ზოონიმებს — 4, აჯ / ჯა ელემენტს — 3,
სხვადასხვა ელემენტებს — 3.

ორ სახელწოდებაში გამოვლინდა მორფოლოგიური ოდენო-
ბა, კერძოდ, III პირის მრავლობითობის „კუთვნილების“ -რ პრე-
ფიქსი.

II Tavi
ჰერბონიმები
1. ბალახები

აჭასკეღინ || აჭასკეღინრა

≈ აფხაზურში, ზოგადად ბალახს აღნიშნავს. ქ. ლომთათიძეს ქართული ასკილი სიტყვისაგან მომდინარედ მიაჩნია (ლომთათიძე, 1976, 170).

ბალახების სახელწოდებები, სემანტიკური თვალსაზრისით, იყოფა ველური ბალახებისა და კულტურული ბალახეულის აღმნიშვნელ სიტყვებად.

§1. ნასესხები ლექსემები

უპირველესად, გამოვყოფთ ნასესხებ სახელწოდებებს:

ათიაღი „თივა“

≈ მიღებულია ქართული თივადან (ლომთათიძე, 1976, 118).

აბგრბგღელ „წიწაკა“

≈ ნასესხებია მეგრულიდან (ჭარაია, 1912, 12).

აკაღმა „კამა“ *Anethum gzaeolens*

≈ ნასესხებია მეგრულიდან (ჭარაია, 1912, 13).

აპარაღისა (ბზიფ.) აპარასქია (აბჟ.) „პრასი“ *Allium porrym*

≈ ნასესხებია მეგრულიდან < პურასქია „პრასი“ (გვანცელაძე, 1997, 58).

აჭყიარტაღიტ „ჭანგი, იონჯა“

≈ ნასესხებია მეგრულიდან: „ჭყორტოტი“ (ჭარაია, 1912, 15).

აკალაკეათ ჰასკეღინ „ძაღლის კბილა“

≈ ნასესხებია მეგრულიდან ჯოლოკეტი || დოლოკეტი || კლერტა, გლერტა (გვანცელაძე, 1997, 59).

აკალა ❖ მშ „ლაქაში“

≈ ზედმიწევნით: „თეთრი ლერწამი“... „ლექსემის კალამ ფუძე
ნასესხებია ქართველური ენებიდან და არა ბერძნული კალამოს
ფორმიდან, რაზეც მახვილის ადგილმდებარეობა მიანიშნებს
(გვანცელაძე, 1997, 59).

აცამციფ ❖ რ || ასამციფ ❖ რ „სამყურა“

≈ ნასესხებია ქართულიდან (გვანცელაძე, 1997, 50).

ამაკ ო გნდო ❖ ლ || ამაკ ო ანდო ❖ ლ „ოხრახუმი“

≈ ნასესხებია მეგრულიდან: < მაკინდოლი (ლომთათიძე, 1976,
60).

აკილანდგ ❖ რ „ქინძი“. coriandrum

≈ ნასესხებია მეგრულიდან დისიმილაციით: *კულანდირი (გვანცე-
ლაძე, 1997, 58).

აყიალმი ❖ ნთა „პიტნა“

≈ ნასესხებია მეგრულიდან: მეგრული ყვალ მი(ნ)თა < მეგრული
ყვალი „ყველი“ + ბერძნული მენთა „პიტნა“ (ჯავახიშვილი,
1934, 251).

აჟენშე ❖ ნ „ჟენშენი“

≈ ნასესხებია რუსულიდან

აბაია „ბაია“ Ranunculus

≈ ნასესხებია მეგრულიდან: ბაიე, ბაია.

ათათგ ❖ ნ || ათგთგ ❖ ნ „თამბაქო“ Nicotiana

≈ ნასესხებია თურქულიდან (ლომთათიძე, 1976, 63).

ა ❖ შიჩ || ა ❖ შიშ „სურო“ Hedera

≈ ნასესხებია მეგრულიდან: ჭანური მსიჯი, მსუჯი, მეგრული სუ-
რო, ცურუ, სვანური ბჷრდ, ბაარდ (გვანცელაძე, 1997, 59).

ახიგ ❖ ლ „კეჟერა, კოლრაბი“

≈ ნასესხებია მეგრულიდან: < ხული. შდრ.: ქართ. „მხალი“
(გვანცელაძე, 1997, 58).

ასაძრაღინჯ „ზაფრანა“

≈ ნასესხებია თურქულიდან.

აბგრკმაღინ || აბგრკმაღინ „ეკალას მხალი“

≈ (საჭმელი) ნასესხებია მეგრულ *პურჭუმონი || *ბურჭუმონი-დან, შდრ.: პურჭუმოლი, ქართული ბრწამლი, ბურჭუმელი, ბურჭუმელა (გვანცელაძე, 1997, 57).

აქვღინჯა „ჭინჭარი, პირბამბა“, *phlomis pungens*.

≈ ამ მცენარის აღმნიშვნელი ძირი საერთო იბერიულ-კავკასიური ოდენობაა.

ხუნდ. მი-ჭა „ჭინჭარი“ — ქართ. ჭი-ნ-ჭ-არი, ძირეულია ჭა, ჭ. თავკიდური ხუნდ. მი და ქართ. ჭი (< ჯი < დი) კლასის გაქვავებული ნიშანია. ანალოგიური ძირები გვხვდება ანდიურ ენებში (მაგ. ჭამალ. მი-წა-უ, ტინდ. მი-ჩა-ა...), ქისტურ ენებში (ბაცბ. ნი-ტტ, ჩაჩნ. ნი-თთ), ლაკურში (მე-ჭ), უდიურში (მე-ჭ) და სხვ. (გუდავა, 1954, 706).

აისგღირ „ისლი“ *Garex*

≈ ნასესხებია ქართულიდან მეგრულის გზით, მეგრული: ისირი, სვანური: ისრ.

აჩალეღინჯი || აჩალაღინჯა „ლაქაში, ჭადვი, სათიბელი, ტბის ლაქაში“

≈ ნასესხებია ქართულიდან (გვანცელაძე, 1997, 59).

§ 2. ველური ბალახების აღმნიშვნელი სიტყვები

აფყვღინჯი „ლაქაში“, **აფყვღინჯრა** „ლაქაშის კორომი“ *Typha*

≈ სიტყვის ფუძე უნდა უკავშირდებოდეს აფყარა „ჭრა“ ზმნურ ფუძეს აფხაზურში; რაც შეეხება -ზ სუფიქსს, თითქოს ეს სუფიქსი გარდაქცევითობის უნდა იყოს: საზ შდრ.: ანაციაზ || ამაციაზ „ბეჭედი, სათითური“. ქ. ლომთათიძე თავის ფუნდამენტ-

ტურ მონოგრაფიაში „აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-მედარებიტი ანალიზი“, I, აღნიშნავს, რომ ... „აფხაზურში თანხმობაზე დაბოლოებული ფუძეები წინამავალი მახვილის მოქმედებით ხმოვანმოკვეცილია, ან ნასესხები ამაცააზ < ამაცააზა“... (ლომთათიძე, 1976, 249).

ათგ ❖ რას „გვიმრა“

≈ ჭან.: ბილონცა, მეგრ.: გვიმარა, სვან.: გვიმორ, გვრიმა. ფუძის თავკიდური ათგ- ელემენტი, შესაძლოა, უკავშირდებოდეს „შიგნიდან ამოღება, ამოსვლის“ აღმნიშვნელ ფუძეებს აფხაზურში. შდრ.: ათგ ❖ ხრა „ამოღება შიგნიდან“, ათგ ❖ წრა „სიღრმიდან ამოსვლა, გამოსვლა“, სიტყვასიტყვით: „შიგნიდან ამომძვრალი“.

აყარმა ❖ || აყარმა ❖ ში „სვია, ფშალა, თეთრი სვია, კალამჩალამი“ ალგ ❖ მში || ალგმშიძახა ❖ (ბზ.) *Humulus lupulus*

≈ ლექსემის ფუძეზე დართული -ში ელემენტი აშუკააკა „თეთრი“ ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთია. სიტყვასიტყვით: „სვია თეთრი“. მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს. ალგმშიძახა ❖ სიტყვის ბოლოკიდური ძახა ❖ ფუძე აფხაზური ძახა ❖ „ვაზია“. სიტყვასიტყვით: „სვია ვაზი“. სახელწოდება კომპოზიტს წარმოადგენს.

ახია ❖ ც || ახია ❖ ცრა „ჭინჭარი“, „ჭინჭრიანი ადგილი“

≈ რა კრებითობის სუფიქსია.

ასახ ❖ ჰიგ ❖ რა „საკვები ბალახის სახეობა“

≈ სიტყვის მეორე ნაწილი უნდა უკავშირდებოდეს ა ❖ ჰირა „ძოვა“ ზმნურ ფუძეს. პირველი ნაწილი ასახ ❖ „სახე“, ქართულიდან ნასესხები სიტყვაა. გაუგებარია მისი მონაწილეობა აღნიშნულ ლექსემაში. სიტყვასიტყვით: „სახე ძოვა“ კომპოზიტია.

აჭაჰგ ❖ ლ „ბალახის სახელწოდება“

აჭჭატოგ ❖ „ბალახი“

≈ -ტოგ დანიშნულების სუფიქსია.

ალაპიაქია ❖ ჯა „ველური ხახვისებური მცენარის სახელწოდება“

≈ სიტყვა რთული შედგენილობისა ჩანს. თავკიდური ნაწილი ამ სიტყვისა, ალაპია „ყორანს“ ნიშნავს აფხაზურში, გარდა ამისა, ალაპიარა „გახვევა, შეხვევა, შებურვა“ ზმნური ფუძეა, -ქია ნივთთა კლასის მრავლობითობის აღმნიშვნელი სუფიქსია, აჯა, აჯაბაა „ჯაფა, უბედურება, გლოვა“ სიტყვის შეკვეცილი ფორმა. მცენარის სახელწოდებაში, ცხოველის ან ფრინველის სახელწოდების აღმნიშვნელი ფუძის ნაშთის, ან ძირის გამოყენება აფხაზურისათვის უცხო არაა, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია სიტყვის ამ ნაწილის ზმნურ, ალაპია ❖ რა „გახვევა“, ფუძესთან დაკავშირება, რადგან ჩვენი აზრით, ხახვისებური მცენარის სახელწოდება, „გახვეულის“ მნიშვნელობას უფრო იგუებს. სიტყვასიტყვით: ალაპიაქიაჯა უნდა ნიშნავდეს „გახვეულ-ები-უბედურებას“.

აშემი ❖ „მწყერფეხა, მწყერის ფეხა“, *Digitaria sanguis*

≈ სიტყვის პირველი ნაწილი, შესაძლოა, იყოს აშაპე ❖ „ფეხი“ ლექსემის ფუძის ნაშთი. -მ უარყოფითობის სუფიქსი. სიტყვასიტყვით: „უფეხო“.

აჭასკ Ⴖ გინ გაა ❖ მ „სარველა ბალახი“

≈ აგია ❖ მ „ნაგავი“, აგია მ-სა ❖ მ „იგივეა, რაც აგია ❖ მ“. შდრ.: ქართ. გვამი || გუამი „შიგნეულობა“.

ადგრძე ❖ „ცხენის მყაუნა“, *Rumex acetosa*

≈ სიტყვის პირველი ნაწილი უკავშირდება ადგ ❖ რა „ცოდნა“ ზმნური ფუძისაგან ნაწარმოებ მიმღეობას: ადგ ❖ რ „ნაცნობი“, მეორე ნაწილი -აძე ❖ „წყალი“, არსებითი სახელია. სიტყვასიტყვით: „ნაცნობი წყალი“, მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს.

ახაჩა ❖ რა „შამბი, შამბნარი, ყელტამი“.

≈ -რა სუფიქსი კრებითობის მაჩვენებელია.

აჭიიღრა „მამბი, მამბნარი, *Trigonella foenum*

≈ სიტყვის თავკიდური ნაწილი, შესაძლოა, უკავშირდებოდეს აპირა „ძოვა“ ზმნურ ფუძეს აფხაზურში.

აშაქიაღ „ყლარტი, ლამური, სატაცური“ *Asparagus polup-hullus*

≈ ქია სუფიქსი ნივთთა კლასის მრავლობითობისაა.

ანგღცი „კანაფი“ ჩანნაბის

≈ ჭან.: კერძი, კეფი; მეგრ.: კეფი, კიფი; სვან.: გიმბღ, ჯვრჯ, ხერხლა. სიტყვის მეორე ნაწილი უნდა უკავშირდებოდეს აციაღ „კანი“ ლექსიკურ ერთეულს. ნ/ნგ, შესაძლოა, ლოკალური წინ-სართი იყოს, რომელიც გამოხატავს ჰორიზონტალურ სიბრტყეს. შდრ.: ანგღში „მიწა“.

ასასკღღრა „დათვის ხახვი“.

§ 3. ველური ბალახების სახელწოდებებში გამოვლენილი ზოონიმები

აჯმაფაღწა „თხაწვერა“

≈ სიტყვასიტყვით: „თხა წვერი“ *Chamaenerium angustifolium*. სიტყვა წარმოადგენს კომპოზიტს: აჯმა „თხა“, აფაწა „წვერი“, ქართულად ამ მცენარეს „ხარიკულასაც“ ეძახიან.

აცგოწღღხია „კატის კულა“

≈ აცგოღღ „კატა“, აწღღღხია „კული“, მსაზღვრელი წინ უძღვის საზღვრულს.

აცგოღღღხში „ბალახოვანი მცენარე“

≈ აცგოღღღ „კატა“, აღღღღხში „რძე“ სიტყვასიტყვით: „კატის რძე“, მსაზღვრელი წინ უძღვის საზღვრულს.

აღღციხიდა „იონჯა“

≈ აღღცი „ხარი“, აღღციხიდა „კისერი“, სიტყვასიტყვით: „ხარკისე-რი“, კომპოზიტია.

აჩგ ❖ ჰასკენ „სპეციალური ნორჩი ბალახი, იხმარება ცხენის საკვებად“

≈ სიტყვა დაიშლება შემდეგნაირად: აჩგ ❖ ჰ „ღოღის ცხენი“, აჰასკენ ❖ „ბალახი“. მსაზღვრელი წინ უძღვის საზღვრულს.

აჟ ❖ არჰასაკენ „ველური ციკორა“

≈ სიტყვასიტყვით: „კურდღელი [მათი] ბალახი“. აჟ ❖ „კურდღელი“, რ- III პირის მრავლობითობის [კუთვნილების] პრეფიქსი, აჰასკენ „ბალახი“.

ამწერბლგ „ანწლი“.

≈ სიტყვის პირველი ნაწილი, შესაძლოა, ამწ „ბუზი“ სიტყვა იყოს, მეორე ნაწილი აბლგ „ფოთოლი“ ლექსემა. სიტყვასიტყვით: „ბუზის [მათი] ფოთოლი“. რ- III პირის მრავლობითობის [კუთვნილების] აფიქსია: თუკი ქართულიდან არ არის ნა-სესხები. შდრ.: ანწ / ამწ.

§ 4. პარაზიტული მცენარეები

აა ❖ წი „ფითრი“ viscum album

≈ ჰან.: ჰაბუ, მცხული, კაკა; მეგრ.: ლიყვი, ლეყვი; სვან.: ჰაგვ. ფითირ. სიტყვის მეორე ნაწილი, შესაძლოა, უკავშირდებოდეს აწიღლ ❖ რა „ამოსვლა“ ზმნურ ფუძეს, თავკიდური აა-, შესაძლოა, ლოკალური წინსართი იყოს.

აშია ❖ ლტ „ხავსი, ხვიფქლი ქვისა“

აშეგცლა ❖ მში || აშეგცლა ❖ მ „ხავსი, ხვიფქლი“

≈ ჰან.: მისუმი, მეგრ.: ფუთქური; სვან.: ფუნთქვირ. შდრ.: ქართ.: შლამი || ლამი, აგრეთვე აფხ.: აშეგ ❖ ც „ბზა“.

ახაიფა ❖ (ბზიფ.) || აფაკაია ❖ „ობი, ფორი“.

ცალკე უნდა გამოიყოს სოკოს აღმნიშვნელი ზოგადი სიტყვა **აკიეკიბაა**, სადაც სიტყვის პირველი ნაწილი აკიე ❖ კი ნიშნავს „მაჩიტელას“, ხოლო მეორე ნაწილი არის ვითარებითი ზედსარ-

თავი სახელი აბა❖ა „დამპალი, დამყაყებული“; სიტყვასიტყვით: „მაჩიტელა დამპალი“, როგორც ჩვენთვის ცნობილია, აფხაზთა საკვებ რაციონში სოკო არ შედის, ამდენად, სოკოს ჯიშების აღმნიშვნელი ლექსიკა ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში ჯერჯერობით არ გამოვლენილა.

აწგ❖თია „ხავსი“.

§ 5. კულტურული ბალახეული

აშგ❖ხი (ბზიფ.) „პიტნა“

≈ შდრ.: აყიალ მინთა.

არშიტიგ❖ „სათესლე ხახვი“

≈ -ტიგ დანიშნულების სუფიქსია. ა❖რშიარა „გამარგვლა“ რპრეფიქსი კაუზატივისაა.

აწგ❖ბრა „ქონდარი, „ონჭო“ *Satureja nortensis*

ა❖ზნარაჰანა „ტყის რეჰანი“ *Ocimum basilicum*

≈ სიტყვასიტყვით: „ტყის რეჰანი“.

ახიგრბლꞑც „მრავალძარღვა“

≈ ახიგ „დაჭრილი“, რ- კუთვნილებითი პრეფიქსი III პირის მრავლობითი რიცხვისა, აბლꞑც „ერთი ცალი ფოთოლი“, სიტყვასიტყვით: „დაჭრილთა 'მათი' ფოთოლი“.

ახიგსხია❖ „ქინძი“

აძამა❖ძა „ყოველგვარი საკვები ბალახეული“

≈ აქ შეიძლება ხილიც იგულისხმებოდეს. ა❖ძა „უმი“, „უმეულობა“, მიღებულია ფუძის გაორკეცებით, მ- თანხმოვნის განვითარებით, შდრ.: ქართ. „ხილ-ხული“.

ახეხხე❖ლა „მწვანლისაგან მომზადებული საკაზმი“

≈ ახეხხე❖ლარა „დაჭრა“, „მწვანილი, რომელსაც ზედ აჭრიან საჭმელს შეკმაზვის დროს. გურ.: „წასაჭარი“.

ამკიანდღ ❖ რ „ჭინჭრის მხალი“ (საჭმელი)

≈ შდრ.: აკიანდღ ❖ რ „უნაგირი“, აკიანდღ ❖ რრა „ცხენის შეკაზმვა“, შდრ. აგრეთვე: ქართ. შეკაზმული > შეკაზული (მეტათეზისით) ფხალი || მხალი (საჭმელი), თავკიდური მ- ამკიანდღ ❖ რ სიტყვაში განვითარებული უნდა იყოს. შდრ.: აკილანდღ ❖ რ „ქინძი“.

აჯგ ❖ შა „ნიორი“

≈ ადილური ბზ'ნგი / ბჟენგტ „ნიორი“ მიღებულია ბზ'ენ / ბჟენგ „ხახვი“ და ხი(გ)ტ(გ) თეთრისაგან, შდრ.: აფხაზურ-აბაზური აჯგშა / ჯგშა, უბიხური ზ'იეს'იე „ნიორი“. ბოლო ფორმებში ხახვის სახელი წარმოდგენილია მშ'გ, მლ'გ (< ფშგ, ფლ'გ „წითელი“-ის გარეშე. აფხაზურში და აბაზურში ჯ, ჯ'-ს ნაცვლად მომდევნო მაგარი სპირანტის შა-ს გავლენაა, შა აღნიშნავს „თეთრს“. უბიხური ფორმის მეორე ნაწილისათვის უბიხური სიე „თეთრი“ ზ-ს გავლენით სისინა სი გადავიდოდა შიშინ-სისინა ზ'-ში (შაგიროვი, I, 1977, 91, (159).

-შა ელემენტი აფხაზურში ადილური ენის ჩვენების კვალდაკვალ, შესაძლოა ა❖შაკიაკია „თეთრი“ ვითარებითი ზედსართავი სახელის ნაშთს წარმოადგენდეს.

აჯგმშგ ❖ „ხახვი“

≈ ადილური ბზ'ენ / ბჟენგ „ხახვი“, ამოსავალი ფუძე, შესაძლოა, დავუკავშიროთ ბზ'ნ / ბჟნ პრეფიქსულ ზმნებს ტბზ'ენ / ტბჟენ „წვა“. შდრ.: აფხაზურ-აბაზური აჯგმშგ / ჯგმშგ, უბიხური ზი❖გმლ'გ „ხახვი“. ისევე, როგორც უბიხურ ზი❖ე / ზი❖ენ „შეწვა“. აფხაზურ აჯგმშგ-ს როგავა შლის ნაწილებად: ჯგ „ხახვი“ და მშგ (< ფშგ) „წითელი“. პირველი კომპონენტი იგივეა, რაც ზ'გ / ჟგ. ადილური ბზ'ენ / ბჟენგ, სადაც ბ-ს როგავა გამოყოფს როგორც კლასის გაქვავებულ ნიშანს, ნ/ნგ-ს კი, როგორც დეტერმინანტ სუფიქსს (შაგიროვი, 1977, I, 91, (158).

აქვეა განსახილველი ადილური **შიბჟე□ / შგბჟგ** „წიწკა“. ჰაკუჩურ თქმაში ჩგბჟე□ უდავოა, პირველი ნაწილი დაკავშირე-

ბულია შავი / შავი „მარილი“ სიტყვასთან. ელემენტი ბჟჱ / ბჟე უნდა ვიფიქროთ, ერთი და იმავე წარმოშობისაა, ბზ'გ / ბჟე, ბზ'გნ / ბჟეგ „ხახვთან“ და შეიცავს სემანტიკას „წვა“. ყაბარდოულში ადვილია, ვივარაუდოთ ასიმილაციური გადასვლა ზ' ჟ-ში. სიტყვა ნასესხებია მეზობელ ენებში. შდრ. აბაზური ჩვჱი, უბხური ჩვბჟჱ, ინგუშური შიბგზ, ყარაჩაულ-ბალყარული ში, ბიჟი, ბალყარული ჩიბიჟი, ოსური ცვდძ / ცივზ „წიწკა, წითელი წიწკა“ (შაგიროვი, 1977, II, 142 (1478)).

ასევე ცალკე განხილვის ღირსად მიგვაჩნია **აწგწგ ჳნდრა** „მარწყვი“ ლექსემა. სიტყვის ეტიმოლოგიის შესახებ ვრცელი და დამაჯერებელი მსჯელობის შემდეგ, ქ. ლომთათიძე ასკვნის, რომ: ... საგანგებო ყურადღებას იქცევს „ზმ. რაჭულში არსებული სახელწოდება მარწყვისა წიწინდერა (შდრ.: წია-მპოლა) და მეგრულში ციმჟა-ს გვერდით ხმარებული წიწიმდერა, წიწინდარა.

... მარწყვის ეს სახელი შესულია აფხაზურ ენაში მეგრულიდან ან რაჭული დიალექტიდან და აფხაზურში მოუცია „აწგწგ ჳნდრა“. ბზიფურ დიალექტში ფუძისეული აფრიკატი სისინ-შიშინა ვარიანტით არის გადაღებული... საყურადღებოა, რომ აბაზურში ეს სიტყვა არ გვხვდება“ (ლომთათიძე, 1984, 57, 58).

თავად წიწინდარას ეტიმოლოგია კი ასეთი სახითაა წარმოდგენილი:

„წიამპოლა

... მარწყვს იმერულში წიამპოლას ეძახიან. იგი ორი სიტყვი-საგან უნდა შედგებოდეს. პირველ კომპონენტად გამოიყოფა წია-, რომელიც მსაზღვრელად უნდა გვევლინებოდეს, ხოლო მეორე ნაწილი იგივე მავალი (-ა სუფიქსდართული) სიტყვაა, რომელიც ზოგადად კენკროვანი ნაყოფის შინაარსით არის გამოყენებული. ამიტომაც, ბუნებრივია, იგი მსაზღვრელსაც მოითხოვს

(შდრ. აქვე, ჯამბი). სწორედ ამ მეორე -მბოლა ფუძეში მომხდარა მკვეთრი ლაბიალური კომპლექსის მკვეთრ ბაგისმიერ ხშულად შერწყმის ფაქტი და მაცვალ- სიტყვის ყვ-საგან მიგვიღვია პ, ხოლო ამ ნიადაგზე *მაპალ → *მპალ- → მპოლ- (ბაგისმიერთა -მპ-ს გარემოცვაში ა>ო).

რომ ამ სიტყვას სწორედ ასეთი ცვლილება მოსვლია და პ ამ გზით მოდის მაცვალ სიტყვისაგან, ამას ნათელს ფენს მეგრ. -ში არსებული იგივე სიტყვა ციმცვა, ცემცვა, ცემცუა (> ცემუა).

მეგრულის ციმცვა იგივე წიაიმპოლა < *წიამაცვალა არის პირველი თანხმოვნის ფშვინვიერი სახეობით.

ამ სიტყვის გავრცელების თვალსაზრისით, საყურადღებოა ადიღურ ენათა განვითარება. ქართველური ენებიდან იგი შესული ჩანს აღნიშნულ ენებში.

ადიღურში საერთოდ მარწყვის, მაცვლისა და თუთისათვის-საც გამოიყენება მარწყაჲ, ასე, მაგალითად, შაფსულურ დიალექტში მარწყაჲ „მარწყვს“ აღნიშნავს. ამ მხრივ ყურადღება მისაქცევია ის გარემოება, რომ ყაზარდოულში მაცვლისათვის გამოიყენება მარაკაჲჲჲჲ, ე. ი. „შავი მარაკვა“ = „შავი მარწყვი“.

კენკროვანთა სახელების ერთიდან მეორეზე გადანაცვლებისა და განსხვავებულად ფერის აღმნიშვნელი მსაზღვრელის დართვის ფაქტი, ფრიად ანგარიშგასაწევია სწორედ განსახილველი ფუძეების ეტიმოლოგიის დროს.

ადიღურ ენაში (შაფსულური დიალექტის გამოკლებით) გარდა ამისა, მარწყვისათვის გვხვდება იგივე ქართველური ენების ფუძის ნაწილობრივ განსხვავებული სახეობა — ც'ემმფჲ (შდრ. წიაიმპოლა || ციმცვა < *ციმცვა < *წიმცვა...) [სვანურში გვხვდება აღნიშნული ფუძე დელაბიალიზებული სახით, რის გამოც დაცულია ყ ამოსავალი თანხმოვანი: ცინყა „მოცვი“, და-შდვე ცინყა — ხეჭრელი დღღღღ ცინყა „დათვის მოცვი“.

სპეციალურ ლიტერატურაში ყაზარდოულისათვის არ უთი-

თებენ ამ სიტყვას. ... აბაზურში შემონახულია ყაბ-დან ნასესხე-
ბი მარწყვის სახელწოდებად ჟიგმფ. მისი ვარიანტი ჟიუიმფ წარ-
მოდგენილია სალიტერატურო ენაში. აბაზ. ენის აშხ. დიალექტ-
ში ჩვენ ჩაწერილი გვაქვს მისი ზ'იგმპ სახეობა, ე. ი. — გაუფ-
შვინვეიერებელი ჟიგმფ || ზ'იგმპ აბაზურში აღნიშნავს როგორც
მარწყვს, ასევე თუთას და საერთოდ კენკრას (ლომთათიძე,
1984, 47-49).

აბაზურში შემონახული ...ჟიგმფ||ზ'იგმპ ფუძე ადიღური
ენის ც'იგმფჷ-ს (< *ც'იგმპა) ყაბარდოულ შესატყვისს წარმოად-
გენს თავისი მჟღერი ლაბიალიზებული ზ'ი სპირანტიტ (რომე-
ლიც თავის მხრივ აფრიკატის სპირანტიზაციითაა წარმოქმნი-
ლი) და იმ დროს უნდა იყოს შესული აბაზურში, სანამ ყაბარ-
დოულში ადიღ. პრეპუტივი ც'ი-ს შესატყვისად მჟღერი ლაბია-
ლიზებული ზ'ი სპირანტიდან მომდინარე კბილბაგისმიერ გ-ს მი-
ვიღებდით.

... წიამპოლას პირველი კომპონენტი, წია... წითლის აღმნიშ-
ვნელი ფუძე უნდა იყოს და რაკი მპოლ-ა მაყვალ- სიტყვის ფუ-
ძეს ეყრდნობა, ბუნებრივი იყო „მარწყვის“ სახელი რთულ, კომ-
პოზიტურ შენაერთში წარმომდგარიყო „წითელი მაყვალი“-სა-
გან, ე. ი. იმავე მაყვალს მსაზღვრელად მარწყვის დამახასიათე-
ბელი ფერის აღმნიშვნელი ფუძე დართოდა.

ივ. ჯავახიშვილით მარს „კანდლუ“ აქვს აღნიშნული, ყიფში-
ძეს კი დამატებით მიუწერია „მჭითა კანდლუ“ ჭანურისათვის
(ჯავახიშვილი, 1934, 277). „წია მპოლასთან დაკავშირების გარე-
შეც ივ. ჯავახიშვილის ზემოთ გაანალიზებული „ციმქვა“-ს ცი
„წითლის“ მნიშვნელობის მქონედ მიაჩნია და აღნიშნავს „წი“-ს
ფონეტიკური სახეცვლილება უნდა იყოსო.

წია- ფუძის, რომელშიაც ინტერვოკალური პოზიციის
წყალობით თანხმოვანი ჩანს გაუჩინარებული, — წითლის მნიშ-
ვნელობით გამოყენება, როგორც ცნობილია, არც თუ იშვიათი

მოვლენა ქართული ენის რთულ სიტყვებში.

წი-ა წით-ელს უკავშირდება ძირეული მასალით. ია-ს შორის თ თანხმოვანი (ან რომელიმე ბგერინაცვალი) ჩანს ჩავარდნილი. ცნობილია, რომ წი-ს ჭია შიშინა სახეობაც მოეპოვება, რაც გვაძლევს გარკვეულ შესატყვისობას ქართულ ზანურის ტიპისა, შდრ. ქართ. წითელი და ზან. ჭითა, მაგრამ შიშინა ვარიანტი, როგორც ირკვევა, ქართულშიაც არაიშვიათად გამოჩნდება (ქართულ დიალექტებში შიშინა ვარიანტის გავრცელების საკითხი საგანგებო ძიებას მოითხოვს როგორც ამ შემთხვევაში, ისე არა ერთ სხვა შემთხვევაში).

სიტყვა წით-ელი და მისი ზანური შესატყვისი საერთო იბერიულ-კავკასიურ მონაცემად ითვლება ეტიმოლოგიურად და მას ცეცხლის აღმნიშვნელ ფუძეს უკავშირებენ.

მზ. ანდრონიკაშვილს ეს სიტყვა ოსურიდან მომდინარედ მი-აჩნია (ანდრონიკაშვილი, 1966, 127).

აბაევს ხმაბაძვით სიტყვად მიაჩნია (აბაევი, 1958, 340).

ეგებ, თუ მართლა აქ ქართულთან საერთო ფუძე გვაქვს პირიქით დასმულიყო საკითხი. ქართულიდან ხომ არ შესულა იგი ოსურში. ამ მხრივ დამაფიქრებელია კერძოდ მკვეთრი აფრიკატის არსებობა ოსურის ფუძეში (მით უმეტეს ამოსავალში).

წი-ს თავისი ძირითადი მნიშვნელობით, ცეცხლის გაგებით გამოჰყოფენ „წი-აკოკონია“ || „წი-აკოკოლა“-ში, რომელიც საყოველთაოდ გავრცელებული „ჭია-აკოკონა“-ს ტოლფარდია და რომელსაც განმარტავენ, როგორც „აკოკოლავებულ ცეცხლს“.

... წი-აკოკოლა || ჭია-აკოკოლა, წი-აკოკონა || ჭია-აკოკონა. სემანტიკური გადანაცვლება ალიაქოთის, ჩხუბის მნიშვნელობით იმერულში... „მეიქნა წიაკოკონია“.

თავდაპირველად იგი დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ჭია-აკოკონობისათვის დამახასიათებელ ყვილ-ხვილთან, ალიაქოთთან, წვილ-კვილთან...

წიკობა სიტყვის ფუძე საკმაოდ გაცვეთილი ჩანს. ამკარაა ხმოვანთ შორის გვაკლია თანხმოვანი. და ეს თანხმოვანი უნდა ყოფილიყო წია-კოკონობის მეორე გაორკეცებული ფუძის კ თანხმოვანი, ე. ი. „წიკობა“ საფიქრებელია მომდინარეობდეს „წიკობა“-საგან. ეს კი თავის მხრივ „წია-კოკო-ბა“-საგან.

მეტად საყურადღებოა, ამასთან დაკავშირებით, ამავე მნიშვნელობის მქონე „წიკო“ სიტყვა ფშაურისა, რომელიც წიკო-ს უდრის და რომელშიც სწორედ ეს ჩვენ მიერ ნავარაუდები გაორკეცებული ფუძის პირველი კ არის შერჩენილი, მაგრამ „მოცვეთილია“ ბოლოკიდური მეორე კ (<წიკოკ): ატირდებიან ერთადა, გამაადენენ წიკოსა.

წია გამოიყოფა ჩიტის სახელწოდებაშიც: „ყელწია“...

ჭია-|| წია-ს „წითლის გაგებით გამოყენების სხვა ფაქტებიც იქცევა ყურადღებას. ასეთად გვესახება ჭია-შიაი.

ამ სიტყვის ანალიზისას პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ჭია „ხოჭოს“ გაგებით მოგვაგონდება და ამიტომაც, რომ იოანე ბაგრატიონს თავის ლექსიკონში იგი შეაქვს „მარიამ ჭიას“-ს სახით და იძლევა შემდეგ განმარტებას: „ბუზის ტოლია, ტანით წითელი (ხაზგასმა ქ.ლ.) და ზურგზედ ორი შავი ხალი აქვს, გაფრინდება კიდევ. საბასაც ჭია-ზე აქვს სწორედ იგი შეტანილი.

ხალხში მისი დახასიათებისას მუდამ ხაზი ესმის მის სიწითლეს. ინგილოურში იგი „მარიამაღ“-ს სახით გვხვდება. „უჩ მარიამ, უჩ, წითელ კაბას შევიკერავ, უჩ, უჩ!“

ჭია-მარიას სახელდებისათვის, ფუძის ამოსავალი შინაარსის გაგებისათვის ფრიად მნიშვნელოვანია იმერულ დიალექტში დადასტურებული მისი სახელწოდება: „წითელი მარია“.

ამავე სიტყვათა რიგს განეკუთვნება: ჭიაფერი, ჭიაფერა. „სისხლი ჩამოსდის დემურსა ტანზე ჭიაფერად, ჩქეფითა“ (ვაჟა) „სისხლს სდენდის ჭიის ფერასა“ (ბესიკი).

ჭიაფერს — „წითელი ფერის საღებავს“ — მეგრულად სწო-

რედ „ჭითა ფერს“ („წითელ ფერს“) ეძახიან.

ჭიაფერა-ც, მცენარის სახელწოდება, ჭია — პირველი ნაწილით წითელზე მიუთითებს. იგი ასე ხასიათდება: „მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე; აქვს მოწითალო დატოტვილი ღერო, თეთრი წვრილი ყვავილები და ყურძნის მტევნის მსგავსად შეკრებილი ნაყოფი (საღებავად და მელნის გასაკეთებლად იხმარება).

ამ მცენარის აღნიშნული სახელი ქართულში საერთოდაა გავრცელებული: კხ., იმერ., საფერავი, გურ.-იმ. ფერა-ფერა, ლჩხ. — მეფერვიე, რაჭ. — ფერუა, აჭ. — ჭყურტა, მეგრ. — ჯაფეზია, ჯაფაზია, სვ. — ჯმეფეზ.

ფერ სიტყვის მნიშვნელობა მოყვანილ ფუძეებში ერთგვარად დავიწროებულია წითელი ფერის (საღებავის) გაგებით, რის გამოც შესაძლებელი გახდა „ჭიაფერა“-სთვის მათი გამოყენება თვით წითელის აღმნიშვნელი ჭია- კომპონენტის გარეშე, როგორც ეს უკვე ივ. ჯავახიშვილს აქვს გარკვეული.

ფერის ამდაგვარ გაგებას იძლევა „ფერ-უმარილიც“ და საყურადღებოა, რომ ნ. მარს ჭანურში ფერი ამ მნიშვნელობით აქვს ფიქსირებული (ფერი... **Красная краска для лица**).

ამისდა კვალობაზე მეგრ. „ჯამფეზია“ უნდა იშლებოდეს ასე: „ჯა“ („ხე“) და „მფეზია“ < *მაფერია („მაღებავი“ [წითლად]), შდრ. ლეჩხუმური „მეფერვია“. ზ („მფეზია“-სი) მომდინარე უნდა იყოს რ-საგან ი ხმოვნის წინ.

ჯაფეზია ვარიანტში ბაგისმიერი ფ-ს წინ მ გაუჩინარებულია.

აღ. ჭინჭარაული გამოყოფს წიქარა-შიც „წითელი ხარის სახელი“. რაჭულში „წუთულას წითელ ძროხას ვეტყვი, წითელ ხარს წიქარას ვუძახით“. ეგების ამ ფუძისა და მისი შინაარსის გამოვლინება იყოს ხევსურულში გავრცელებული მამაკაცის — „წიქა“-ს სახელში. ... ხომ არ არის ჭია ფუძე წითლის გაგებით

მამაკაცის სახელ ჭიაბერში? შდრ. კახაბერი, მზე-ჭაბუკი. ხშირია გვარის სახელებშიც, რომლებიც ჩვეულებრივ მამაკაცის სახელებიდანაა ნაწარმოები: წითლიძე, წითლანაძე, ჭითავა, ჭითანავა... ჩვეულებრივია მამაკაცის ეპითეტად „მწითური კაცი“.

აღნიშნული წითლის შინაარსის მქონე ძირეული ნაწილი გაორკეცებული სახითაც გვხვდება ზოგ სიტყვაში. ასეთია, მაგალითად, ციციანთელა-ს, ამოსავალი სახეობა, — რაჭულში და-დასტურებული — წიწინათელა.

საგულისხმოა, რომ იგივე ძირითადი ვარიანტი ამ სიტყვისა წიწინათელა-სა და წიწინათერ-ის სახით (აღბათ ქართულიდან შესული) მითითებული აქვს ნ. მარს ჭანურში.

ამოსავალი ჭანურისათვის რაჭულში დაცული სახეობა გვგონია, რაც უნდა ნიშნავდეს „წითლ-წითლად მანათობელს“.

ამავე თვალსაზრისით, საგანგებო ყურადღებას იქცევს ზმ. რაჭულში არსებული სახელწოდება მარწყვისა წიწინდერა (შდრ. ზემოთ: წია-მპოლა) და მეგრულში ციმეჟა-ს გვერდით ხმარებული წიწინდერა, წიწინდარა.

წიწინდარა || წიწინდერა-ში შემავალი პირველი ნაწილი იგივე წიწი გაორკეცებული ძირია, რაც გვაქვს „ციციანთელას“ ამოსავალ „წიწი-ნათელა“-ში.

ამ სიტყვათა ანალიზისათვის საგულისხმოა მეორე ნაწილის მნიშვნელობის გარკვევა. „ციციანთელას“ მსგავსად მეორე ნაწილიც დამოუკიდებელ ერთეულს უნდა წარმოადგენდეს, თუმცა -დარა || -დერა თითქოს ცალკე არ გვხვდება. მაგრამ მისი წარმომავლობის გასარკვევად გასაღებს იძლევა რ. ერისთავისა და აღ. მაყაშვილის მიერ იმერულშივე დამოწმებული მარწყვის სახელწოდება დარდალა.

აქ აღსანიშნავია ერთი გარემოებაც. იმერეთში არსებული მარწყვის სახელი დარდალა გაოკეცებული ფუძის შთაბეჭდილებას ახდენს. თუ მართლაც იგი გაორკეცებული ფუძეა, რაიმე

კავშირში ხომ არ არის ქართულ დიალექტში დადასტურებული „გიზგიზის“, „ვარვარის“ აღმნიშვნელ გაორკეცებულ ზმნის ფუძესთან — „დადანდარება || დადანდალება“-თან? გურული დიალექტისათვის გ. შარაშიძეს მოცემული აქვს: „დადანდალება, დადანდარება ცეცხლისა — დაგუგუნება, აგიზგიზება“.

ამის კვალობაზე „წიწინდარა“ — ე. ი. მარწყვი — ხომ არ გაიგებოდა როგორც „წითლ-წითლად მოგიზგიზე, მოვარვარე?“

აი ამ ფუძის მარტივი სახეობა -დარა || -დერა შედის წიწინდარა || წიწინდერა-ში“ (ლომთათიძე, 1984, 48-57).

ეს ვრცელი ამონარიდი ქეთევან ლომთათიძის ცნობილი ნაშრომიდან იმის საილუსტრაციოდ გამოდგება, თუ რა სახის ცვლილებები შეიძლება განიცადოს სიტყვამ და რა მრავალფეროვანი მოტივაციებია გასათვალისწინებელი თითოეული მცენარის სახელწოდების ჩამოყალიბების პროცესში.

§ 6. სტრუქტურული მოდელები ლექსემებისა, რომლებიც აფხაზურის ნიადაგზე იხსნება

1. მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს:

ა) მიმღეობა + არსებითი სახელი:

ახიგარბღღჯჯ „მრავალძარღვა“, „დაჭრილთა (მათი) ფოთოლი“

≈ სადაც ახიგჯჯ არის „დაჭრილი“, რ- III პირის მრავლობითობის „კუთვნილების“ აღმნიშვნელი პრეფიქსი, აბღღჯჯ „ერთი ცალი ფოთოლი“...

ადგარძგჯჯ „ნაცნობი წყალი, მჟაუნა“

≈ სადაც ადგჯჯ არის „ნაცნობი“, ადგჯჯ რა „ცოდნა“ ზმნური ფუძისაგან ნაწარმოები მიმღეობა, აძგჯჯ „წყალი“.

ბ) არსებითი სახელი + არსებითი სახელი:

აჟაჯჯრჰასკჯჯ

≈ აჟაჯჯ „კურდღელი“, რ- III პირის მრავლობითის „კუთვნილე-

ბის⁷ სუფიქსი, აჰასკ⁷გ⁷ ❖ნ „ბალახი“.

აცგოწგ ❖ხია „კატის კულა“

≈ აცგოგ ❖ „კატა“, აწგ ❖ხია „კული“.

აცგოგ ❖ხშე „ბალახოვანი მცენარე“

≈ სიტყვასიტყვით: „კატის რძე“, აცგოგ ❖ „კატა“, ა❖ხშე „რძე“.

აჩოგ ❖ჰჰასკ⁷გ⁷ნ „სპეციალური ნორჩი ბალახი, იხმარება ცხენების საკვებად“.

≈ სიტყვა დაიშლება შემდეგნაირად: აჩოგ ❖ჰჰ „დოლის ცხენი“, აჰასკ⁷გ⁷ნ „ბალახი“, სიტყვასიტყვით: „დოლის ცხენის ბალახი“.

აბნარა ❖ჰანა „ტყის რეჰანი“

≈ ა❖ბნა „ტყე“, არაჰა❖ანა „რეჰანი“.

აჰმაფა ❖წა „თხა წვერა“

≈ ა❖ჰმა „თხა“, აფა❖წა „წვერი“.

ა❖ციხილა „ხარი კისერა“

≈ ა❖ცი „ხარი“, ახილა❖ „კისერი“.

ალგემშეძახია ❖ „სვია, ფშალა“

≈ ალგემშე „სვია“, აძახია❖ „ვაზი“.

2. მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს:

არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი, ან მისი ფუძის ნაშთი:

აყარმა ❖შე „სვია თეთრი“

≈ აყარმა❖ „სვია“, -შე ა❖შეჰაკაჰა „თეთრი“ ვითარებითი ზედსართავი სახელის ფუძის თავკიდური ელემენტი.

აკალა ❖მშე „ლაქაში“

≈ აკალა❖მ „ლაქაში“, -შე ელემენტი ა❖შეჰაკაჰა „თეთრი“ ვითარებითი ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი.

აჯგ ❖შე „ნიორი“

≈ შესაძლოა, ამ ლექსემაშიც -შე იმავე დანიშნულებისა იყოს,

როგორისაც ჩამოთვლილ შემთხვევებში იყო.

აკიკობა ❖ ა „სოკო“

≈ აკიგ ❖ კი „მაჩიტელა“, აბა ❖ ა „დამპალი“, სიტყვასიტყვით: „მაჩიტელა დამპალი“.

3. გამოყენება ცხოველის აღმნიშვნელი სიტყვის ფუძე

აქმაფა ❖ წა „თხა წვერა“, **ა** ❖ **ჯმა** „თხა“, **აცგოწგ** ❖ **ხია** „კატის კულა“, **აცგოგ** ❖ „კატა“, **აცგოგ** ❖ **ხშა** „კატის რძე“, **აცგოგ** ❖ „კატა“, **ა** ❖ **ციხიდა** „ხარის კისერი“, **ა** ❖ **ცი** „ხარი“, **აჟა** ❖ **რ-ჰასკენ** „ბალახი“, **აჟა** ❖ „კურდღელი“.

4. გამოყენება ზმნური ფუძე

აფყვ ❖ **ზ** „ლაქაში“, **აფყა** ❖ **რა** „ჭრა“, **ასან** ❖ **ჰიგ** ❖ **რა** „საკვები ბალახის სახეობა“, **ა** ❖ **ჰირა** „ძოვა“, **ალაჰიაქია** ❖ **ჯა** „ველური ხახვისებური მცენარის სახელწოდება“, **ალაჰია** ❖ **რა** „გახვევა“, **არშიტიგ** ❖ „სათესლე ხახვი“, **ა** ❖ **რშიარა** „გამარგვლა“, **ამკი-ანდგ** ❖ **რ** „ჭინჭრის მხალი“, **აკიადგ** ❖ **რრა** „ცხენის შეკაზმვა“, **აა** ❖ **წი** „ფითრი“, **აწგ** ❖ **ღ** ❖ **არა** „ამოსვლა“.

§7. ბალახის სახელწოდებებში დაფიქსირებული სხვადასხვა მორფემები

1. III პირის მრავლობითობის 'კუთვნილების' ნიშანი რ-: ახიგ **რბღ** ❖ **ც** „მრავალძარღვა“, „დაჭრილთა 'მათი' ერთი ცალი ფოთლი“, აჟა ❖ **რჰასკენ** „კურდღელი 'მათი' ბალახი“, **რ-** III პირის მრავლობითობის 'კუთვნილების' პრეფიქსი.

2. კაუზატივის -რ პრეფიქსი: არშიტიგ ❖ „სათესლე ხახვი“, ა ❖ **რშიარა** „გამარგვლინება“, **რ-** კაუზატივის პრეფიქსი.

3. მ- უარყოფითობის სუფიქსი: აშემი ❖ „მწყერფეხა“, აშ < აშაპგ „ფეხი“, **მ-** უარყოფითობის სუფიქსი.

4. -ტიგ დანიშნულების სუფიქსი: აჰჰატიგ ❖ „ბალახი“, **-ტიგ** დანიშნულების სუფიქსი, სიტყვის წინა ნაწილი გაუგებარია, **არშიტიგ** ❖ „სათესლე ხახვი“, სიტყვასიტყვით: „გასამარ-

გვლინებელი“. -**ტი** დანიშნულების სუფიქსი.

5. ნივთა კლასის მრავლობითობის -ქია სუფიქსი: აშა-ქია❖ „ყლარტი, ლამური, სატაცური“, -ქია მრავლობითობის სუფიქსი, ალაპაქია❖ჯა „ველური ხახვისებური მცენარის სახელწოდება“, სიტყვასიტყვით: „გახვეულები-უბედურება“, -ქია მრავლობითობის სუფიქსი.

6. კრებითობის -რა სუფიქსი: ახაჩა❖რა „შამბი, შამბნარი, ჟელტამი“, -რა კრებითობის სუფიქსი, აპიი❖რა „შამბი, შამბნარი“, -რა კრებითობის სუფიქსი, ახა❖ც || ახა❖ცრა „ჭინჭარი“, -რა კრებითობის სუფიქსი, ასანჴი❖რა „საკვები ბალახის სახეობა“, -რა კრებითობის სუფიქსი.

7. ლოკალური პრევერბები, ე. წ. ფუძე-წინდებულები: ათგ❖რას „გვიმრა“, თა/გ „შიგნით“, ათგ❖ხრა „შიგნიდან ამოსვლა“ (ლომთათიძე, 1981, 18), ანგ❖ცი „კანაფი“, ნ'გ' „სიბრტყეზე (პორიზონტალურად, სივრცეში)“ (ლომთათიძე, 1981, 32), შდრ.: ანგ❖ში „მიწა“, ანგ❖ხხგლა „მწვანისაგან მომზადებული საკაზმი“, „თავზე (ზედ) მოსაყრელი“, გურ. „წასაჭარი“, ხა/გ (აბჟ.) < ჯა (აბაზ.) „თავი“ (ლომთათიძე, 1981, 5), ააწი „ფითრი“ აწიგ❖ღ'არა „ამოსვლა“, აა- სააქეთო მიმართულების ლოკალური პრევერბი.

სულ განვიხილეთ — 64 ლექსიკური ერთეული.

ველურ ბალახთა აფხაზურ სახელწოდებებში გამოიყო — 8 ნასესხები ფუძე, კულტურულ ბალახეულში — 13. ისეთი შემთხვევა, როდესაც მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს არის — 10; შემთხვევა, როდესაც მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს, არის — 4; ცხოველის აღმნიშვნელი სიტყვის ფუძე გამოიყო — 5 ლექსემაში; ზმნური ფუძის გამოყენების შემთხვევა დადასტურდა — 7 სიტყვაში...

ასევე ბალახების სახელწოდებებში შეგვხვდა სხვადასხვა მორფემები: III პირის მრავლობითობის 'კუთვნილების' რ- ნიშანი

— 2-ში, კაუზატივის **-რ** ნიშანი — 1-ში, **მ-** უარყოფითობის სუფიქსი — 1-ში, **-ტივ** დანიშნულების სუფიქსი — 2-ში, ნივთთა კლასის მრავლობითობის **-ქია** სუფიქსი — 2-ში, კრებითობის **-რა** სუფიქსი — 4-ში, ლოკალური პრევერბები, ე. წ. ფუძე-წინდებულები — 4-ში.

2. დეკორატიული მცენარეები (ყვავილები)

დეკორატიული მცენარეების (ყვავილების) აღმნიშვნელ ლექსიკაში გამოიყოფა ნასესხები სიტყვები და ლექსიკის ნაწილი, რომელსაც ახსნა აფხაზურის საშუალებით უხერხდება.

აშით, აკაკაჭი

≈ აფხაზურში ყვავილთა ზოგი სახელწოდებაა.

§1. ნასესხები ლექსებები

აუაჭრდ „ვარდი“

≈ პ. ჭარაიას სომხურ-არაბულიდან ქართულის გზით ნასესხებად მიაჩნია. ამავე მცენარის აღმნიშვნელი სინონიმური სახელწოდება **აგწილ** (ბზიფ.) „ვარდი“ კი მკვლევრის მიერ სპარსულ ნასესხობად არის ჩათვლილი (ჭარაია, 1912, 10).

ლექსემა ნასესხები უნდა იყოს თურქულიდან გულ „ვარდი“, გ ბგერის პალატალიზაცია აფხაზურში, გამსესხებელი ენის სიტყვაში დადასტურებულ უმლაუტიან უ-ს გამოუწვევია. თუმცა, აფხაზურშივე გვხვდება გოგლ „ვარდი“ ფორმაც, სადაც გ-ს ლაბიალიზაცია იმავე ნიადაგზე მომხდარა.

ამიმოჭა „მიმოზა“, Mimosa

აკატუჭს „კატუსი“

აუასმიჭნ „უასმინი“, Jasminum

≈ სბ. იასამანი, ნასესხები ჩანს რუსულიდან.

აჯამფაზ „ჭიაფერა“

≈ მეგრულიდან ნასესხებად მიაჩნია თ. გვანცელაძეს. აჯამფაზ < მეგრ. ჯამფეზია „ჭიაფერა, ფერაფერა“ (გვანცელაძე, 1997, 58).

აყამპეზი „ქოლგისებური მცენარე თეთრი ყვავილედით“

≈ სახელწოდება ნასესხები უნდა იყოს მეგრულიდან: < მეგრ. კაპარი, კამპარი (ყიფშიძე, 1914, 252), ასევე (ერისთავი, 1884, 25).

§2. კომპოზიტები

აფხაზურის საშუალებით შესაძლოა აიხსნას ყვავილთა შემდეგი სახელწოდებანი:

აშამაშიგა „ჭიაფერა“

≈ სადაც სიტყვის პირველი ნაწილი აშამაზია „მსხვილფეხა საქონელს“ და ასევე „ცვილის დიდ სანთელს“ ნიშნავს, ხოლო მეორე ნაწილი აშიგა „საღებავი“ სიტყვაა, რომელიც აშაარაზი „შეღებვა“ ზმნური ფუძიდან მომდინარეობს -გა იარაღის გამომხატველი სუფიქსის დართვით, შდრ. აზაზი „თოხი“ (ლომთათიძე, 1976, 168), სიტყვასიტყვით: „სანთელ-საღებავი“, ან „მსხვილფეხა საქონლის საღებავი“. ქართულის მსგავსად, ამ მცენარის აფხაზურ სახელწოდებაში წარმოჩნდება ფერის, ლებვის აღმნიშვნელი ფუძე. ამ ლექსემის სინონიმი **აჯამფაზ** „ჭიაფერა“ ნასესხებია მეგრულიდან (გვანცელაძე, 1997, 58).

ლექსემა წარმოადგენს კომპოზიტს, არსებითი სახელი + არსებითი სახელი.

აჯიციგბბრაზი „მთის ყვავილი“

≈ სიტყვა რთული შედგენილობისაა; აციგვი „ხარი“, აბგვიზრა „ბლავილი“, ახივი „კერძი“, სიტყვასიტყვით: „ხარის ბლავილის კერძი, დრო“, აციგვი „ხარი“ ლექსემაში იგულისხმება ხარირემი, შდრ.: ციგვიზბენ „ნოემბერი“, სიტყვასიტყვით: „ხარირემის მყვი-

რალობის დრო“.

სიტყვა რთული აგებულებისაა, წარმოადგენს მსაზღვრელ-საზღვრულს: არსებითი სახელი + ზმნური ფუძე + არსებითი სახელი.

ადიკრღღინ „ია“, Viola

≈ ამ სახელწოდებაში გამოიყოფა „ადიღღღინდორი, ველი“ სიტყვა. მეორე ნაწილი სიტყვისა აღღღინდორი „ჭერა, დატევა“ ზმნური ფუძეა, მაგრამ აღღღინდორი ასევე „შუქურასაც“ ნიშნავს. ჩვენი აზრით, მცენარის სახელწოდების სემანტიკა მეორე შემთხვევას უფრო იგუბებს, სიტყვასიტყვით: „მინდვრის შუქურა“, -ნ სუფიქსი რიგ შემთხვევაში ჰორიზონტალურ სიბრტყეზე მდებარეობას აღნიშნავს. სახელწოდების ამგვარი პოეტური ინტერპრეტაცია, შესაძლოა, სადავო იყოს. მაგრამ სიტყვის პირველი ნაწილის ადიღღღინდორი, ველი“ მნიშვნელობა ეჭვს გარეშეა.

ლექსემა კომპოზიტია, ცნობილია სიტყვის პირველი კომპონენტის მნიშვნელობა, სიტყვის მეორე ნაწილის სემანტიკა სათუთა.

აწიარაღღინა „ია“

≈ სიტყვის პირველი ნაწილი აწიარა უნდა უკავშირდებოდეს აწიარაღღინა „ამოსვლა, აღმოცენება“ ზმნურ ფუძეს, ხოლო მეორე ნაწილი — რასა გამოიყოფა არაღღინა „თხილის“, ასევე ათეღღინას „გვიმრის“ სახელწოდებებში. ამ ფუძის მნიშვნელობა ჭერჭერობით ჩვენთვის გაურკვეველია. ხომ არ უკავშირდება სიპატარავის აღმნიშვნელ აღღინა / ასეღღინა „ბატკანი“ სიტყვის ბოლოკიდურ ს-ს? სიტყვასიტყვით: „აღმოცენებული პატარა“. ლექსემა მსაზღვრელ-საზღვრულია, მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს. ზედსართავი სახელი + ზედსართავი სახელი; თუმცა, შესაძლებელია, აღნიშნული სიტყვის სრულიად განსხვავებული სემანტიკური ინტერპრეტაციაც, აღღინა „ვაშლი“, არაღღინა „თხილი“, სიტყვასიტყვით: „ვაშლ-თხილი“, ასეთ შემთხვევაში

ლექსემა შედგება არსებითი სახელი + არსებითი სახელისაგან. ია მცენარის სახელწოდებაში მსგავსი სიტყვების მონაწილეობა სათუოდ გვეჩვენება, თუმცა სახელწოდება, შესაძლოა, იის ბოლქვის, ან თესლის ვაშლთან და თხილთან მსგავსებით იყოს მოტივირებული.

აპია ❖ კამა „გვირილა“, Pyrethrum

≈ სიტყვის პირველი ნაწილია აპია ❖ „ლორი“, ცხოველის აღმნიშვნელი არსებითი სახელი, მეორე კი, კულტურული ბალახეულის სახელწოდებაა — აკა ❖ მა „კამა“ სიტყვასიტყვით: „ლორის კამა“. ამ მცენარის სახელწოდებაში აპია ❖ „ლორი“ ლექსემის გამოვლენა, ვფიქრობთ, განპირობებული უნდა იყოს მცენარის მყრალი სუნით, ყვავილის ფოთლები კი ვიზუალურად, მცენარე კამის მსგავსია. ზემო იმერულში გვირილის მსგავს მცენარეს „მყრალა ბალახს“ უწოდებენ. აფხაზურში ცხოველის აღმნიშვნელი ლექსემის გამოვლენა მცენარის სახელწოდებაში ძალიან ხშირია. მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს. არსებითი სახელი + არსებითი სახელი.

აზარა ❖ ყა „მზესუმზირა“

≈ სიტყვის პირველი ნაწილი აზარა „წყვა, აწყვა“ მასდარი შეიძლება იყოს, მეორე კი აყა ❖ რა „ქნევა“ ზმნურ ძირს უნდა უკავშირდებოდეს. სიტყვასიტყვით: „აწყული ქნევა“. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მცენარისათვის დამახასიათებელია მზის მიმართულებით მოძრაობა, ქნევა, შდრ.: ქართ. „მზესუმზირა, მზესუჭვრიტა“, ზემოთ აღნიშნული სემანტიკური ინტერპრეტაცია მაინც საეჭვოდ გამოიყურება. სახელწოდება მსაზღვრელ-საზღვრულია, მასდარი + მასდარი.

შესაძლოა სიტყვის პირველი ნაწილი ზარა უკავშირდებოდეს ზარე „კოწახური“ (ნაყოფი) სიტყვას, რომელსაც ადილურიდან (ყაბარდოულიდან) ნასესხებად თვლის ქ. ლომთათიძე (ლომთათიძე, 1944, 209).

ა❖შით „ყვავილი“

≈ ლექსემის თავკიდური ში- დასტურდება ა❖შიაფგჯაფ „მცენარეულობა“ ზოგად სახელწოდებაშიც. ორსავე შეემთხვევაში ში ა❖შითრა „აყვავება“ ზმნური ფუძის პირველი ნაწილი უნდა იყოს.

აკაკა❖ჭ „მინდვრის ყვავილი“

≈ ეს ფუძე გაორკეცებით მიღებული გვეონია, შდრ.: ქართ. კაჭაჭა, ვარდკაჭაჭა...

აფხაზურში გვხვდება **აშითაკაკა❖ჭ** „ყვავილი“ კონტამინირებული ფუძეც.

სულ განვიხილეთ — 16 ლექსიკური ერთეული.

დეკორატიული მცენარეების (ყვავილების) აღმნიშვნელ სახელწოდებათაგან — 7 ნასესხობაა, 8 — აფხაზურის ნიადაგზე შესაძლოა აიხსნას, კომპოზიტია. აქედან: მსაზღვრელ-საზღვრულია — 7, ოდენ მიმღეობური ძირია — 1.

III Tavi

1. ბაღჩეული და ბოსტნეული

ბაღჩეულისა და ბოსტნეულის აღმნიშვნელი სიტყვების უმრავლესობა აფხაზურში, ნასესხებია თურქული და ინდო-ევროპული ენებიდან. ლექსიკის მცირე ნაწილის აფხაზურის საშუალებით ახსნა ხერხდება.

§1. ნასესხები სიტყვები

აკაბაღშია „გოგრა“

≈ მეგრ. კობეშია (ბლაჟბა, 1964, 208).

აკაბეღში „კობე, კოკოში, ხრიკა, ორშიმო, ხაპი“

≈ ნასესხები ჩანს მეგრულიდან (გვანცელაძე, 1997, 58).

პატგრჯან „ბადრიჯანი“

≈ ლექსემა ბზიფურში „პამიდორის“ მნიშვნელობითაც იხმარება. ნასესხებია ქართულიდან < ბადრიჯანი, ბ და დ თანხმოვანთა გამკვეთრებით. პატრიჯანი ფორმით ტერმინი გვხვდება იმერულშიც.

პამიდორ „პამიდორი“

≈ შდრ. **პატგრჯან** (ბზიფ.)

აკარტოში „კარტოფილი“

≈ შ-ს სიმაგრე გამოწვეულია იმით, რომ სიტყვა რუსულიდან არის ნასესხები. რუსულში კი შ მაგრად მოისმის ამ სიტყვაში. გვიანი ნასესხობა ჩანს. შესაძლოა, სახელწოდება წიგნის გზით შემოსული იყოს, რუსული III ყოველგვარი დიაკრიტიკული ნიშნის გარეშე აფხაზურში აღიქმება, როგორც შ (მაგარი შ).

აჭარხალი „ჭარხალი“

≈ ბზიფურში შეკმაზულ, საკვებად გამოსაყენებელ ფხალსაც აღნიშნავს (ბლაჟბა, 1964, 207).

აკენტე ❖ რ „კიტრი“

≈ ნასესხებია ქართულიდან მეგრულის გზით. ბზიფურში იგივე მნიშვნელობით გვხვდება ანაშა „კიტრი“ ლექსემა (ლომთათიძე, 1976, 60, ბლაჟუბა, 1964, 208). „თუ ნასესხებ მასალაში ი-ს წინ უძღვის უკანაენისმიერი ხშულები და სპირანტები (ასევე ყ-ც), ისინი გადმოცემულია სათანადო პალატალიზებული ფონემებით (ასეთივე სურათია სიბილანტებშიაც) ხოლო ხმოვანი — იმავე გ-თი: კინტირი (მეგრ.) — აკენტე ❖ რ „კიტრი“ (ლომთათიძე, 1976, 60).

აკაპუსტა || აკაპე ❖ სტა ტაბ. **კამბე ❖ სთა** „კომბოსტო“

≈ როგორც ქ. ლომთათიძე აღნიშნავს, ნასესხებ მასალაში სხვა ენის უ-ს გადმოცემისას ლაბიალური უ კომპონენტი უნდოფ-თონგისა გაუჩინარებულია და შემორჩენილია მარტოოდენ გ ხმოვანი ლაბიალური ბ, ფ, პ... თანხმოვნების მომდევნოდ (ლომთათიძე, 1976, 63).

აკაბერზა ❖ კ || **აკარბე ❖ ჟი** „საზამთრო“

≈ ნასესხებია თურქულიდან < karpuz (ჭარაია, 1912, 10; ბლაჟუბა, 1964, 208).

აკა ❖ ბ, აყაბა ❖ ყ (ბზიფ.) „გოგრა“

≈ ნასესხებია თურქულიდან < kabak.

აკაბაყე ❖ რთა || აყაბე ❖ რთა „გოგრებით ნათესი ადგილი“.

ქართული კვან-იც ამ ძირის სესხებით მიღებული ჩანს. ყაბ > ყუაბ > ყუაპ > ყუაბ... > კვან-ი.

ყებ / ყები „გოგრა“ თურქული ნასესხობაა ყაბარდოულშიც. შდრ. ყარაჩ. ყაბ., თურქ. ქაბაქ, ნოღაიური ქაბაქ „გოგრა“ შდრ.: ასევე, აფხ. აყა ❖ ბ, აყაბა ❖ ქ, აბაზ. ყა ❖ ბ (შაგიროვი, 1977, I, 222 (700).

ამყიე ❖ ბგრ (ბზიფ.) „ნესვი“, **ამყიე ❖ ბა** (ბზიფ.) „ყელიანი გოგრა“

≈ ამყიებ „აყირო“, ერთიდაიგივე ძირია. ნესვის აღმნიშვნელად

აფხაზურში გვხვდება **აშგჳნკა** ფუძეც. მეგრულში გვხვდება ნესვის მნიშვნელობით შიჳნკა.

ზნქან „ნესვი“ ყაბარდოულში და ნაშე / ნაშ ადიღეურში თურქულიდან არის ნასესხები. შდრ. თურქული **Kavin**, ნოღაიური ქავენ, ყარაჩაულ-ბალყარული ხაუტენ „ნესვი“. აბაზური ზგუან „ნესვი“ (შაგიროვი, 1977, II, 110 (1350)).

აშგნკა აფხაზურსა და შინკა მეგრულში ადიღეურიდან ჩანს შესული.

„სვან. რნესგ, კუახ-ნესგ, კნინ. კუახ-ნესგ-ილ „გოგრა, კვახი“.

ქართ. ნესუ-, ნესვი-, ნეს-ოვ-ანი „ნესვის ბოსტანი“.

საერთოქართველური ნესუ- არქეტიპის შესატყვისი სვანური ერთეული შემონახულია კომპოზიტური შედგენილობის კუახ-ნესგ სიტყვაში — ქართ. ნესუ- : სვან. *ნესგუ - ნესგ.

ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის თვალსაზრისით საყურადღებოა ქართ. ს: სვან. სგ. (<*სქ) შეფარდება...

ს.-ქართვ. *ნესუ „ნესვი“ > ქართ. ნესვი: სვან. ნესგ > ნესჳუ.

ს.-ქართვ. *ნესუ- არქეტიპს შესატყვისები ეძებნება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში: ნახ. ნარს „კიტრი“, აფხაზ. ანაშა „კიტრი“, ადიღ. „ნესვი“... (ჩუხუა, 2000-2003, 160).

ამჳ „გოგრისებრთა ოჯახის წარმომადგენელი მცენარე“ (საჳმელად უვარგისი). მოტივაცია დაჩრდილულია.

§2. კომპოზიტები

აცგჳნა „თალგამი“

≈ სადაც სიტყვის პირველი ნაწილი უნდა იყოს აც „მარცვალი“ ფუძე, ხოლო მეორე -ხა ელემენტი აფხაზურში გამოიყოფა რთული სიტყვის მეორე შემადგენელ ნაწილად შდრ.: „აჯგმშხაჳ „ერთი თავი ხახვი“. აღნიშნული -ხა ელემენტი შესაძლოა მომდინარეობდეს ახგჳ „თავი“ არსებითი სახელის ფუძიდან. ამრიგად, აცგჳნა „თალგამი“ ლექსემა სიტყვასიტყვით უნდა ნიშნავდეს

„მარცვალ + თავს“. სახელწოდება კომპოზიტია, წარმოადგენს საზღვრულ-მსაზღვრელს.

ა ც ვ ❖ ც ა „ბოლოკი“

≈ ამ სახელშიც სიტყვის პირველი ნაწილი უნდა იყოს აც „მარცვალი“ ფუძე, ხოლო მეორე ნაწილი -აცა „მწარე, ცხარე“ ზედსართავი სახელი. სახელწოდება საზღვრულ-მსაზღვრელს წარმოადგენს, სადაც საზღვრული წინ უსწრებს ზედსართავი სახელით გამოხატულ მსაზღვრელს.

ა ც ვ ც ა ❖ ფ შ „ერთი ძირი ბოლოკი“

≈ სიტყვის პირველი ნაწილი წარმოადგენს აც ვ ც ა „ბოლოკი“ ლექსემას, ხოლო მეორე ნაწილი უნდა იყოს აყაფშ „წითელი“ ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი. აფშ < აყაფშ. შდრ.: აჩაფშ „ხორბლის ერთ-ერთი სახეობა“, აუაჟ აფშ „წითური კაცი“.

ბალგჯგ, ბოლგჯგ / ბაღჯგ „ბოლოკი“, შაფსულური ბაღჯგ იგივე გ-თი (ჯგ-ს ნაცვლად) შესაძლოა, ყაბარდოულშიც შეთვისებულია ქართულიდან. აბავით ოსურის მეშვეობით, შდრ. ქართული ბოლოკი, ოსური ბულკ (ირონ.) ბოლგე; შდრ.: ასევე ინგ. ბალაკ, ჩან. ბალგ „მიწის მსხალი“ (შაგიროვი, 1977, I, 68 (64).

„აფშ წარმოადგენს აფხაზურ-აბაზურ ენებში პარალელურად შემორჩენილი ყაფშ(გ) წითელი სიტყვის გამარტივებულ სახეობას (ლომთათიძე, 1976, 76). ლექსემა საზღვრულ-მსაზღვრელია. საზღვრული წინ უსწრებს ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთით გამოხატულ მსაზღვრელს.

ა ც ი ა დ ა ყ ა ბ ა ❖ ყ „თხელკანიანი გოგრა“

≈ სიტყვა რთული შედგენილობისაა. სახელწოდების პირველი ნაწილი აც ი ა ❖ „კანი“, -და უქონლობის მაწარმოებელი სუფიქსი, ხოლო მეორე ნაწილი ყაბა ❖ ყ „გოგრა“ სიტყვა. ზედმიწევნით: „კანის არ მქონე, უკანო გოგრა“. სახელწოდება მსაზღვრელ-საზღვრულია, სადაც უქონლობის სუფიქსდართული მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს.

§3. ზოგადი სახელწოდებები

არა❖კია „მხვიარა (მაგ. ლობიო) მცოცავი (მაგ. კიტრი, გოგრა) და განრთხმული (მაგ. საზამთრო) მცენარეების ღერო და განშტოებანი“, „ლერწი“.

≈ სიტყვის პირველი ნაწილი ა❖რა გვგვდება არასა „თხილი“ ლექსემაში, ხოლო მეორე ნაწილი კია უნდა იყოს აკია❖შარა „ცეკვა, თამაში“ მასდარში გამოყენებული ელემენტი, რომელიც, სავარაუდოდ, „გარშემო შემოვლის“ სემანტიკის მატარებელია. ლექსემა საზღვრულ-მსაზღვრელია, სიტყვასიტყვით: „ღერო შემო-მხვევი“, შდრ.: აკია❖შა „მაგარი და ხმელი მერქანი“ (მაგ. მუხისა, წაბლისა); სადაც სიტყვის თავკიდურა კია ელემენტი, ასევე „შემოხვეულს“ უნდა აღნიშნავდეს.

აბა❖ჰია „ბაღჩა“

≈ ნასესხები თურქულიდან (იხ. ჭარაია, 1912, 10-15).

აუ❖თრა „ბოსტანი“

≈ ამ სიტყვის პირველი ნაწილი აურა „ქმნა“ მასდარის ფუძეა, შდრ. აურეს „საქმე“, ხოლო მეორე კომპონენტი თრა/რთა შემოსაზღვრული სივრცის მნიშვნელობით იხმარება აფხაზურში. სიტყვასიტყვით: „მოსაქმეობის ადგილი“. აღნიშნული სახელწოდება უდევს საფუძვლად აუთრათგხ „ბოსტნეული“ ტერმინს.

ადილეურში ხაღან / ხათან „ბოსტანი“, „ბოსტანი ბალით“, ყაბარდოულ ს'აპან „კარ-მიდამო“ (აქ არის ზმნური ძირი ს'ან ფაპან „ადგილი“, ადილეური ხაპან იგივეა, რაც (ხან „მოჭერა, გამოწურვა“ + პან) ადილეურში. აფხაზურ-აბაზური აუგთრა / აუათრა „ბოსტანი“, აფხაზურ აურა კეთებასთან აქვს დაკავშირებული გენკოს (გენკო, 1955, 87). შესაძლოა დავუშვათ შეზრდა ხან „მოჭერა, გამოწურვა“ და ღან / თან ელემენტისა, რომელიც, შესაძლოა, აფხაზურ-აბაზურ ადგილის სუფიქს თა-ს დავუკავშიროთ (შაგიროვი, 1977, II, 103 (1326)).

ასე, რომ ადიღეურშიც, ბოსტნის მნიშვნელობით, ლექსემათა იგივეობრივი შერწყმით მიღებულ ტერმინს ვხვდებით.

სულ განვიხილეთ — 20 ლექსიკური ერთეული.

ამრიგად, ბაღჩეულისა და ბოსტნეულის აღმნიშვნელ ლექსიკაში გამოიყო — 13 ნასესხები სიტყვა, 1-ში მოტივაცია დაჩრდილულია, აფხაზურის საშუალებით იხსნება — 5 ლექსემა, 3 — საზღვრულ-მსაზღვრელი; 1 — მსაზღვრელ-საზღვრული. უქონლობის -და სუფიქსი ამავე სახელწოდებაში გამოიყო, 1 ზოგადი ტერმინია.

2. მარცვლოვანი კულტურები

§1. ნასესხები სიტყვები

აბრიღნჯ || აფრიღნჯ || აფრგღნჯ „ბრინჯი“

≈ ეს სიტყვა წარმოშობით სპარსულია, აფხაზურში შესულია ქართულ-მეგრულის გზით (ლომთათიძე, 1976, 60; შაგიროვი, 1977, 13).

აჭგღჟა || აჭიღა „ჭვავი“

≈ ნასესხებია მეგრულიდან: ჭვე(ე) (გვანცელაძე, 1997, 58).

აქარ „ქერი“

≈ ასევე ნასესხებია ქართულიდან მეგრულის გზით (გვანცელაძე, 1997, 58).

ჰჷ „ქერი“ ადიღეური სიტყვა იაკოვლევმა არასწორად დაუკავშირა ძალს. კახაძემ შეუპირისპირა ჰჷ „ქერი“ ქართულ მახა, ჭანურ მოხას (ხობლის ერთ-ერთი სახეობა) ჩეჩნურ-ინგუშურ მუჰჷ „ქერს“, ასევე დაღესტნურ სიტყვას „შვრია“ (ავარიული ნეხა, ლაკ. ნეჰა, არჩ. ნუჰა და ა. შ.) უკავშირებს ავარიულ ოხ-ს დარგულ მუხ-ის ლაკ. ხ-ას, არჩ. მახას და სხვ. ბალყაროვის კვალდაკვალ, ჩვენ შემოვიფარგლებით ჰჷ-ს დაკავშირებით (შაგიროვი, 1977, II, 116 (1374)).

აღნიშნული ძირი, შესაძლოა, ახლ სიტყვაშიც გამოიყოს. საბას განმარტებით, ახლ- „საყანური გაკაფული (განაკაფი)“.

არნ. ჩიქობავა ქართულ ახლს უკავშირებს:

ხუნდ., ბავკალ. როხ' „ტყე“, კარატ. როხ'ო	} ამოსავალია რ-ახლ „ტყე“
ბოთლ. რუხ'უ	
ანდ. რეშუ	
დიდ. აჟო	

ამავე ხ ძირისად ითვლება სპეციალურ ლიტერატურაში „ხის“ აღმნიშვნელი სიტყვა, რომელსაც ბოლოკიდურად ა მოუდის, თავკიდურად კვლავ რ (ჭამალალურში ვ), ხოლო ძირეულ ხ-ს ენაცვლება, ერთი მხრივ ჰ, მეორე მხრივ შ და ჟ: ჭამალ (თოკიტ.) როხ, კარატ., ბავკალ. რომა, ტინდ. რომა, ბოთლ. რუმა, ანდ. რემა, ჭამალ. ვოჰა, დიდოური ოჟო (ჩიქობავა, 1987, 8-9).

ხ- ძირის გამოყოფა მოულოდნელი არ უნდა იყოს, ასევე სვან. ხულუგო || ხულუგ „უფხო პური“ — სიტყვაში.

ქართ. ხულუნგო „რბილი ხორბლის უფხო ჯიმების სახელწოდებაა რაჭასა და ლეჩხუმში“ (ქეგლ): ხულუნგო“ ანუ „ხულუგო“-ს სახელის თავდაპირველი მნიშვნელობა [ხორბლის] უფხოობის გამომხატველი უნდა ყოფილიყო.

ეს სიტყვა გ. როგავას აზრით, ადიღური წარმომავლობისა ჩანს. ადიღური ჰალ'გდი „პური“ || ჰალ'გუ, „ფეტვის ბურღულის, ერბოსა და შაქრისაგან გამომცხვარი ტკბილეული“, ყაბ. ჰალ'გვჰ „გამომცხვარი ღვეზელი“; ჰალ'გუ „მჰადი“... (როგავა, 1987, 24).

აჩნჩლაბია „წვრილი ლობიო“

≈ ნასესხებია მეგრულიდან (გვანცელაძე, 1997, 58).

მარცვლოვანი მცენარეების აღმნიშვნელი რამდენიმე სახელწოდება: **აჩა** ❖ „პური“ **აჟიგ** ❖ დ „ლობიო“, **აჟფშა** „სიმინდი“, **აშოგ** ❖ „ფეტვი“ ქმნის გარკვეულ ლექსიკურ ბუდეებს.

§2. აჩა❖ „პური“ ზოგადად პურის მნიშვნელობით იხმარება აფხაზურში. მაგ. აჩა❖ შაკია❖კია „თეთრი პური“, აჩა❖ ე❖ი-ქიაწია „შავი პური“.

ლექსემის ძირი საერთო იბერიულ-კავკასიური ოდენობა ჩანს:

„ს.-ქართვ. *ბაჩ-ა „ფეტვი, ცერცვი“ > ქართ. მაშა < *ბაჩა: ზან. ფაჩქა < *ბაჩქა < *ბვაჩქა < *ბოჩქა.

ს.-ქართვ. *ბაჩა სიტყვის შესატყვისებია: აღილ.-ყაბ. მწმე, მწჩჩ || მწჩ‘ „ფეტვი“, აფხაზ. ა-ჩა „პური“; ს.-ნახ. ბორც „ფეტვი“; ხუნდ. მუჩ, ახვახ. მიჩ, კარატ. ბოჩა, ტინდ. ბოჩ, ჭამალ. ბოშა, ბაგვ. ბოჩა, ანდ, ბეჩა, ბოთლ. ბოჩა, დარგ. მუჩი || მიჩი „ფეტვი“...

საერთო იბერიულ-კავკასიური ერთიანობის დონეზე პური / ცერცვი / ფეტვი-ს აღმნიშვნელი ტერმინების არსებობა ჩვენი ხალხების უძველეს ტრადიციასა და კულტურაზე მეტყველებს მიწათმოქმედების დარგში“ (ჩუხუა, 2000-2003, 147).

აღნიშნული აჩა❖ „პური“ ლექსემა „ხობლის“ მნიშვნელობით მონაწილეობს შემდეგ სახელწოდებებში:

აჩარა❖ჯ || აჩარა❖ძ „ხორბალი“, „პური“

≈ (მარცვლის მნიშვნელობით) ა❖და აფხაზურში „ნედლს“ ნიშნავს. შესაძლოა, სახელწოდებაში აღნიშნული იყოს ხორბლის სინედლე. სიტყვასიტყვით: „ხორბალი ნედლი“. სახელწოდება საზღვრულ-მსაზღვრელია.

აჩარგ❖ც „ერთი ცალი მარცვალი“

≈ სადაც აჩა❖ „პურია“, -ც ელემენტი აც „მარცვალი“ ფუძის ნაშთი, რ- აფიქსი კი III პირის მრავლობითობის (კუთვნილების) აღმნიშვნელია. სიტყვასიტყვით: „პური რმათი მარცვალი“. ლექსემა მსაზღვრელ-საზღვრულია.

აჩა❖ფშ „ხორბლის ერთ-ერთი სახეობა“

≈ სიტყვის პირველი ნაწილი აჩა❖ „პურია“, ხოლო მეორე აფშ-

ელემენტი აყა❖ფშ „წითელი“ ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთია (ლომთათიძე, 1976, 76). სახელწოდება საზღვრულ-მსაზღვრელს წარმოადგენს.

აჩაკაკა❖ლ „ხორბლის მარცვალი“

≈ აჩა❖ „პური“, აკაკა❖ლ „მარცვალი“. შდრ. აკაკა❖ნ „კაკალი“. ზედმიწევნით: „პური + კაკალი“. ლექსემა კომპოზიტია, მსაზღვრელ-საზღვრული.

აჩა❖ზ „ბზე“

≈ სიტყვის პირველი ნაწილი აჩა❖ „პურია“, -ზ<-ს ელემენტი, შესაძლოა, გარდაქვევითობისა იყოს. შდრ. ამაცაიზ „ბეჭედი“ (ლომთათიძე, 1976, 249).

აჩბა❖ა „გაფუჭებული სიმინდის ტარო“

≈ სიტყვის პირველი ნაწილი აჩა❖ „პური“ ლექსემის ნაშთია, მეორე კი აბა❖ა „დამპალი“ ზედსართავი სახელი. თავდაპირველად ეს ტერმინი, ალბათ, გაფუჭებული პურის მარცვლის აღსანიშნავად გამოიყენებოდა და შემდგომ სიმინდზეც გავრცელდა. ამ ვარაუდის საფუძველი ის არის, რომ სიმინდის კულტურა კავკასიაში გაცილებით უფრო გვიანდელია, პურეულის კულტურასთან შედარებით. სახელწოდება საზღვრულ-მსაზღვრელია.

აჩა❖ჟილა „დასათესი ხორბალი“

≈ სიტყვის თავკიდური ნაწილი აჩა❖ „პურია“, ა❖ჟილა „თესლი“. სიტყვასიტყვით: „პური + თესლი“. ლექსემა კომპოზიტია, მსაზღვრელ-საზღვრული.

აჩაშე❖ლა „პურის ფქვილი“

≈ აჩა❖ „პურია“, აშე❖ლა „ფქვილი“, ზედმიწევნით: „პურის ფქვილი“. სახელწოდება მსაზღვრელ-საზღვრულია.

აჩაკაია❖ჰა „ცომი“

≈ ლექსემის პირველი ნაწილი აჩა❖ „პურია“, ხოლო მეორე კი-ა❖ჰა „მომდინარეობს აკაია❖ჰარა „ზელა, მოზელა“ მასდარისა-

გან. სიტყვასიტყვით: პური + ზელა, სახელწოდება კომპოზიტია, მსაზღვრელ-საზღვრული.

აჩარჩე ❖ „საფუარი“

≈ გაუგებარია სიტყვის მეორე -რჩე ნაწილი, პირველი ნაწილი აჩა ❖ „პურია“.

აჩახე ❖ „პურის თავთავი“

≈ სახელწოდების პირველი ნაწილი აჩა ❖ „პურია“, მეორე ახე ❖ „თავი“ ლექსემიდან უნდა მომდინარეობდეს. ზედმიწევნით: პურის თავი. ტერმინი მსაზღვრელ-საზღვრულია.

აჩასა ❖ „პურის ნაჭერი“.

≈ სახელწოდება შედგება აჩა ❖ „პური“ და ასა ❖ „ნაჭერი“ სიტყვებისაგან. დაზუსტებით: პური + ნაჭერი. ლექსემა კომპოზიტია. მსაზღვრელ-საზღვრული.

აჩე ❖ ს „საჭმელი“

≈ მიღებულია აჩა ❖ „პური“ სიტყვაზე ას/გს გარდაქცევითობის სუფიქსის დართვით.

ყაბარდოულში ს'ავან „პური (ხორბლის, ქერის, ჭვავის... ჭავან ფორმით აღნიშნავენ ასევე ადიღურისთვის. პირველი ნაწილის დაკავშირება აფხაზურ აჩასთან ნაკლებდამაჯერებელია. ყაბარდოულ ფორმაში ს' < ჭ. ალბათ ჭა < ჭან, დასაშვებია შევეუპირისპიროთ ჩეჩნურ-ინგუშურ ჭა-ს შესაბამისი ლაკური ელემენტით ლაჭა (მრ. ლაჯრი) დარგ. ანჯი, ანჭი „ხორბალი“. მეორე ნაწილისათვის ქვან შდრ.: ხიგქვან / ტგრქვან „ბზე“, სადაც ვიგ / ტგ არის ფეტვი (მარცვალში). ადიღურში რ შესაძლოა, ფონეტიკური დანართი იყოს. მორფემა -ვან უნდა ავხსნათ, როგორც „ლაფი, სალაფავი“ შდრ. ყაბარდოული უტევან / ჭავან, ლაკური ჩავან „ქერი“, სადაც მეორე ნაწილის ჰე „ქერი“ სემანტიკისათვის შდრ.: ოსური ძუ / ძოლ „პური ხორბლისა“. ქართული (რაჭული) დოლა „სუფთა ხორბლის პური“. ქართული დოლი „სუფთა ხორბალი“, დარგ. წული „პური ხორბალში“, რუსული

(დიალ.) ДЫЛЬ „ხორბლის ფქვილოვანი ნივთიერება“. აბაზური ჭაჭხია „პური“ შესული ყაბარდოულიდან (შაგიროვი, 1977, I, 151, 1522).

აჩაღრთა „ხორბლის ყანა“, „ხორბლით ნათესი ადგილი“, „პურის ყანა“

≈ სიტყვის პირველი ნაწილი აჩაღრთა „პურია“, ხოლო მეორე -რთა / -თრა ელემენტი აფხაზურში შემოსაზღვრული სივრცის აღსანიშნავად გამოიყენება. შდრ.: აუთრა „ბოსტანი“.

ჭ3. აყიგღ „ლობიო“ ლექსემა მონაწილეობს შემდეგ სახელწოდებებში:

აგიგრყიგღ „ცერცვი“

≈ სადაც აგიგრ „ნემსია“, აყიგღ „ლობიო“, სიტყვასიტყვით: „ნემსი ლობიო“. სახელწოდება მსზღვრელ-საზღვრულია.

აყიგღკალია || აკალიაყიგღ „პარკი ლობიო“

≈ სიტყვის პირველი ნაწილი აყიგღ „ლობიო“, ხოლო მეორე მეგრულ კალიე || კალია „ეკალასთან“ აქვს დაკავშირებული თ. გვანცელაძეს (გვანცელაძე, 1976, 58). ზედმიწევნით: „ლობიო + ეკალა“, კომპოზიცია, მსაზღვრელ-საზღვრული.

აჟარყიგღ „ველური მუხუდო“

≈ სადაც აჟაღრთა „კურდღელი“, აყიგღ „ლობიო“, -რ III პირის მრავლობითობის „კუთვნილების“ აფიქსი. სიტყვასიტყვით: „კურდღელი მათი“ ლობიო“. სახელწოდება მსაზღვრელ-საზღვრულია.

ცხოველის აღმნიშვნელი ფუძის ან ძირის მცენარეთა სახელწოდებაში გამოვლენა აფხაზურისათვის უცხო არაა. შდრ.: აჟაღრთაჟგენ „კურდღელი მათი“ ბალახი“.

აწაყიგღ „ჭრელი ლობიოს ერთ-ერთი სახეობა“

≈ სადაც აწა „ქვეშ“ ზმნიზედა (ფუძე-წინდებული) შეიძლება იყოს, ხოლო აყიგღ „ლობიო“. ზედმიწევნით: „ძირს მყოფი,

განრთხმული ლობიო“. სახელწოდება მსაზღვრელ-საზღვრულია.

აყიღღღ ❖ რთა „ლობიოთი ნათესი ადგილი“.

≈ აყიღღღ დ „ლობიო“, -რთა სუფიქსი შემოსაზღვრული სივრცის აღსანიშნავად იხმარება აფხაზურში.

§4. ა❖ფშე „სიმიინდი“, ლექსემა გამოიყოფა შემდეგ სახელწოდებებში:

აფშეღ ❖ ც „სიმიინდის მარცვალი“

≈ სადაც ა❖ფშე „სიმიინდია“, -ც ელემენტი აც „მარცვალი“ სიტყვიდან უნდა მომდინარეობდეს. სიტყვასიტყვით: „სიმიინდის მარცვალი“. სახელწოდება მსაზღვრელ-საზღვრულია.

აფშეა ❖ ძა „ჰყინტი სიმიინდი“

≈ ა❖ფშე „სიმიინდი“, ა❖ძა „ნედლი“ ზედსართავი სახელია. სიტყვასიტყვით: „სიმიინდი ნედლი“. ლექსემა საზღვრულ-მსაზღვრელია.

აფშეხიღ ❖ წი „ნაქურჩი“

≈ აფშე „სიმიინდი“, ახიღ ❖ წი „ყუნწი“, ზედმიწევნით: „სიმიინდის ყუნწი“. სიტყვა მსაზღვრელ-საზღვრულია. შდრ.: აბღღ ❖ ახიღ ❖ წი „ფოთლის ყუნწი“.

აფშეცია ❖ ლა „ტარო“

≈ სიტყვის პირველი ნაწილი ა❖ფშე „სიმიინდია“, აცია ❖ „კანია“, ხოლო -ალა ელემენტი, შესაძლოა, ინსტრუმენტალისის სუფიქსს უკავშირდებოდეს. სიტყვასიტყვით: „სიმიინდი კან-ით (კანიანი)“. სახელწოდება საზღვრულ-მსაზღვრელია.

აფშელა ❖ ბჟა „სიმიინდის ტარო“

≈ სადაც ა❖ფშე „სიმიინდია“, ალა ❖ ბჟა „ჰოლოკი“, „სატყორცნი ჯოხი“, ზედმიწევნით: „სიმიინდი + ჯოხი“. ტერმინი კომპოზიტს წარმოადგენს, მსაზღვრელ-საზღვრულია.

აფშეღ ❖ რთა „სიმიინდის ყანა“

≈ ა❖ფშე „სიმიინდია“ -რთა / -თრა სუფიქსი შემოსაზღვრული

სივრცის მნიშვნელობას შეიცავს.

§5. აჯექირე (ბზიფ.) || **აჩექირე** სიმინდს აღნიშნავს აფხ-აზურსა და აბაზურში. იგივე სიტყვა „სიმინდის მარცვლის“ მნიშვნელობითაც იხმარება. აღნიშნული სახელწოდება ქართული ჯიქურადან მომდინარედ მიაჩნია

ქ. ლომთათიძეს (ლომთათიძე, 1976, 169). ჯიქურა „**сорго веничное (Sorgum technicum)**“ ეს სიტყვა იშლება: ჯიქი „ჯიქეთ“ - ურ სუფიქსი: ჯიქურა ნიშნავს ჯიქეთის მცენარეს (ბლაჟბა, 1964, 208). ეს სიტყვა მონაწილეობს:

აჯექირე ❖ **ც** „სიმინდის მარცვალი“

≈ ტერმინში, სადაც აჯექირე ❖ „სიმინდია“, ხოლო -ც ელემენტი აც „მარცვალი“ სიტყვის ნაშთია. სიტყვასიტყვით: „სიმინდი მარცვალი“, მსაზღვრელ-საზღვრულია.

აჯექირე ❖ **რთა** „სიმინდის ყანა“

≈ აჯექირე ❖ „სიმინდი“, -რთა შემოსაზღვრული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსი.

§6. აშეგ ❖ „ფეტვი, ჭადის მჭადა“, ლექსემა ქმნის შემდეგი სახის ლექსიკურ ბუდეს:

აშეგ ❖ **რძ** „ფეტვი“

≈ სადაც აშეგ ❖ „ფეტვია“, -რ შესაძლოა III პირის მრავლობითობის «კუთვნილების» აფიქსი იყოს, ხოლო -ძ ელემენტი ა❖ძა „ნედლი“ ზედსართავი სახელის ძირი. შდრ.: აჩარა ❖ ჯ || აჩარა ❖ ძ „ხორბალი ნედლი“. ზედმიწევნით: „ფეტვი ნედლი“. სახელწოდება საზღვრულ-მსაზღვრელია.

ადიდურში ხიგო / ძეგო „ფეტვის ბურღული“ მომდინარე ხიგ / ძე „ფეტვიდან“, უნდა ვიფიქროთ, ფუძეა ზმნისა გიგნ „დანგრევა, ლეწვა, ნაყვა“. შდრ. სლავური სიტყვის ეტიმოლოგია: „**растолченный**“. ნაკლებ სარწმუნოა აქ გიგ „გული“, საი-

დანაც დასაშვებია წარმოება გიგნ (იხ. ოსური **ჭაგე** „ფეტვი“) მიდის უფრო **ჭგგოგს-კენ**, ვიდრე ადიღურ **ჭგღოგ** „ფეტვისკენ“. უბიხური **ჭგღოგ** (შაგიროვი, 1977, II, 108 (1341))

შდრ.: ქართ. ბურღულის ღუ ელემენტი!

ხიგ ყაბარღოული „ფეტვი მარცვალში“, ადიღურში ღავნ / ღაზ'იან „ფეტვი მარცვალში“, შდრ.: **ჭგგო** „ფეტვი“ (ყაბარღოული ხიგგო, **ჭგღიან** „ფეტვი“ (სიტყვასიტყვით: ყვითელი, ჟღალი ფეტვი) ყაბარღოული ვარიანტი მესაროშს დაკავშირებული აქვს უბიხურ ხიე „ფეტვთან“ აქვეა განსახილველი აფხაზური აშეგ ❖ „ფეტვი მარცვალში“, აბაზური შეგ შეგრძა-ში ბგერათმესატყვი-სობა ხი/ჭ შე არის სხვა შემთხვევებშიც: (იხ. ხიბაბე / **ჭაბებ**). შაყრილი სხვაგვარად (მეშე / მეშე) მიიჩნევს. როგავა აახლოვებს ადიღურ ფორმებს აფხაზურ ახიგძ **„ფეტვი“**, „ლომთან“. იაკოვლევი უსაფუძვლოდ მიიჩნევდა ხიგ / **ჭგ** ოსური ხორ / ხიარ-იდან მომდინარეობას (შაგიროვი, 1977, 108 (1340)).

აშეგ ❖ ღა „ფქვილი“

≈ სიტყვის პირველი ნაწილი აშეგ ❖ „ფეტვი“ უნდა იყოს, ხოლო -ღა სუფიქსი ინსტრუმენტალისის სუფიქსს უნდა უკავშირდებოდეს. სიტყვასიტყვით: „ფეტვით, ფეტვიანი“. შესაძლოა, თავდაპირველად ფქვილს ფეტვისაგან ფქვავდნენ, ხოლო შემდგომში ტერმინი განზოგადდა და ყოველგვარი ფქვილის აღნიშვნა იტვირთა.

აშ'ხიგწ „ტაროს გული“

≈ რომლის პირველი კომპონენტი უკავშირდება აშეგ „ფეტვს“, ეს იძლევა საფუძველს ვამტყიცოთ, რომ აბჟ. აფშე „სიმინდი“ სახელწოდება სათავეს იღებს ძველი „ფეტვის“ სახელიდან (ბღაჟბა, 1964, 208). სახელწოდება მსაზღვრელ-საზღვრულია.

§7. მარცვლოვან კულტურებთან დაკავშირებული ტერმინები

აფა ❖ „ბზე, პურის ჩალა“

ა ❖ წჰაა „საკვებად დაჭრილი სიმინდის ღეროები“

≈ შესაძლოა, სიტყვის პირველი ნაწილი აწა „ქვეშ“ ზედსართავი სახელის, (ფუძე წინდებულის) ძირი იყოს, ხოლო მეორე აჰაა — ნაწილი კი ა ❖ ჰირა „ძოვა“ მასდარის ძირს წარმოადგენდეს. ზედმიწევნით: „ქვედა საკვები“. ლექსემა მსაზღვრელ-საზღვრულია.

ახივ ❖ ძ „ლომი“ (მარცვალი)

ადილურში მანა / მანშე „ფეტვი ფესვიანი“ — დიალექტებში (ბესლენურში, შაფსულურში) გვხვდება მანჩ / მანგ. ადილურის დიალექტებში ნიშნავს ასევე, ზოგადად „პურის თავთავს“.

არ უნდა განცალკევდეს აფხაზური ამხვ ❖ „ყანა“, აბაზური მხვ „ნათესი, მოსავლისაგან“. შესატყვისობისათვის შა / შ / ხ იხილე ს'გ / შ „სამი“, შა / შე „ტყვია“. როგავა სიტყვის მეორე ნაწილს უკავშირებს აფხაზურ აჩა ❖ „პურს, ხოლო ელემენტი მან, მისი აზრით, არის კლასის გაქვავებული აფიქსი. იაკოვლევი აკუთვნებს მანა / მანშეს იმ რიგის ლექსემებს, სადაც შემორჩენილია ძველი სიტყვათმწარმოებელი პრეფიქსი მან. მეორე ნაწილს ავტორი აიგივებს შა, აშანხი / აშანძე „ფეტვის სახეობა, ლომთან“. შე ადილურში არის სიტყვაში ღანთხანს'გ „პურის თავთავის, ხორბლის სახეობა“ აფხაზურისათვის და აბაზურისათვის შეაყრილს აქ მოჰყავს ფუძე, რომელსაც ჩვენ ვაკავშირებთ სხვა ადილურ მასალასთან. აბდოკოვი ამატებს უბიხურ დგფშე „ფეტვი“ სიტყვას. ყაბარდოულ ფორმას მანა ბალყაროვი აკავშირებს ავარიულ მუჩ „ფეტვთან“ შდრ.: ასევე დარგ. მუჩტი „ფეტვი“, ჰინ: მოჩი, ჰუნზ.: მაჩე, ბეჟიტ.: მაჩე „მიწის ნაკვეთი, ყანა“, ხვარშ.: ბაჩა „ფეტვი“, ჩეჩნ.-ინგ.: ბორც, ბაცბ.: ბორც „ქერი“ აფხაზურ ამხვ ❖ „ყანას აბაევი უკავშირებს ოსურ ხიგმ / ხუმე „ნათესი, ყანა“.

ავტორის აზრით, სიტყვა ირანულია. ლომთათიძე აახლოვებს

იყოს, ხოლო ბოლოკიდური -შა ელემენი ა❖შაკააკა „თეთრი“ ზედსართავი სახელიდან მომდინარეობდეს. სახელწოდება საზღვრულ-მსაზღვრელია.

ახრგ❖ღ „ბურღული“.

აბა❖სმა „ჭვავის პური“.

აცა❖ „სასიმინდე“

≈ ამ სახელწოდებაში, ალბათ, მოულოდნელი არ იქნება აც „მარცვალი“ სიტყვის ძირის გამოყოფა, რადგან სასიმინდეში, როგორც წესი, სიმინდის, ან სხვა მარცვლოვანი კულტურების მარცვალს ინახავენ.

ა❖ცრა „მარცვალი, კვნიტი“.

აყიგ❖ნჯ „ჩალის ღერო, ჩალის ნამწვერალი“

≈ ნასესხები ჩანს ქართულიდან. შდრ.: ყუნჯი / ყუნწი...

ა❖ფჰი || ა❖ფხი „ჩალა“

აფჰაყია❖ „ჩალის ზვინი“

ათი აყია❖ „თივის ზვინი“.

აყია❖ „ზვინი“.

ამხგ❖ „ყანა“, ამხგ❖რთა || ამხა❖თა, ამხგრთა❖ხიგ || აბჟ.

ამხათა❖ხიგ

არგ❖ც „მარცვალი“, „კაკლის მარცვალი“

აკაკა❖ლ „მარცვალი“

ანგ❖მჰა (ბზიფ.) „კონა“

აღ❖არა „ადგილი, სადაც დათესილია და ამოდის მარცვლოვანი თესლეული“.

ჩვენს ხელთ არსებული მარცვლოვანი კულტურების სახელწოდებები შეადგენს 60 — ლექსიკურ ერთეულს. აქედან ნასესხებია — 5 ლექსემა.

ზოგადად, მარცვლოვანი კულტურების აღმნიშვნელი ტერმინები მთლიანად მიჰყვება მცენარეების აღმნიშვნელ ლექსემათა აფხაზურისათვის დამახასიათებელ მოდელს: გამოიყო — 7

საზღვრულ-მსაზღვრელი, 19 — მსაზღვრელ-საზღვრული, 1 —
ლექსემაში მონაწილეობს ცხოველის აღმნიშვნელი სახელი, 4 —
სიტყვაში აღინიშნება III პირის მრავლობითობის (კუთვნილების)
-რ აფიქსი, ხოლო 2 — ლექსემაში, სავარაუდოდ, ინსტრუმენტა-
ლისის -ალა / -გლა სუფიქსი დასტურდება.

2 — ლექსემაში გამოიყო ფუძე-წინდებული აწა-, 1 — სა-
ხელწოდებაში გარდაქცევითობის -ზ ელემენტი აღინიშნა.

შემოზღუდული სივრცის -რთა / -თრა მაწარმოებელი შე-
გვხვდა 5 სიტყვაში.

ოდენ ფუძის სახითაა წარმოდგენილი 22 ლექსემა.

I, 201 (600).

საერთო ქართველური ზღ-არ ლექსემის შესატყვისია: აფხაზური ა-ჟ „ყურძენი“, შდრ.: აჟ-ქიაწა „ზვარი, ვენახი“, აჟმჟია „ყურძნის მტევანი“..., ხუნძ. ჟა, ბოთლ. ჟანა „ყურძნის წვენი“, ჰუნზ. ჟა „ღვინო“ (ჩერქეზ. ზ/სან „წამალი“) (ჩუხუა, 2003, 103).

აჟმჟია ❖ „ყურძნის მტევანი“

≈ სიტყვაც კომპოზიცია და შედგება ორი ლექსემისაგან: აჟ „ყურძენი“ და (ა)მჟია „თუთის ხე“. ამ ხის ნაყოფის სახელწოდებაა ამჟია კაკალ „თუთის კაკალი“ (შდრ.: აჰიასა || აჰიასა კაკალ „ველური ალუჩა, ალუჩის კაკალი“. ამჟია უკავშირდება ბჟოლას ქართულში იმავე მნიშვნელობით (ჯანაშია, 1955, 21).

ბჟოლა და ამჟია სიტყვაში არნ. ჩიქობავა და ქ. ლომთათიძე გამოყოფენ ბ-სა და მ თავსართებს (ჩიქობავა, 1938, 126, 23; ლომთათიძე, 1961).

ქართულში ბჟოლა ბ-ს გარეშეც იხმარება. საბასთან კვითხლობთ: „თუთა სხვათა ენაა, ქართულად ჟოლა ჰქვიან.

ქართულში ბჟოლას -ოლ ელემენტი დეტერმინანტი სუფიქსია.

ეს სიტყვა დეტერმინანტი სუფიქსის გარეშეა აფხაზურში: ამჟია „თუთა“. ქართულის მთიულურ დიალექტში შემონახულია მყვალნი „ჟოლოს“ მნიშვნელობით.

ის ფაქტი, რომ ზოგადად კენკროვანები და ყურძენი კავშირშია ერთმანეთთან, ცხადი ხდება აფხაზური ენის მასალის გათვალისწინებით. შდრ.: აჟ „ყურძენი“, აჟენწირგ „მოცვი“, ზედმიწევნით: „ყურძენი წვრილი“.

ა ❖ ჟარგივი ❖ ც

≈ აფხაზურად ყურძნის მარცვალს ჰქვია. იშვიათად ალა „თვალი“ ტერმინითაც აღინიშნება ყურძნის მარცვალი.

ლექსემა, თავის მხრივ, მსაზღვრულ-საზღვრულს წარმოადგენს, სადაც აჟ „ყურძენია“, რ- III პირის მრავლობითობის რკუთ-

ენილების⁷ აფიქსი, (ა)გიგ „გული“, ხოლო -ც ელემენტი აღნიშნავს „ცალს“. ზედმიწევნით: ყურძენი „მათი⁷ გული ცალი“. სტრუქტურულად ტერმინი მსაზღვრელ-საზღვრულ + მსაზღვრელს წარმოადგენს.

ბ. ჯანაშია მსგავს სიტყვებს კომპოზიტად მიიჩნევს, -რ აფიქსის თაობაზე კი აღნიშნავს, რომ „იგი ხშირად დასტურდება მსგავს კომპოზიტებში და ფუძის ერთ-ერთ აფიქსს წარმოადგენსო“ (ჯანაშია, 1955, 26).

ა❖უხკვ

≈ ზოგადად, ყურძნის ჯიშის აღმნიშვნელად გამოიყენება აფხაზურში. ტერმინი ორი ნაწილისაგან შედგება: ა❖ყ „ყურძენი“, (ა)ხკვ❖ „ჭაშნიკი, ნიმუში“. ზედმიწევნით: „ყურძნის ნიმუში, ჯიში“ სახელწოდება აგებულია მსაზღვრელ-საზღვრულია.

ყურძნის ჯიშების აღმნიშვნელ ლექსიკას აფხაზური ენის მცენარეთა სახელწოდებებში სოლიდური ადგილი უკავია.

§1. ნასესხები სიტყვები

იზაბე❖ლა, აპარდა❖ნ „ყურძნის ჯიში“

≈ ნასესხებია ქართულიდან: აპარდან < ხარდანი. ქართულის ყრუ ფშვინვიერი უკანასასისმიერი ხ ბგერა აფხაზურში ჩანაცვლებულია ასევე ყრუ ფშვინვიერი ხორხისმიერი ჰ ბგერით.

აქრანგიგ❖ლა „ყურძნის ჯიში“, „ფრანგულა“

≈ ნასესხებია ქართველურიდან: აქრანგიგლა < ფრანგულა, სადაც ქართულის ფ ბაგისმიერი ფშვინვიერი ბგერა აფხაზურის ქ კბილბაგისმიერი სპირანტითაა ჩანაცვლებული, გო-ს ლაბიალურობა კი გამოწვეულია ქართულის გუ კომპლექსით.

აჭა❖დ „ყურძნის ჯიში“

≈ იგივეა, რაც ქართ. ჭოდი.

ასაფერაჟ ‘ყურძნის ჯიში’

≈ ნასესხებია ქართულიდან: ასაფერაჟ < საფერავი ქართულის ვ მკლერი კბილბაგისმიერი ბგერა აფხაზურის უ ნახევარხმოვნით არის ჩანაცვლებული.

ამლა❖ხიგ ‘ყურძნის ჯიში’

≈ ნასესხებია ქართულიდან: ამლახიგ < ამილახვარი, ქართულის ხვ კომპლექსი აფხაზურში ლაბიალური ხი სპირანტითაა ჩანაცვლებული, სახელწოდება წარმოდგება ქართული გვარიდან — ამილახვარი (მაჭავარიანი, 1909, 119).

ადესა ‘ყურძნის ჯიში’

≈ ნასესხებია ქართულიდან, სინონიმია აპარდანისა — იზაბელასი. სახელწოდებას საფუძვლად უდევს ტოპონიმი ადესა რუსული წარმოთქმით. ქართ. ოდესა.

აბყურზე❖ნ ‘ყურძნის ჯიში’.

≈ სიტყვის თავიდაური აბ- ელემენტის მნიშვნელობა უცნობია, ხომ არ მომდინარეობს აბ < აბნა „ტყე“ სიტყვიდან? მეორე ნაწილი კი იგივეა, რაც ქართ. ყურძენი, შდრ.: მეგრ. ყურზენი „ყურძენი“. სახელწოდება მეგრულის გზით ჩანს ნასესხები, რასაც ქართულის ძ სისინა აფრიკატის ნაცვლად ზ სისინა სპირანტის გამოვლენა ცხადყოფს ამ სახელწოდებაში.

აბანდაშე❖რ ‘ყურძნის ჯიში’

≈ ნასესხებია ქართულიდან: აბანდაშერ < ბუდეშური. ნ განვითარებული თანხმოვანია დ-ს წინ, რაც ცხადყოფს, რომ ლექსემა ქართულიდან მეგრულის გზით მოხვედრილა აფხაზურში. შდრ.: ქართ. კიტრი, მეგრ. კინტირი. რაც შეეხება ქართულის უ ბგერას, იგი აფხაზურში გ-თია გადმოცემული, ნაცვლად მოსალოდნელი ში თანხმოვნისა. როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, უ ხმოვანდართული თანხმოვნები სესხებისას აფხაზურში ლაბიალიზაციისაკენ მიდრეკილ თანხმოვანთა ლაბიალობას იწვევს (გვანცელაძე, 2003, 28).

აკაჯღჯ „ყურძნის აფხაზური აბორიგენი ჯიში, შავი ფერი-სა“.

≈ ლექსემა ქართულიდან ნასესხები ჩანს. შდრ.: ქართული ყურძნის ჯიშის აღმნიშვნელი ტერმინი კაჭიჭი.

ყურძნის ჯიშების აღმნიშვნელი ლექსიკა, რომლის ახსნაც აფხაზური ენის საშუალებით ხერხდება, წარმოადგენს კომპოზიტს, სტრუქტურულად არის ან მსაზღვრელ-საზღვრული, ან საზღვრულ-მსაზღვრელი, ასევე მსაზღვრელ-საზღვრულ + მსაზღვრელი, ან მოცემულია ფუძის სახით...

ზოგ სახელწოდებაში გამოიყოფა ტოპონიმები, ეთნონიმები, ანთროპონიმები, ზოონიმები.

ვაზის ჯიშთა სახელწოდებები ზოგჯერ დაჩრდილული სემანტიკისაა.

განვიხილავთ თითოეულ ჯგუფს ცალ-ცალკე:

§2. მსაზღვრელ-საზღვრული:

აშხარაჯ „მთის ყურძენი“,

≈ აშხარა „მთიანეთი“, აქ „ყურძენი“. ზედმიწევნით: „მთიანეთის ყურძენი“.

ალბაჯ „გემის ყურძენი“

≈ აქ, ალბათ, ივარაუდება ყურძნის რომელიღაც ჯიში, აფხაზეთში გემის საშუალებით შემოტანილი. სიტყვასიტყვით: „გემის ყურძენი“.

ამხიჯ „ტოტის ყურძენი“

≈ ამ(ა)ხი „ტოტი“, (გ)ქ „ყურძენი“. დაზუსტებით: „ტოტის ყურძენი“.

ათიაჯ „სავსე ყურძენი“

≈ ათია „სავსე“, (ა)ქ „ყურძენი“. ზედმიწევნით: „სავსე ყურძენი“.

აგილანაჯ „ყურძნის ჯიში“

≈ სიტყვის პირველი ნაწილი აგო(გ) გული შეიძლება იყოს, -ლა ელემენტი ინსტრუმენტალისის აფიქსი, ახ(გ) „თავი“ არსებითი სახელი... ბოლო უ ელემენტი უდავოდ „ყურძენს“ აღნიშნავს. უფრო ზუსტად: „გული“იანი“ თავი ყურძენი“.

აბგ ❖ სთაჟ „ლომის ყურძენი“

≈ აბგსთა „ლომი“, (ა)ჟ „ყურძენი“. სიტყვასიტყვით: „ლომის ყურძენი“.

აწე ❖ იე / აწგე ❖ ე „ყურძენის ჯიში“

≈ სიტყვის პირველი ნაწილი შესაძლოა აწა „ქვეშ“ ფუძე-წინდებული იყოს, მეორე ნაწილი (ე)ჟ „ყურძენია“. ზედმიწევნით: „ქვეშ მყოფი ყურძენი“.

აყასა ❖ ეჟ || აყა ❖ სა „მოქნილი, დრეკადი ყურძენი“

≈ სიტყვის პირველი ნაწილი აყასა „მოქნილი, დრეკადი“ ზედსართავი სახელია, (ა)ჟ „ყურძენი“. სიტყვასიტყვით: „დრეკადი ყურძენი“.

აცგ ❖ მღგჟ „შავი ყურძენი საშუალო ზომის მარცვლებით“

≈ სიტყვის პირველი აცგ ელემენტი შესაძლოა „მარცვალი“ ლექსემა იყოს, მ- უარყოფითობის აფიქსი, ლ- ინსტრუმენტალისის მაწარმოებლის ნაშთი, (გ)ჟ „ყურძენი“. უფრო ზუსტად: „მარცვლის არ მქონე იანი“ ყურძენი“, „უმარცვლო ყურძენი“, თუმცა ეტიმოლოგია სადავოა.

აკუ ❖ ბგშაჟ || აკაბილჟ || აკაბილ || აკაბგლ „ყურძენის ჯიში“

≈ სიტყვის ბოლოკიდური აჟ უდავოდ „ყურძენია“, გაუფებარია თავკიდური ელემენტების მნიშვნელობა.

ა ❖ ცაჟ „ყურძენის ჯიში“, რომლის მარცვლებიც ჩვეულებრივზე პატარაა.

≈ სიტყვის პირველი ნაწილი ა ❖ ც „მარცვალი“ უნდა იყოს, მეორე უ „ყურძენი“.

აცხა❖ჟ || აცხრგჟ „ტკბილი ჯიშის ყურძენი“

≈ სადაც აცხა „თაფლია“ (ა)ჟ „ყურძენი“, გაუგებარია რას უნდა აღნიშნავდეს -რ აფიქსი პარალელურ ფორმაში. აბსტრაქტულობას ხომ არა? აცხა „თაფლი“, აცხარა „თაბლობა“? სიტყვა-სიტყვით: „თაფლი / თაფლობა ყურძენი“.

აცც❖ჟ „ველური ყურძენი“

≈ სიტყვის ბოლოკიდური ჟ უდავოდ ყურძენია, გაუგებარია პირველი ნაწილის მნიშვნელობა.

აწგწჟგ „ყურძნის ჯიში“

≈ სიტყვის ბოლო ნაწილი (ა)ჟგ „ყურძენია“. დაჩრდილულია პირველი ნაწილის მნიშვნელობა.

აჰარდა❖ნჟ || აჰარდან „ყურძნის ჯიში“

≈ ეს სახელწოდება ქართულიდან მეგრულის გზით შესულა აფხაზურში. თუმცა, პარალელურ ფორმად აფხაზურს კომპოზიტადაც უქცევია იგი. აჰარდან „ყურძნის ჯიშის სახელწოდება“, (გ)ჟ „ყურძენი“, ზედმიწევნით: „ხარდან + ყურძენი“.

აშიგ❖გაჟ „ყურძნის ჯიში“

≈ სიტყვის პირველი ნაწილი აშიგ❖გა „საღებავია“, ა❖ჟ „ყურძენი“. სიტყვასიტყვით: „საღებავი + ყურძენი“. ამ ჯიშის ყურძნის სახელწოდების სინონიმია ათიგ❖ჟ. სახელწოდება ქართულიდან ჩანს კალკირებული. შდრ.: საფერავი „ყურძნის ჯიშის სახელწოდება ქართულში“.

აჩაქიაბა❖ლ „ყურძნის ჯიში“

≈ სახელწოდება ფრიად საგულისხმო შედგენილობით გამოირჩევა! იგი შედგება აჩა „პური“ აფხაზური სიტყვისა და ქიაბალ < ქობალ „პური“ მეგრული სიტყვისაგან. კომპოზიტი ორი, ერთი და იმავე საგნის „პურის“ აღმნიშვნელი სიტყვისაგან შედგება. ზედმიწევნით: „პური (აფხაზურად) + პური (მეგრულად).“

აცხივ ❖ ე || აცხიაე „ყურძნის ჯიში“

≈ სახელწოდების პირველი ნაწილი აცხივ „ფაღარათს, დიარეას“ აღნიშნავს, მეორე ნაწილი კი (გ)ჟ „ყურძენია“. ზედმიწევნით: „ფაღარათი + ყურძენი“.

ა ❖ ძნეე „ყურძნის ჯიში“

≈ აძენ || აძნ „ზამთარი“ + ე „ყურძენი“. უფრო ზუსტად: „ზამთარ + ყურძენი“.

აძე ❖ ე „ყურძნის ჯიში“

≈ სახელწოდების პირველი ნაწილი აძე „წყალი“ სიტყვაა, ხოლო მეორე (გ)ჟ „ყურძენი“. ყურძნის ეს ჯიში, ალბათ, წვნიანია. ზედმიწევნით: „წყალი + ყურძენი“.

§3. ზოონიმთა შემცველი ყურძნის ჯიშების სახელწოდებანი:

აჰივ ❖ ჰივეე || აჰივ ❖ ჰივეე „შავი ფერის ველური ყურძენი“

≈ სადაც სიტყვის პირველი ნაწილი აჰივჰი „მტრედია“, ხოლო მეორე (გ)ჟ „ყურძენი“. ზედმიწევნით: „მტრედის ყურძენი“.

აწე ❖ საე || აწე ❖ სეე || აწე ❖ სეე „ველური ყურძენი“, „ჯიში ყურძნისა, რომლის მარცვლები ძალიან წვრილია“

≈ სიტყვის პირველი ნაწილი აწეს „ჩიტია“, ხოლო მეორე (გ)ჟ „ყურძენი“. სიტყვასიტყვით: „ჩიტის ყურძენი“.

ამშივ ❖ ე „დათვის ყურძენი“

≈ სიტყვის პირველი ნაწილი ამში „დათვია“, მეორე (გ)ჟ „ყურძენი“, უფრო ზუსტად: „დათვის ყურძენი“.

აჟასე ❖ რხია || აჟასა ❖ რხია || აჟასარხია ❖ ეშე „ყურძნის ჯიში“

≈ სიტყვა რთული შედგენილობისაა: თავკიდურა აჟასა „ცხვარი“ ზოონიმია, ახივ(ა) „ბორცვი“, (ა,გ)ჟ „ყურძენი“, ბოლოკიდური შა აშეაკია „თეთრი“ ვითარებითი ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი, რ- ელემენტი III პირის მრავლობითობის „კუთვნილების“

აფიქსია. ზედმიწევნით: „ცხვარი 'მათი' ბორცვი ყურძენი თეთრი“.

როგორც ბ. ჯანაშია გვამცნობს, გუდაუთის რაიონის სოფელ აჭანდარათან მდებარეობს გორაკი, რომლის სახელწოდებაც არც თუ ისე დიდი ხნის წინათ შეერწყა დასახელებული ყურძენის ჯიშის სახელწოდებას (ჯანაშია, 1955, 35).

აჩგ ❖ კ || აჩგკ ❖ კა || აჩგკკა ❖ უ „ყურძენის ჯიში“

≈ სიტყვის თავკიდური ელემენტი აჩგ „ცხენია“, აკკა „ძუძუ“ სიტყვა. სიტყვასიტყვით: „ცხენის ძუძუ“. ყურძენის ამ ჯიშის სახელწოდება ქართულშიც ცნობილია. აქ, ვფიქრობთ, ადგილი უნდა ჰქონდეს კალკირებას.

საზოგადოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ზოონიმათა შემცველი ყურძენის ჯიშთა სახელწოდებები, ისევე როგორც ამ სტრუქტურის სხვა მცენარეთა სახელწოდებანი, ძირითადად გამოიყენება ზოგიერთი მცენარის ველური ჯიშის აღსანიშნავად.

თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ზოგჯერ ცხოველის სახელწოდება იმიტომ გვხვდება ამ თუ იმ ფიტონიმში, რომ იგი (მცენარე) აგებულებითაა რომელიმე ცხოველის მსგავსი. მაგ.: აწვსჟ „ჩიტის ყურძენი“, შესაძლოა იმიტომ დაერქვა ყურძენის ამ ჯიშს, რომ მას წვრილი მარცვალი აქვს.

შეიძლება, ზოონიმი იმ მიზეზითაც მონაწილეობდეს მცენარის სახელწოდებაში, რომ ესა თუ ის ცხოველი, რომელიდაც კონკრეტული მცენარით იკვებება. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს მაგალითად: ამშიაჟ „დათვის ყურძენი“.

რაიმე ერთი გამორჩეული პრინციპი სახელდების აღნიშნულ მომენტში, ვფიქრობთ, არ არსებობს.

§4. ეთნონიმების შემცველ ყურძნის ჯიშთა სახელწოდებები

ა❖შიანგუჟ „ყურძნის ჯიში“

≈ სიტყვის პირველი ნაწილი აშიანგუჟ „სვანი“ ეთნონიმია, ხოლო მეორე აჟ „ყურძენი“ სიტყვა. ზედმიწევნით: „სვანური ყურძენი“.

ა❖ურგსგუ „ყურძნის ჯიში“

≈ სახელწოდების პირველი ნაწილი აურგს „რუსი“ სიტყვაა, მეორე კი (გ)ჟ „ყურძენი“. უფრო ზუსტად: „რუსული ყურძენი“.

ა❖თგრქიაჟ || ა❖თგრქიგ❖ჟ „ყურძნის ჯიში“

≈ სიტყვის პირველი ნაწილი ა❖თგრქი „თურქი“ სიტყვაა, მეორე (ა)ჟ „ყურძენი“, სიტყვასიტყვით: „თურქული ყურძენი“.

ა❖გრგუ „ყურძნის ჯიში“

≈ სიტყვის პირველი ნაწილია აგრგ „მეგრელი“ ეთნონიმი, მეორე კი (გ)ჟ „ყურძენი“. უფრო ზუსტად: „მეგრული ყურძენი“.

აფსუა❖ჟ „ყურძნის ჯიში“

≈ ტერმინის პირველი ნაწილი აფსუა „აფხაზი“ სიტყვაა, ხოლო მეორე (ა)ჟ „ყურძენი“, ზედმიწევნით: „აფხაზური ყურძენი“.

§5. ტოპონიმთა შემცველ ყურძნის ჯიშების სახელწოდებები

აჟასარხია❖ჟ „ყურძნის ჯიში“, „ცხვრის ბორცვის“ ყურძენი.

აჭანდარა „ყურძნის ჯიში“

≈ სახელწოდება წარმოდგება სოფლის სახელისაგან. აჭანდარა „სოფელი გუდაუთის რაიონში“.

§6. ანთროპონიმთა შემცველი ყურძნის ჯიშთა სახელწოდებანი

პაპენი❖ჟ „ყურძნის ჯიში“

≈ პაპენ „მამაკაცის სახელია“, ჟ „ყურძენი“, ი- III პირის რკუთ-

ვნილების⁷ პრეფიქსი მამაკაცის კლასისა. სიტყვასიტყვით: „პაპენის მისი⁷ ყურძენი“.

კაცი❖ჟ „ყურძნის ჯიში“

≈ კაც „მამაკაცის სახელია“, ჟ „ყურძენი“, ი- III პირის „კუთვნილების⁷ პრეფიქსი მამაკაცის კლასისა, ზედმიწევნით: „კაცის მისი⁷ ყურძენი“.

თა❖გიჟ „ყურძნის ჯიში“

≈ თაგუ „მამაკაცის სახელია“, ი- III პირის „კუთვნილების⁷ პრეფიქსი მამაკაცთა კლასისა, ჟ „ყურძენი“. სიტყვასიტყვით: „თაგუის მისი⁷ ყურძენი“.

პეტრგჟ || პეტრაჟ „ყურძნის ჯიში“

≈ „პეტრა < პეტრე მამაკაცის სახელია, (გ)ჟ „ყურძენი“. ზედმიწევნით: „პეტრეს მისი⁷ ყურძენი“.

ხიგ❖ფგჟ || ხიგფგუ || ხიგფგუიჟ „ყურძნის ჯიში“

≈ „ხიგფგუ მამაკაცის სახელია“, (გ)ჟ „ყურძენი“, ი- III პირის „კუთვნილების⁷ პრეფიქსი მამაკაცთა კლასისა. დაზუსტებით: „ხიგფგუს მისი⁷ ყურძენი“.

ხიტუნი❖ჟ „ყურძნის ჯიში“

≈ ხიტუნ „მამაკაცის სახელია, ი- III პირის „კუთვნილების⁷ პრეფიქსი მამაკაცის კლასისა, ჟ „ყურძენი“. უფრო ზუსტად: „ხიტუნის მისი⁷ ყურძენი“.

ხინალღ❖ჟ „ყურძნის ჯიში“

≈ ხინა „ქალის სახელია“ ლ- III პირის „კუთვნილების⁷ პრეფიქსი ქალთა კლასისა, (გ)ჟ „ყურძენი“. ზედმიწევნით: „ხინას მისი⁷ ყურძენი“.

ნო❖ი „ყურძნის ცნობილი ჯიში“

≈ ნოე „მამაკაცის სახელია“. მოცემულია ფუძის სახით.

აპაპე ❖ ჟ || აპაპი ❖ ჟ „ყურძნის ჯიში“

≈ სადაც სიტყვის პირველი ნაწილი აპაპ „მღვდელია“, ი- III პირის „კუთვნილების“ პრეფიქსი მამაკაცთა კლასისა, ჟ „ყურძენი“. დაზუსტებით: „მღვდლის „მისი“ ყურძენი“.

§7. მსაზღვრელ-საზღვრული + მსაზღვრელი

აჟასგრხია ❖ ჟშეგ || აჟასგჟშეგ „ყურძნის ჯიში“.

≈ სახელწოდება რთული შედგენილობისაა: მისი პირველი ნაწილი აჟასგრხია ჰქვია ბორცვს სოფელ აჭანდარასთან. თვით ბორცვის სახელწოდებაში გამოიყენება ზოონიმი აჟას(ა) „ცხვარი“; რ- არის III პირის მრავლობითობის „კუთვნილების“ პრეფიქსი, (ა) ჟ „ყურძენი“, შეგ, აშეკაცია „თეთრი“ ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი; პარალელურ აჟასგჟშეგ ფორმაში ახი „ბორცვი“ აღარ ჩანს, დანარჩენი კომპონენტების მნიშვნელობა იგივეა, რაც პირველ მაგალითში; ზედმიწევნით: „ცხვრის „მათი“ ბორცვის ყურძენი თეთრი“, „ცხვრის ყურძენი თეთრი“.

აბაა ❖ ჟშე || აბა ❖ ჟშე „ყურძნის ჯიში“

≈ სიტყვის პირველი აბაა ❖ ნაწილი „ციხე-სიმაგრე, ეკლესიაა“, (ა) ჟ „ყურძენი“, ხოლო შე აშეკაცია „თეთრი“ ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთს წარმოადგენს. დაზუსტებით: „ციხე-სიმაგრის, ეკლესიის ყურძენი თეთრი“.

§8. საზღვრულ-მსაზღვრელი:

ა ❖ ჟგმჩიჯღ „ყურძნის ჯიში“

≈ გუდაუთის რაიონის სოფელ ღურბიფში არის დასახლება აჟგმჩიჯღრა, ადგილი, სადაც ხარობს ამ ჯიშის ყურძენი. სიტყვის თავკიდური ელემენტი (ა)ჟ „ყურძენია“, მეორე ნაწილი ტოპონიმს წარმოადგენს. ზედმიწევნით: „ყურძენი მჩელისა“.

აქეშპიაღთა „ყურძნის ჯიში“

≈ სიტყვის თავკიდური აქე ელემენტი „ყურძენია“, შე აშკიაკია „თეთრი“ ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი, გაუგებარია სიტყვის ბოლოკიდური ჰიათა ნაწილის მნიშვნელობა. ბ. ჯანაშია შიპიათა-ს ყაბარდოულ შხიანთა „მწვანეს“ უკავშირებს (ჯანაშია, 1955, 29).

აღღღარა „ყურძნის ჯიში“

≈ თავკიდურ ელემენტად შეიცავს აქე „ყურძენი“ ლექსემას. მეორე ნაწილის მნიშვნელობა უცნობია. შესაძლოა, აღღღარა „სიტყრელე“ სიტყვისაგან მომდინარეობდეს.

აქაღინ / აქაღფს „ყურძნის ჯიში“

≈ სიტყვის პირველი ნაწილი აქე „ყურძენია“ მეორე ნაწილის მნიშვნელობა ხომ არ უკავშირდება აღინ „ღელა“, აღფს „ძუ“ სიტყვებს? სადაგოა.

აქაღფშ „ყურძნის ჯიში“

≈ სიტყვის პირველი ნაწილი აღჟე „ყურძენია“, აფშ კი აყაფშ „წითელი“, ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთია. სიტყვა-სიტყვით: „ყურძენი წითური“ შღრ.: აჩაფშ „წითური ხორბალი“.

აღჟბაა „ყურძნის ჯიში“

≈ აღჟე „ყურძენია“, (აღ)ბაა „დამპალი“ ზედსართავი სახელი. დაზუსტებით: „ყურძენი დამპალი“.

აღჟშე „ყურძნის ჯიში“

≈ აღჟე „ყურძენია“, აშე აღშკიაკია „თეთრი“ ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი. ზედმიწევნით: „ყურძენი თეთრი“. ასე მოიხსენიებენ ზოგადად თეთრ ყურძენს აბჟუურ და ბზიფურ დილექტში.

აქეღყაღსა „ყურძნის ჯიში“

≈ სადაც აღჟე „ყურძენია“, ყასა „მოქნილი, ღრეკადი“, ხოლო რელემენტი შესაძლოა კაუზატივის პრეფიქსს წარმოადგენდეს.

ზედმიწევნით: „ყურძენი + კაუზატივის პრეფიქსი + დრეკადი, ანუ ყურძენი *გადრეკადინებული“. ეტიმოლოგია სადავოა! შდრ.: აყასაყ „ყურძენის ჯიში“, სადაც (ა)ჟ „ყურძენი“ სიტყვა საზღვრულია, მოსდევს მსაზღვრელს, აყასა „დრეკადი“. აჟრყა-სა-ს შემთხვევაში კი საზღვრული წინ უსწრებს მსაზღვრელს.

საერთოდ, როგორც ცნობილია, აფხაზური ენისათვის დამახასიათებელია საზღვრულ-მსაზღვრელისაგან შემდგარი კონსტრუქცია. მაგ.: აფსნგ ❖ ყა ❖ ფშჸ „აფხაზეთი წითელი“... ყურძენის ჯიშთა სახელწოდებებში კი, როგორც ვნახეთ, ჭარბობს მსაზღვრელ-საზღვრულისაგან შემდგარი სახელწოდებები. მათი რიცხვი 31-ს შეადგენს, როცა საზღვრულ-მსაზღვრელი მხოლოდ მ-ა ეს ვითარება იძლევა მოსაზრების საფუძველს, რომ კონსტრუქცია — „მსაზღვრელ-საზღვრული“ შედარებით ახალია და გამსესხებელი ენიდან კალკირების გზითაა შესული აფხაზურში ყურძენის ჯიშების სახელწოდებებთან ერთად.

თუმცა, საზღვრულ-მსაზღვრელიანი კონსტრუქციებიც ხშირად ქართულიდან ჩანს კალკირებული.

§9. ყურძენის ჯიშთა სახელწოდებები, რომლებიც არ შეიცავს ყურძენის აღმნიშვნელ (ა, გ) ჟ- ელემენტს

აჯაკსა ❖ რ „ყურძენის ჯიში“

≈ ხომ არ არის სიტყვის თავკიდური აჯ- ელემენტი კავშირში აჯ „მუხა“ აფხაზურ ლექსემასთან? სიტყვის მეორე ნაწილის მნიშვნელობა გაუგებარია.

აგითო ❖ ლ „ყურძენის ჯიში“

≈ სიტყვის თავკიდური აგო(გ) „გულს“ ხომ არ აღნიშნავს? ლექსემის მეორე ნაწილის მნიშვნელობა უცნობია.

აქამა ❖ ხითა „ყურძენის ჯიში“

≈ გაუგებარია სახელწოდების პირველი ნაწილის აქამ მნიშვნელობა. ახითა „წილი, ხვედრი“ სიტყვა შეიძლება იყოს.

აკარკლღ❖მში „ყურძნის ჯიში“

≈ ლექსემის პირველი ნაწილის მნიშვნელობა უცნობია. (გ)მში „დათვი“ სახელწოდება შესაძლოა იყოს.

აკამშიტა❖ლ „ყურძნის ჯიში“

≈ სემანტიკა დაჩრდილულია.

ამგია❖რკვლ „ყურძნის ჯიში“

≈ ხომ არ არის სიტყვის პირველი ნაწილი ამგია „მუცელი“ სიტყვა?

ა❖ციაძლა „ყურძნის ჯიში“

≈ შესაძლოა ტერმინის პირველი ნაწილი აცია❖ „კანი“ სიტყვა იყოს. გაუგებარია მეორე ნაწილის მნიშვნელობა.

აკიშა❖რ || აკიშე❖რ || აკისგ❖რ „ყურძნის ჯიში“

≈ შესაძლოა ლექსემის ძირი კავშირში იყოს აკიშარა „შემოხვევა“ მასდართან, რაც სემანტიკურად მოულოდნელი არ არის, რადგან შემოხვევა რაიმეზე (ხეზე, ჭიგოზე) ვაზის უპირველეს თვისებას შეადგენს.

ამრიგად, განვიხილეთ ყურძნის ჯიშთა — 72 სახელწოდება. აქედან ნასესხებია — 9, მსაზღვრელ-საზღვრულია — 41, ამათგან ზოონიმებს შეიცავს — 5 ტერმინი, ეთნონიმებს — 5, ტოპონიმებს — 2, ანთროპონიმებს — 9...

მსაზღვრელ-საზღვრულ + მსაზღვრელია 2 შემთხვევა. საზღვრულ-მსაზღვრელი 8. სემანტიკა დაჩრდილულია 8 ლექსემში.

2. ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა

აძახია❖

≈ აფხაზურში ვაზის სახელწოდებაა. ბ. ჯანაშიას აზრით, აბჟ.

აძახია და მისი ფონეტიკური ვარიანტი ბზიფ. აძა❖ხია უნდა წარმოადგენდეს ორცნებიან კომპოზიტს, სადაც პირველი ელემენტი ძა-, დეტერმინანტი სუფიქსის გარეშე, უკავშირდება ძველ ქართულ ძელს, რომელსაც ზანური შიშინა ჯ' ვარიანტი შეესაბამება: ჯ; ჯა „ხე“.

მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნულ შემთხვევაში აფხაზურმა ძველი ქართულის მსგავსად, შემოინახა ძირის სისინა სახეობა.

იმავე ძა' ელემენტს ბ. ჯანაშია გამოყოფს აძაცია❖ „ხის კანი“ სიტყვაშიც, სადაც ძა „ხე“, აცია❖ „კანი“. რაც შეეხება სიტყვის მეორე, ხია ელემენტს, იგი ბ. ჯანაშიას აზრით, იგვევა, რაც აფხაზური ა❖ხია „მოლუნული“.

ამგვარად, ასკენის მკვლევარი, კომპოზიტი აძახია❖ უნდა ნიშნავდეს „ხე მოლუნული“ (ჯანაშია, 1955, 2-4).

ჩვენი აზრით, აფხაზური ენის აძახია❖ „ვაზი“ უნდა უკავშირდებოდეს ქართულში არსებული მცენარის „ძახველის“ სახელწოდებას.

ბოტანიკური ლექსიკონი აღნიშნულ მცენარეს შემდეგნაირად ახასიათებს:

ძახველა, ძახველი *калина обыкновенная, viburnum opulus*. 1. ქრთ., კხ. ძახველა; მთ., ფშ., ხვს., ქვ. რჭ. მჯახველი; თშ. ძეხველი; ქრთ., მსხ., რჭ., ლჩხ., იმ. ჯახველა, ჯანხველი; ჯარხველი, ჯაკველი; მგრ. ძარწუფა; სვან. წანწოფ, წონწოფ, სანწვეფ... (მაყაშვილი 1961, 89).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ძახველი განმარტებულია, როგორც საშუალო სიდიდის ბუჩქი; იკეთებს ქოლგის მსგავსად შეკრებილ თეთრ ყვავილებს; ისხამს წითელ, წვნიან, ერთკურკიან ნაყოფს; იზრდება ტყეებში. ძახველის ჭალა...

ძახველი დასტურდება სულხან-საბას ლექსიკონში (საბა, 1993, 352).

ქართული ძაგვ- (<*ძ,აგვტ-) ძირის შესატყვისია სვანური ჟაკტუ- (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 623).

გამორიცხული არაა ძახველი ქართულშიც საზღვრულ-მსაზღვრელს წარმოადგენდეს ისტორიულად: სიტყვის პირველი ნაწილი უნდა იყოს, მართლაც, ძა/ჯა „ხე“, ხოლო მეორე: ხვ-ელ ელემენტი, შესაძლოა მომდინარეობდეს შემო-ხვ-ევ-ა მასდარული ფუძისაგან.

ქართ. ხტ-მო-ხტ-ევ-ა; სა-ხუ-ევ-ელ-ი; შე-ხვ-ევ-ა... მეგრ. ხ-ქიმ-შა-ა-ხ-უ „შეახვია“.

ქართული ხუ- ძირის შესატყვისი შეიძლება იყოს მეგრული ხ (<*ხტ-) არნ. ჩიქობავას აზრით, ამავე ძირს უკავშირდება ლა-ზური ხვ. (ჩიქობავა, 1938, 423; ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 696).

აფხაზური ენის აძახია❖ „ვაზი“ და ქართული ენის ძახველი „ხე“ ერთნაირი აგებულების სიტყვებია, რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ აფხაზურში აღნიშნული სახელწოდება ქართულიდან არის შესული. ტერმინის როგორც პირველი (ა)ძა „ხე“, ასევე მეორე (ა❖)ხია „მოღუნული“ შემადგენელი ლექსემები ქართული წარმოშობისა ჩანს.

ჩვენს მოსაზრებას ამყარებს თვით ძახველისა და მისი ნაყოფის აგებულება/დახასიათებაც.

აფხაზურში ყურძნის აჟ სახელწოდება კენკროვანი მცენარის აღმნიშვნელ ლექსემაში გამოიყენება. შდრ.: აჟენწირგ❖ „მოცვი, სელშავი“, სადაც სიტყვის პირველი ნაწილი ა❖ჟ „ყურძენია“, ხოლო მეორე აწირგ❖ „გრძელი“ ზედსართავი სახელი. ზედმიწევნით: „ყურძენი გრძელი“.

§1. ვაზის აგებულების აღმნიშვნელი ლექსიკა

აძახია❖ „ვაზი“

აძახია❖ აფა❖ში „ვაზის ნერგი“

≈ სიტყვასიტყვით: ვაზის ფესვი“.

აძახია ❖ ფშხფა ❖ და „გახმობამდე მისული ვაზის ტოტი“

აძახია ❖ ფშქა ❖ „ნორჩი ვაზი, ერთი წლის რქა“

აძახია ❖ ბუფ ❖ ნდაპ „ხეებს შორის გაბმული ვაზი“

აძახია ❖ ა ❖ შით „ვაზის ყვავილი“

ა ❖ ბნა და ❖ ხია „ველური ვაზი“

≈ სიტყვასიტყვით: „ტყის ვაზი“, „კრიკინა“

აფა ❖ ში „ფესვი“

≈ (ამ შემთხვევაში ვაზისა) ნასესხებია ქართულიდან. ქართული ე აფხაზურში ა-ს იძლევა, ში-ს ლაბიალიზაცია კი ქართულ შვ კომპლექსს გამუწვევია (ჭარაია, 1912, 35).

აღა ❖ ც „ფესვი“.

≈ შდრ.: აღა „ძარღვი“, აღაშ „მყესი“.

აფა ❖ ში ა ❖ კრა „დაფესვიანება, ფესვის გადგმა“

≈ უფრო ზუსტად: „ფესვის დაჭერა“.

აფა ❖ შიხარა „დაფესვიანება“

≈ ფესვგადგმულ გადანაწვენად, ან რქად ქცევა.

აძა ❖ რწი „დახვეული წნელი, ლერწი, ვაზი, ლიანა“.

≈ ლექსემა საზღვრულ-მსაზღვრელი უნდა იყოს. სიტყვის პირველი ნაწილი აძა ❖ რა „წელია“, მეორე ნაწილი კი აწირგ „გრძელი“ ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი ჩანს. ზედმიწევნით: „წელი გრძელი“.

ატოგ ❖ მცია „კანი“.

≈ სახელწოდება ორცნებიანი კომპოზიტია, ატოგ ❖ მ უცხო“ + (ა)ცია ❖ „კანი“.

აშაყ ა ❖ რ „ვაზის რქა“.

≈ სიტყვის პირველი ნაწილი უკავშირდება არსებით სახელს აშაპგ ❖ „ფეხი“, ხოლო მეორე აყ ა ❖ რა „ქნევა“, ამ შემთხვევაში გამოხატავს „ამოზრდილობას“ (ჯანაშია, 1955, 8) სიტყვა-

სიტყვით: „ფეხი ამონაყარი“.

აშაბე ❖ 1. „შტამბი, ტანი, ზრო“

≈ ამ შემთხვევაში ვაზისა; 2. ასევე „ძირი, მცენარეთა თვლის ერთეული“.

§2. ყურძნის მტევნის აგებულების აღმნიშვნელი ლექსიკა

აჟ ❖ „ყურძენი“.

აჟგჟია „ყურძნის მტევანი“.

აჟგრიგ ❖ **ც** || **ა** ❖ **ლა** „ყურძნის მარცვლი“

≈ სადაც ა ❖ ე „ყურძენია“, რ- III პირის მრავლობითობის რკუთვნილების⁷ პრეფიქსი, აგოგ ❖ „გული“, (გ)ც „ცალი“ დაზუსტებით: „ყურძენი მათი გული ერთი ცალი“. იხმარება „კენკრის“ მნიშვნელობითაც.

პარალელარად ხმარებული **ა** ❖ **ლა** „თვალი“ ლექსემაა.

ა ❖ **ჟ** **აფა** ❖ **ში** „ყურძნის მარცვლის ყუნწი“

≈ ზედმიწევნით: „ყურძნის ფესვი“.

ა ❖ **წლა** **აღიწიგ** ❖ **ნ** „მტევნის ყუნწი“.

≈ ა ❖ **ღიწიგ** ნასესხები ჩანს ქართულიდან ა ❖ **ღიწიგ** < ყუნწი, სადაც ყ ხახისმიერი ყრუ მკვეთრი ბგერა იძლევა უკანასასისმიერ მჟღერ ღ ბგერას. ღ-ს ლაბიალიზაცია ქართულის უ-თია გამოწვეული, ხოლო წინანუნისმიერი მკვეთრი აფრიკატი წ ბგერა რიგ შემთხვევებში წ-დვე გადადის აფხაზურში: შდრ.: ქართ. წესი > აფხაზ. აწას. წი-ს ლაბიალიზაცია კი, ლაბიალური ღი-ს მეზობლობამ გამოიწვია, როდესაც ნწ > წნ ბგერათა მეტათეზისი მოხდა.

ტერმინის პირველი კომპონენტი ა ❖ **წლა** „ხე“ ლექსემაა.

აღიწიგ ❖ „მტევნის ყუნწი“.

≈ აქ ბოლოკიდური თანხმოვანი მოკვეცილი ჩანს. იგივე

აღიწივ ❖ „ყუნწი“ სიტყვისა.

აცია ❖ „კანი“

≈ ამ შემთხვევაში ყურძნის მარცვლისა.

აუგმეთია ❖ ა❖მანხი „მტევნის კუფხალი“

≈ ამანხი „ტოტი, შტო“

აუგმეთია ❖ ჰგ ❖ და „მტევნის კუფხალი“

≈ ჰგდალა „განსაკუთრებით“ სიტყვის ფუძე ხომ არ არის?

ა❖უგმეუ ახიწივ ❖ „კლერტის ღერძი“

აუგრგივ ❖ ცრა ა❖მანხი „მტევნის მხარი“

ბზიფურში ამავე მნიშვნელობით გვხვდება **აკატრა❖ცი || ახწივ❖რ**. აკატრა❖ცი ლექსემას ბ. ჯანაშია აკავშირებს ქართულ კატარ ძირთან, (დიალექტებში „ხის წვერი“), ხოლო ახწივრ სიტყვას კი შლის ახ(გ) „თავი“ და წირგ „წვრილი“ ოდენობებად. მკვლევარს წირგ „წვრილის“ მნიშვნელობით, ქართული წულილ-ისაგან მომდინარედ მიაჩნია (ჯანაშია, 1955, 8-9).

ა❖უ აგია❖ლ „წიპწა“

≈ სიტყვის პირველი ნაწილი აგივ ❖ „გულია“ ლ ელემენტი კი, დასტურდება აჟა❖ლ „ჭაჭა, დურდო“ ლექსემაშიც. მნიშვნელობა უცნობია. ხომ არ მომდინარეობს ქართული ღერისაგან ღერი > *აღარ...

აგივ ❖ „მარცვალი“

≈ ამ შემთხვევაში ყურძნის რბილეული, ხორცი“.

აძგ ❖ „წყალი“

≈ ამ შემთხვევაში მცენარის ნაყოფის წვენი.

აძგ ❖ ა❖ლაღარა / აძგ აწგ❖სრა „წვენის, წყლის მოძრაობა / ჩადგომა მცენარეში“.

ა❖ბბ „ყვავილის მტვერი“

ადილურ ენებში მტვრის აღსანიშნავად იხმარება საბჰ / საფ. სიტყვის პირველ ნაწილში ლომთათიძე კლასის გაქვავებულ

პრეფიქსს ვარაუდობს და ასაბა-ს უპირისპირებს აბგბ-ს (შაგი-როვი, 1977, II, 56 (1140)).

ა❖ლათა || ა❖ლათრა || ა❖ბლარა „კვირტი“ < აფხ. ა❖ლა || ა❖ბლა „თვალი“.

ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკის გარკვეული ნაწილი ნასესხებია უშუალოდ ქართულიდან, ან ქართულიდან მეგრულის გზით: აძახია❖ „ვაზი“, აფა❖ში „ფესვი“, აღიწიგ❖ნ „ყუნწი“...

ვაზის ნაწილების ტერმინებში გვხვდება ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი ლექსემები: აგოგ❖ „გული“, აშაპგ❖ „ფეხი“, ა❖ლა „თვალი“, აცია❖ „კანი“, ადა❖ „ძარღვი“.

სულ განვიხილეთ — 33 ძირითადი ტერმინი. აქედან საზღვრულ-მსაზღვრელია — 10, მსაზღვრელ-საზღვრული — 13, ფუძის სახითაა წარმოდგენილი — 10 ლექსემა.

3. ვენახის სამუშაოებთან დაკავშირებული ლექსიკა

ვაზისა და ყურძნის ჯიშების სახელწოდებების სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზის კვალდაკვალ, საჭიროდ მიგვაჩნია ვაზის სემანტიკურ ველში შემავალი ტერმინების განხილვა.

ცალკეულ ლექსემათა სემანტიკური ველის გათვალისწინება სახელწოდების ეტიმოლოგიის სწორად წარმართვის საწინდარია.

ამ მხრივ საინტერესოა: ვენახის სამუშაოების, ვაზის გაშენების ადგილის, ვაზის ვეგეტაციის ეტაპების ამსახველი ლექსიკა აფხაზურში.

§1. ვაზის გაშენების ადგილის ამსახველი ლექსიკა

აფხაზურში ვენახის მნიშვნელობით რამდენიმე სახელწოდება იხმარება:

აჟბა ❖ ჰჩა „ვენახი“

≈ სიტყვის პირველი ნაწილი ა ❖ ჟ „ყურძენია“, მეორე აბა ❖ ჰჩა „ბაღია“ ნასესხებია თურქულიდან (ჭარაია, 1912, 15). ბ. ჯანაშიას სპარსულიდან ნასესხებად მიაჩნია (ჯანაშია, 1955, 16).

აბა ❖ ჰჩა „ბაღი, ამ შემთხვევაში ვენახი“

ამშანდგ ❖ რ „ტალავერი“

≈ სიტყვის პირველი ნაწილი ამშა „მოუმწიფებელი, მკვახე, უნდილის“ მნიშვნელობისა უნდა იყოს. გაუგებარია ლექსემის მეორე ნაწილის მნიშვნელობა. მზზ / მზზგ „ტყეა“ ადიღურში. შესაძლოა აფხაზური ამშა „მოუმწიფებელი, მკვახე“ ამ ტერმინს უკავშირდებოდეს. წინანუნისმიერ მჟღერ ზ სპირანტს უნდა ჩანაცვლებოდა უკანანუნისმიერი ყრუ ფშვინვიერი შ სპირანტი.

შესაძლებელია ამ ტერმინთან იყოს კავშირში ამჟგ „შემა“ ლექსემაც, რომელიც ჩ ყრუ ფშვინვიერი აფრიკატითაც გვხვდ-

ბა: ამჩანდგრ „მემის დასაწყობი ადგილი“. ამჩანდგრ > ამ-
შანდგრ, სადაც ყრუ ფშვინვიერ აფრიკატ ჩ-ს შესაძლოა ყრუ
ფშვინვიერი სპირანტი შ მოეცა.

თუმცა, აღნიშნული ტერმინი ბლაჟბას ქართულიდან ნასეს-
ხებად მიაჩნია. < ფანჩატური (ბლაჟბა, 1964, 224).

აჭარგუ (ბზიფ.) „ბაგა, ახალი ვენახი“

≈ სიტყვის პირველი ნაწილი აჭგუც „ახალი“ ზედსართავი სახე-
ლის ფუძის ნაშთია, (გ)ჟ „ყურძენი“, რ- თანხმოვანი აფხაზურში
ხშირად გვხვდება მსგავსი აგებულების ფუძეებში. იგი ხან III პი-
რის მრავლობითობის 'კუთვნილების' აფიქსია, ხან კაუზატივის
მაწარმოებელი. აღნიშნულ შემთხვევაში კი რ აბსტრაქტულობის
-რა სუფიქსის ნაშთი უნდა იყოს: აჭგუც ❖ ც „ახალი“, აჭარა „სიახ-
ლე“. ზედმიწევნით: „სიახლის ყურძენი“. -რ აღნიშნულ ლექსემა-
ში, ბ. ჯანაშიას ლეტერმინანტ სუფიქსად მიაჩნია (ჯანაშია,
1955, 17).

აქია❖წა || აქია❖წარა „მაღლარი ვენახი, ვაზნარი“

≈ სახელწოდება ა❖ქიწარა „ზედ დადება“ მასდარული ძირიდან
უნდა მომდინარეობდეს. ქი¹გ¹ „ზედ, ზევიდან“ ლოკალური პრე-
ვერბი, ფუძე-წინდებულება (ლომთათიძე, 1981, 5, 7, 29).
სიტყვასიტყვით: „ზედ მყოფი, ამ შემთხვევაში ვენახი“.

ა❖ჟკიაწა „ვენახი“

≈ სადაც სიტყვის თავკიდური ელემენტი აჟ „ყურძენია“, კიაწა <
ქიაწა-დან.

განხილულ სახელწოდებათაგან, **აჟბა❖ჭჩა, აბა❖ჭჩა** „ვენა-
ხი“ ლექსემის მეორე ნაწილი ნასესხებია **ამშანდგ❖რ** „ტალავე-
რი“, **აჭარგუ❖ჟ** „ვენახი“, **ა❖ჟკიაწა** „ვენახი“ და **აქია❖წა ||
აქია❖წარა** „მაღლარი ვენახის“ ახსნა აფხაზურის საშუალებით
ხერხდება, მაგრამ, როგორც ზემოთ ვნახეთ, ეს სახელწოდებები
აღწერილობითადაა მიღებული.

ვაზის გაშენების ადგილის აღსანიშნავად აფხაზურს დამოუ-

კიდებული ლექსემა არ გააჩნია.

მევენახეობის ტერმინთა უმეტესობა (ყურძნის ჯიშების ჩათვლით) აფხაზურში ქართულიდან, ან ქართულიდან მეგრულის გზითაა შესული.

§2. ვენახის სამუშაოების ამსახველი ლექსიკა

ა❖ჟილა აკრგ || აშაპგ❖ ა❖კრა „მოსაშენებლის, სანაშენოს გაჩენა“

≈ სიტყვასიტყვით: „თესლის დაჭერა“, ა❖ჟილა „თესლი“, ა❖კრა „დაჭერა“. პარალელურ ვარიანტში „ფენის დაჭერა“. აშაპგ❖ „ფენი“ (ამ შემთხვევაში ვაზისა), ა❖კრა „დაჭერა“.

აძახია❖ ა❖ჟილა ა❖კრა „ვაზის გაშენება, ვაზის ჩაყრა“

≈ სიტყვასიტყვით: „ვაზის თესლის დაჭერა“. აძახია❖ „ვაზი“, ა❖ჟილა „თესლი“, ა❖კრა „დაჭერა“.

ახწივრ ღბაა❖განგ ა❖წაწარა „ვაზის გადაწიდვანა“

≈ ზედმიწევნით: „ვაზის რქის ჩამოღებით ქვეშ ამოღება“. ახწივრ || აშაყარ „ვაზის რქა“, აღბაა❖გარა „ჩამოღება“, ა❖წაწარა „ქვეშ ამოღება“.

ახწია❖რ ხწია❖ნგ ა❖წაწარა || ახწია❖რ ა❖წაწარა „ლერწის, რქის დარგვა“

≈ უფრო ზუსტად: „რქის, ლერწის გადაჭრით ქვეშ ამოღება“. ახწია❖რ „რქა“, ახწიარა „გადაჭრა“, ა❖წაწარა „ქვეშ ამოღება“.

აფა❖ში ა❖თაგარა „დაფესვიანებული გადანაწვევის რქის გადარგვა“

≈ ზედმიწევნით: „ფესვის გადანერგვა“, აფა❖ში „ფესვი“ (ნასესხებია ქართულიდან < ფესვი) (ჯანაშია, 1955, 13), ა❖თაგარა „გადარგვა, გადანერგვა“.

აძახია❖ ადღვ❖ხრა „ვაზის გასხვლა“

≈ სიტყვასიტყვით: „ვაზის ტანთ გახდა“, აძახია ❖ „ვაზი“, ადღვ ❖ ხრა „ტანთ გახდა“.

§3. ვაზის ვეგეტაციის პერიოდების ამსახველი ლექსიკა

აძახია ❖ ა ❖ შითრა „ვაზის ყვავილობა“

აბღვ ❖ ა ❖ ხტრა „გვირგვინის გახსნა“

≈ ზედმიწევნით: „ფოთლის გაშლა“. აბღვ ❖ „ფოთოლი“, ა ❖ ხტრა „თავის მოხდა“.

აბბაკა ❖ ფსარა „მტერის ცვენა“

≈ ა ❖ ბბ || ასა ❖ ბა || ა ❖ ბაბ „მტერი“, აკა ❖ ფსარა „ცვენა, ჩამოცვენა“.

აშიგ ❖ თ აჩგ ❖ ლგრგარა || აშიგ ❖ თ აჩრგ ❖ სქარა || აშიგ ❖ თ აჩგრგ ❖ ცქარა „ყვავილის გამოტანა“

≈ ზედმიწევნით: „ყვავილის მიერ თავის გამოტანა“; აშიგ ❖ თ „ყვავილი“, აჩგ ❖ „თავი“, სათავისო ქცევის (უკუქცევითობის) აფიქსი“, ალგ ❖ რგარა „გამოტანილება“, ალგ ❖ გარა „გამოტანა“, რ- კაუზატივის აფიქსი. აჩრგ ❖ სქარა || აჩგრგ ❖ ცქარა „თავის გამოსუფთავება“. აჩგ ❖ „თავი“, სათავისო ქცევის (უკუქცევითობის) აფიქსი“, არგ ❖ ცქა || (ა)რგ ❖ სქა „სუფთა“, არგ ❖ ცქარა „გაწმენდა“. უფრო ზუსტად: „ყვავილის მიერ თავის გამოსუფთავება“.

აჟ ❖ ადგ ❖ რლარა „ყურძნის შეთვალემა“

აჟღვ ❖ რლა „თვალში შესული, შეთვალებული ყურძენი“

≈ ადგ ❖ რლა „ითქმის ყურძენზე: თვალში შესვლა“.

აჟღა ❖ რლარა „ყურძნის შეფერადება, შეთვალემა“

აჟღმჟია ❖ ხარა „მტევნად ქცევა / მტევნად გახდომა“

≈ სიტყვასიტყვით: „მტევნად გახდომა“, აჟღმჟია ❖ „მტევანი“ (ა)ხარა გარდაქცევითობის სუფიქსი.

ა ❖ რტრა || აშია ❖ ტირა „ზოგიერთი ხილის, აგრეთვე ყურძნის სრული დამწიფება“, ა ❖ რტრა „შემოსვლა“

≈ აშიატირა, ლექსემის პირველი ნაწილი აშიაღ, აშიეღთრა „აყვავება“, აშიეღთ „ყვავილი“, სიტყვების ფუძის ნაშთია, აღტირა < აღტიარა „დაჯდომა“ მასდარული ფუძე. ზედმიწევნით: „ხილის დაჯდომა“.

აშიაღტირა < აეღაღტირა „ყურძნის სრული დამწიფება“

≈ აში < აღჟ „ყურძენი“, აღტირა < აღტიარა „დაჯდომა“ მასდარული ფუძე. უფრო ზუსტად: „ყურძნის დაჯდომა“.

აკიეღზ „მკვანე ყურძენი, ისვრიმი“

